საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პეიიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 ოქტომბერი **ოთხშაბათი** 2011
№ 234 (13531) ფასი 80 თეთრი



# ბრძოლა მოვიგეთ, ომი ჯერ არა

სოხუმმა ევროპა +16-ით გახსნა

**94:78**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



## ქართველები უდისციპლინოები არიანო, ვითომ?

ინტერვიუ ლევან მჭედლიძესთან

3

## დერონ უილიამსი: 6 დეკემბერს თბილისში

ევროთასის საკვალიფიკაციო მატჩში თურქეთის „ბეშიქთაშმა“ ბელგიაში „მონსთან“ 63:74 წააგო და ორი მატჩის ჯამში ბელგიური ბარიერი ვერ გადალახა, რაც იმას ნიშნავს, რომ თურქები ევროთასის ნაცვლად ევროჩელენჯზე გადავლენ, სადაც ქართული „არმიის“ ჯგუფში ითამაშებენ. თუ 6 დეკემბრამდე NBA-ში სეზონი არ დაიწყო, „ბეშიქთაშს“ თბილისში ჩამოჰყვება მსოფლიო კალათბურთის ვარსკვლავი დერონ უილიამსი.

„არმიასა“ და „ბეშიქთაშთან“ ერთად B ჯგუფს წარმოადგენენ გერმანიის „გოტინგენი“ და ჰოლანდიის „ლეიდენი“.





ბესიკ ჟანგავაძე პალმერსტონიდან

## როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი“



## რატომ უნდა მოგვეგო შოტლანდიის ნაკრებისთვის?

ინტერვიუ მამუკა გორგოძესთან

8

ეროვნული ნაკრები



# შეკრება ხურდება

საქართველოს ნაკრებმა ბერძნებთან დაპირისპირებისთვის მზადება დაიწყო. გუნდმა პირველად 3 ოქტომბერს ივარჯიშა „ბასაზე", ოღონდ არასრული შემადგენლობით: ქეცბაიას განკარგულებაში სულ 17 ფეხბურთელი იყო: **როინ კვასხვაძე, კოკა სეფიაშვილი, ირაკლი მაისურაძე, ჯაბა კანკავა, უჩა ლობჟანიძე, დავით თარგამაძე, გია გრიგალავა, შოთა გრიგალაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, ლევან მჭედლიძე, მურთაზ დაუშვილი, ალექსანდრე კვახაძე, სანდრო გურული, ალექსანდრე კოშკაძე** და **ოთარ მარცვალაძე**.

გუშინ ნაკრებს შეუერთდნენ **კახა კალაძე, ნუკრი რევიშვილი, გურამ კაშია** და **აკაკი ხუბუტია**, რომლებმაც საღამოს გუნდთან ერთად ივარჯიშეს. მოგვიანებით გამოცხადდნენ შეკრებაზე **ზურაბ ხიზანიშვილი** და **ვლადიმერ დვალიშვილი**.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ნაკრების ვარჯიშები, ტრადიციულად, მედიისთვის ღია საწყისი 15 წუთი იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ლობჟანიძის სიმბოლური კოლექცია

როგორც ჩანს, ახალგამოჯანმრთელებული **უჩა ლობჟანიძე** სათამაშო ფორმას სწრაფად იბრუნებს. პოპულარულმა "უა-ფუტბოლმა" საქართველოს ეროვნული ნაკრების მარჯვენა მცველი უკრაინის ჩემპიონატის ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა, რაც ლობჟანიძისთვის ამ სეზონში მესამე აღიარებაა.

უჩას "კრივბასმა" საკუთარ მოედანზე "ობოლონი" 1:0 დაამარცხა, ლობჟანიძე კი განსაკუთრებით სასარგებლო მას შემდეგ გახდა, რაც მისი გუნდი მოედანზე ათი კაცის შემადგენლობით დარჩა.

"კრივბასი" მიმდინარე სეზონში წარმატებით ასპარეზობს და დღეისთვის მეხუთე ადგილზეა, რაც ევროპის ლიგაზე გასვლის უფლებას იძლევა. 24 წლის ლობჟანიძეს კი ამ სეზონში ჯერჯერობით 8 შეხვედრა აქვს გამართული და საგოლე ანგარიში ჯერ არ გაუხსნია.

**ნიკა გვათუა**



უჩა ლობჟანიძე (მარცხნივ) და დავით თარგამაძე

# ჯანოს დინამო იწვევსო



ჯანო ანანიძე

ლაპარაკია არა თბილისის, არამედ მოსკოვის "დინამოზე". რუსული პრესის ცნობით, შესაძლოა, **ჯანო ანანიძე** სწორედ ამ კლუბში გადავიდეს. ვეჭვობთ, გავრცელებულ ხმებს განსაკუთრებული საფუძველი ჰქონდეს, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ნიჭიერ ქართველ ნახევარმცველზე რუსეთში ხშირად წერენ.

შეგახსენებთ, ამჟამად ანანიძე ტრავმირებულია და ამის გამო საბერძნეთთან მატჩიც უცდება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იგი "სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში დაშავებამდეც არცთუ ხშირად თამაშობდა და მოედანზე უმეტესად მცირე ხნით გაჰყავდათ ხოლმე.

ამ ტრანსფერის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად კი იმას ასახელებენ, რომ შარშან 18 წლის ჯანომ რუსეთის "სახალხო გუნდთან" ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ნიკა გვათუა**

ლეგიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ვერ ხედავენ ყენიას გუნდთან ერთად?

## მიზეზი უბრალოაო: ინდივიდუალურად ვარჯიშობს

ჩვენი ეროვნული გუნდის საბერძნეთის ნაკრებთან შეხვედრამდე ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" გამართულ პრესკონფერენციაზე **თემურ ქეცბაიას ლევან ყენიაზეც** ჰკითხეს - გელზენკირხენის "შალკეს" ქართველმა პლეიმეიკერმა ვარჯიში განაახლა და ნოემბრის ამხანაგურ მატჩში თუ გამოიძახებთო.

„ამ გუნდში ბერძენი მეგობარი მყავს, რომელიც ამბობს, რომ ყენია გუნდში არ უნახავს და სად ვარჯიშობს, წარმოდგენა არ მაქვსო. სამწუხაროა, ამ დონის მოთამაშე რომ გამოგვაკლდა. დარწმუნებული ვარ, ყენია რომ გვყოლოდა, გუნდი უკეთ იასპარეზებდა" – ასეთი იყო ქეცბაიას პასუხი.

პრესკონფერენციაზე „ბილდის" ძველ ინფორმაციაზეც ითქვა, თითქოს ყენიამ „შალკე" დატოვა. მსგავსი ხმები მაშინაც ვრცელდებოდა, როდესაც ლევანი ჯანმრთელად იყო. ცხადია, ყენიას მდგომარეობა განსაკუთრებით გვაინტერესებს, რადგან მსოფლიოს ტალანტებში დასახელებული ქართველი ფეხბურთელია, რომელიც გერმანიის ბუნდესლიგის ერთ-ერთ ამბიციურ კლუბში ირიცხება და ჩვენს გულშემატკივარს მისი დიდი იმედი აქვს.

აქვე ვიტყვით, რომ თავად ლევანთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, ამიტომ მის ახლობლებს დავეკითხეთ.

„ლევანი გუშინ დაგვიკავშირდა და მსგავსი არაფერი უთქვამს. ადრეც ვთქვი და ვიმეორებ, გუნდს ტრანსფერზე არ დაუყენებია. ან საიდან მოიტანეს, ასე რომ ყოფილიყო, ლევანი აუცილებლად მეტყოდა, არ დამიმალავდა. არადა, კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს და ნამდვილად „შალკეში" ვარჯიშობს. ქეცბაიას გელზენკირხენელმა მოთამაშემ ინფორმაცია რომ მიაწოდა, გუნდთან ერთად არ ვარჯიშობსო, მართალია. ლევანმა გუნდთან ერთად ვარჯიში კი დაიწყო, მაგრამ შემდეგ სიფრთხილე გამოიჩინა და მოთმინება ამჯობინა, ფორმის აღდგენის პროცესი რომ არ დაეჩქარებინა. ახლა "შალკეში" ინდივიდუალურად ვარჯიშობს და გასაკვირი არ არის, სხვა მოთამაშეები თუ ვერ ხედავენ. როგორც მითხრა, გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ნოემბრიდან ივარჯიშებს, ზამთარში კი "შალკეს" მოსამზადებელ ეტაპზე გაჰყვება", - გვითხრა ყენიას ბიძამ, საქართველოს ნაკრების ყოფილმა წევრმა **გიორგი კიკნაძემ**.



ლევან ყენია

ასე რომ, ნაადრევი გამოდგა ჩვენი ოპტიმიზმი - ყენია ხუთთვიანი რეაბილიტაციის შემდეგ მოედანს ნოემბერში დაუბრუნდებაო - სავარაუდოდ, ეს მომავალი წლისთვის გადაიდო. მთავარია, რომ ლევანს კოჭი აღარ აწუხებს და „შალკეს" მალე შეუერთდება.

**მერაბ მამულაშვილი**

მსოფლიოს საკლუბო რეიტინგი

# ერთი ასეულშია, მეორე ორასეულში, მესამე სამასეულში

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ მორიგი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც მსოფლიოს 400 კლუბია შეყვანილი. საქართველოს კი რეიტინგში ამჯერადაც სამი წარმომადგენელი ჰყავს.

მათგან საუკეთესო პოზიცია უკავია თბილისის "დინამოს", რომელიც სამი პოზიციით დაქვეითდა, თუმცა საუკეთესო ასეულში ადგილი შეინარჩუნა და 88-ეა. სამი ნაბიჯით წაიწია და 191-ე საფეხურზეა საქართველოს მოქმედი ჩემპიონი "ზესტაფონი", რუსთავის "მეტალურგი" კი, რომელიც წინა თვეში მე-200 იყო, დღეს 204-ეა.

რაც შეეხება რეიტინგის საუკეთესო ათეულს, განსაკუთრებული ცვლილებები არ არის. ზეოთხეული არ შეცვლილა, ათეულიდან კი ჩილეს "უნივერსიდად კათოლიკამ" ესპანური "ვილიარეალი" გამოაძევა.

IFFHS-ის აზრით, მსოფლიოს ათი საუკეთესო კლუბია:

1. ბარსელონა (ესპანეთი)
2. რეალი (ესპანეთი)
3. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
4. პორტუ (პორტუგალია)
5. შალკე (გერმანია)
6. ველეს სარსფილდი (არგენტინა)
7. ბაიერნი (გერმანია)
8. ინტერი (იტალია)
9. მანჩესტერ სიტი (ინგლისი)
10. უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)

...88. დინამო
...191. ზესტაფონი
...204. მეტალურგი

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ლევან მჭედლიძე კონცენტრაციას კონცენტრაციაზე აქცევს

ლევან მჭედლიძე ეროვნულ ნაკრებში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. იტალიის სერია B-ს „ემპოლის“ 21 წლის ფორვარდი 17 წლისა იყო, როდესაც შოტლანდიის ნაკრებთან მოგებაში ლომის წილი დაიდო და სკოტურ მედიას დააწერინა, სირცხვილია, სკოლის ბავშვებმა მოგვიგესო (ლევან ყენიასაც გულისხმობდნენ).

იმ დროს მჭედლიძემ ბევრი საქებარი სიტყვა მოისმინა, მრავალი კლუბი დააინტერესა, ჩვენს გულშემატკივარს კი იმედი გაუჩნდა, რომ ნაკრებს ეზრდებოდა ძლიერი თავდამსხმელი, რომელიც თავის სიტყვას მალე იტყოდა.

მაგრამ ტრავმებმა დიდი დრო წაართვა და 17 წლის ასაკში “ტრანსფერმარკტის” აზრით, 1,5 მილიონ ევროდ ღირებული ფორვარდი ამავე სააგენტომ ამჟამად მხოლოდ 550 ათასად შეაფასა.

თუმცა ეს ყველაფერი უთამაშებლობის ბრალია, ლევანს კი წინ აქვს კარიერაც, მილიონიანი სატრანსფერო ბარიერის გადალახვაც და იმედია, ქართველ გულშემატკივარს ის თავს ისევ შეახსენებს.



ლევან მჭედლიძე

**- ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რას ნიშნავს ეროვნულ ნაკრებში მიწვევა, მით უფრო, სამწლიანი პაუზის შემდეგ.**

- რა თქმა უნდა, ნაკრებში დაბრუნება ძალიან გამიხარდა. შევეცდები, დავამტკიცო, რომ ეროვნულ გუნდში თამაში შემიძლია.

**- საბედნიეროდ, შენი ტრავმიანობა წარსულს ჩაჰბარდა.**

- მეც ამის იმედი მაქვს. ახლა თითქმის ორი თვეა, ტრავმას არ მოვუცდენივარ და ფიზიკურად საკმაოდ კარგად ვარ, “ემპოლიშიც” სისტემატურად მათამაშებენ.

ეგაა, კლუბის საქმე ვერ მიდის კარგად - დღეს დილით გავიგე, რომ მწვრთნელი მოხსნეს და “ემპოლიში” არეულობაა. ბოლო შვიდი მატჩიდან ხუთი წავაგეთ და ეს გადაწყვეტილება ბუნებრივი იყო, მაგრამ ახალი მწვრთნელი მაინც სტრესია, არ იცი, ვინ მოვა და რა თვალით შემოგხედავს.

**- „ემპოლის“ სერია B-ში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს და უცნაურია, სეზონი ცუდად რომ დაიწყეთ.**

- ყველას ეგონა, რომ წლეულს “ემპოლი” სერია A-ში გადასვლისთვის იბრძოლებდა, მაგრამ საშინლად დავიწყეთ. თუმცა მდგომარეობის გამოსწორების იმედი მაინც გვაქვს. შარშან ზედიზედ ხუთი შეხვედრა წავაგეთ და ამის მიუხედავად, ბოლო ტურში “ტორინოსთან” რომ მოგვეგო, პლეი ოფში გავდიოდით.

დაკარგული ჯერ კიდევ არაფერია, სეზონი წინ არის და იმედების გამართლება შესაძლებელია.

**- 11 ოქტომბერს საბერძნეთთან გამარჯვება ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაგვიყვანს, მაგრამ მაინც პრინციპული მატჩია, გუნდის იმიჯზე იმოქმედებს.**

- ბერძნებთან მოგება ნაკრებს წინსვლისა და თავდაჯერებულობისთვის სჭირდება. ჩვენ არ ვართ ისეთი გუნდი, რომელიმე შეხვედრას ზერელედ მოვეკიდოთ, ხალხი ჩვენს თითოეულ მატჩს იმედით ელის და არ უნდა გავაწბილოთ. მთავარია, მწვრთნელის დავალებები შევასრულოთ.

**- საქართველოს ნაკრები ხშირად მაშინ იგებს, როდესაც მოტივაციას კარგავს. შოტლანდიასთან შეხვედრაც ასე იყო.**

- მე ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრებს პრინციპული მატჩის მოგება არ შეუძლია და ქართველებს გამარჯვებულის მენტალიტეტი არ გვაქვს. ყველაფერი გამომდინარეობს იქიდან, რამდენად კონცენტრირებული ვართ ამა თუ იმ თამაშზე, ანუ რამდენად პროფესიონალები ვართ. იმის თქმაც ძნელია, რადგან ეს შეხვედრა არაფერს წყვეტს, აუცილებლად მოვიგებთ. უბრალოდ, როდესაც მოთამაშეები კონცენტრირებული არიან და მწვრთნელის დავალებას ასრულებენ, წარმატების მეტი შანსია. მოდუნებული და კონცენტრაციადაკარგული ფეხბურთელების გუნდს კი წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

**- კონცენტრაცია, დისციპლინა – ეს თვისებები ჩვენს გუნდებსა და ნაკრებებს აშკარად აკლიათ და ბევრი მიიჩნევს, რომ ქართველები ფეხბურთშიც და საერთოდაც, უდისციპლინო ხალხი ვართ.**

- ადრე გუნდს ეს თვისებები აკლდა, მაგრამ ბოლო შესარჩევი ციკლიდან გამომდინარე ამას ველარ ვიტყვი. ბიჭები კონცენტრირებულები იყვნენ, სათამაშო დისციპლინაც ჰქონდათ და ბრძოლისუნარიანობაც გამოავლინეს. იმედია, მალე სხვა პრობლემებიც მოგვარდება. მთავარია, გუნდის მშენებლობა გაგრძელდეს, ეს პროცესი კი დაწყებულია და ბოლოდროინდელი წარუმატებლობის გამო ყველაფერს ხაზი არ უნდა გადაესვას.

**მერაბ მამულაშვილი**

გაგრა

“გაგრა” ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ მოთამაშეთა ასაკს ხელი არ შეუშლია, საქართველოს თასი მოეპოვებინა და უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულიყო. ახალგაზრდული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი შალვა კვანტალიანია. ამჟამად 20 წლის თავდამსხმელი უმაღლეს ლიგაში 17 წლისა გამოჩნდა თბილისის “ლოკომოტივში” და პირველ ორ შეხვედრაში ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.




# კიდევ კარგი, ფინეთში არ წავედი

## ქართველი ფეხბურთელის სიზმარი: გავდივარ მოედანზე, გაზონი ხასხასა და სწორია, თამაში გინდა...

### ასე იწყებოდა

თავიდან “ნორჩ დინამოში” ვვარჯიშობდი, თუმცა მცირე ხნით, მერე “ლოკომოტივში” ჯუმბერ აბაშიძესთან და ვახტანგ ჩოჩიშვილთან გადავედი და უფროსებში გადაყვანამდე იქ ვთამაშობდი. ჩვენი გუნდი “სპარტაკის” სახელით პირველ ლიგას დაამატეს და ერთ სეზონში უმაღლესში გადავედით. პირველ ლიგაში სადებიუტო შეხვედრისას მხოლოდ 15 წლისა ვიყავი.

2007 წელს კარლო მჭედლიძის აკადემიის “ოლიმპიკში” გადავედი, რომელიც ასევე პირველ ლიგაში გამოდიოდა. 2008 წელს ეს გუნდი დაიშალა და “ოლიმპიკის” სხვა გუნდში აღმოვჩნდი, რომელსაც დავით მუჯირი ავარჯიშებდა და რეგიონალლიგაში ვითამაშე. იმავე წელს მუჯირმა თბილისის “ლოკომოტივში” მიმიყვანა სინჯებზე და ორმხრივ შეხვედრაში გიორგი კიკნაძესა და ზაზა ზამთარაძეს მოვეწონე.

უმაღლეს ლიგაში პირველი მატჩიც კარგად მახსოვს. ეს ის პერიოდია, როდესაც რატი ალექსიძე “დიორი ეტოში” წავიდა. ისე მოხდა, რომ საწყის ტურებში “ლოკომოტივის” ორივე თავდამსხმელი დაშავდა - გოგა მოდებაძე და დათო ჩაგელიშვილი, ასე რომ, უმაღლეს ლიგაში დაუგეგმავად ვითამაშე, არადა, დუბლებისთვის ამიყვანეს. მაშინ ლიგაში ერთ-ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი ვიყავი — 17 წლის.

სხვათა შორის, პირველი მატჩი “გაგრასთან” ვითამაშე. კარგად მახსოვს უმაღლესში გატანილი პირველი გოლიც – 2008-09 წლების სეზონში მეორე ტურში ცხინვალის “სპარტაკს” ვხვდებოდით, დაჩი ფოფხაძისგან მივიღე ბურთი და ბესიკ კოდალაევთან ერთი-ერთზე გასულმა გავიტანე.

### ზოგჯერ წაუსვლელობაც ჯობს

ყველაზე დიდი სიხარული “სპარტაკთან” გოლი იყო, იმედგაცრუება კი “ლოკომოტივის” ძლიერი შემადგენლობის დაშლა გამოდგა. ამ გუნდმა მომცა უმაღლესში თამაშის საშუალება და დიდი ნახტომი გამომივიდა, ამიტომაც განვიცადი მის დასუსტებას და პირველ ლიგაში დაქვეითებას.

2009 წელს “გაგრაში” გადავედი, მაგრამ ვიქტორ კაშჩეი არ მათამაშებდა, დუბლებში გადამიყვანა, სადაც მუხლიც დამიზიანდა. ეს ჩემთვის ყველაზე მძიმე პერიოდი იყო. “გაგრადან” გავთავისუფლდი და გუნდთან მხოლოდ ფორმის შესანარჩუნებლად ვვარჯიშობდი.

უცებ გამოჩნდა ვარიანტი, ფინური კლუბი “კაიანი”, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო დარჩენა მომიხდა. მაშინ ეს ამბავი განვიცადე, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან სულაც არ ვნანობ. მერე გავიგე, რომ გუნდს რეალურად არც დიდი ამბიციები ჰქონდა და არც ფინანსურად ულხინდა – რანგით მესამე ლიგის კლუბი იყო და მეორეშიც ვერ გადავიდა.

პარალელურად “გაგრაში” ვარჯიში არ შემიწყვეტია. ერთხელაც ორკარას თამაშისას კაცი დააკლდათ და დამიმატეს. იმ დღეს გოლი გავიტანე, ამ დროისთვის “გაგრას” უკვე ანატოლი პისკოვეცი ავარჯიშებდა, მოვეწონე და დარჩენა მთხოვა.

### რა გუნდია გაგრა?

მას შემდეგ ორი წელი გავიდა, ძირითად შემადგენლობას გავუშინაურდი და მიხარია, “გაგრაში” რომ ვთამაშობ – ეს საკმაო პოტენციალის, შეკრული და მეგობრული გუნდია, რაც მწვრთნელის დამსახურებაა. უმაღლესიდან რომ გავვარდით, ყველაფერი გააკეთა, გაუმჯობესებული პირობები რომ გვქონოდა. ჯერ არ მახსენდება შემთხვევა, ვინმეს ტრავმა მიელოს და მას სახლში არ დაერეკოს, არ მოეკითხოს. მუდამ ინტერესდება ბიჭების პრობლემებით, განსაკუთრებით, გაჭირვების დროს. ასე ბევრი მწვრთნელი არ იქცევა. ბიჭებს უფროსი მეგობარივით გვიყვარს, ფეხბურთელებისთვის მამაც არის, მეგობარიც, ნათესავიც.

გვათამაშებს გუნდურ ფეხბურთს, რითაც ბევრი ქართული კლუბი არ გამოირჩევა. სწორედ ასეთი ატმოსფეროს დამსახურებაა თასის მოპოვება და უმაღლესში დაბრუნება. ძალიან მინდა, “გაგრასთან” ერთად ჩემპიონატში საპრიზო ადგილი მაინც დავიკავოთ და კვლავ თასის ფინალში გავიდეთ - თასის მოპოვება ხომ სულ სხვა სიხარულია.

### მიზანი და საშუალება

უპირველესად, ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვედრაზე ვფიქრობ. ეს ჯერ ასე არ არის, თუმცა უნაკრებობა ჩემს შესაძლებლობებში კი არ მაეჭვებს, მეტი მონდომებისა და ნაკლის გამოსწორებისკენ მიბიძგებს. მაგალითად, უკეთესი სასტარტო სიჩქარე არ მაწყენდა.

თავდამსხმელებში, უპირველესად, ბრაზილიელი რონალდო მომწონს და მიმაჩნია, რომ, ვინც მინახავს, ფორვარდებში ყველაზე მაგარი ის იყო.

რამდენი გოლი უნდა გაჰქონდეს საქართველოს ჩემპიონატში თავმოყვარე და ამბიციურ თავდამსხმელს? ჩემი აზრით, 15 მაინც. შესაძლოა, ესეც ცოტაა, მაგრამ გოლეადორს შემქმნელი და პასის მიმცემი პარტნიორი სჭირდება, ასეთი კი საქართველოში არ ჩერდება და თავდამსხმელები ვწვალობთ. ცალკე უხარისხო მოედნები გვიშლის ხელს და რამდენჯერ მინატრია, ნეტავ, ჩვენც ინგლისელებივით ვიყოთ განებივრებულები ხარისხიანი გაზონებით, მერე ხომ ცოტა უკეთეს ფეხბურთს მაინც ვითამაშებდით.

**მერაბ მამულაშვილი**

რეგიონი

# დილა გორიდან მიდის



ასე გამოიყურება დღეს დილას სტადიონი

გორელებს მომავალ წლამდე მშობლიურ ქალაქში უმაღლესი ლიგის მატჩები ისევ მოენატრებათ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაგეგმილი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში განსახორციელებელი მინდვრის საფრის შეცვლის პროგრამა გორსაც მოადგა. თენგიზ ბურჯანაძის სახელობის არენაზე რამდენიმე დღის წინ საფრის აღება დაიწყეს. მისი შეცვლის პროცესი მომდევნო ეტაპითურთ (რა დროსაც ახალდაგებულ მინდორზე თამაში სასურველად არ მიიჩნევა), სავარაუდოდ, ორ თვეს გასტანს, ასე რომ, „დილა“ წლის ბოლომდე შინაურ სტადიონზე ველარ ითამაშებს. შესაბამისად, კლუბის ხელმძღვანელობის წინაშე დადგა საშინაო მატჩებისთვის სტადიონის მოძიების საკითხი.

*„გორის მეორე სტადიონზე, „ქართლზე“ თამაში თავიდანვე გამოვრიცხეთ. ერთია, რომ „ქართლზე“ უმაღლესი ლიგის მატჩების გამართვის ნებართვას ფედერაცია აღარ იძლევა. შეიძლება გვეთხოვა კიდეც, რომ ფედერაციას მცირე ხნით გარკვეული გამონაკლისი დაეშვა, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ქალაქის ის უბანი, სადაც ეს სტადიონი მდებარეობს, მეტისმეტად ქარიანია და, ვინაიდან „დილას“ სათამაშო სტილად კომბინაციური ფეხბურთი აქვს არჩეული, ეს ვარიანტი ჩვენ ვერ გვახეირებს. ასე რომ, გორის ცენტრალური მოედნის მოწესრიგებამდე, სავარაუდოდ, სხვა ქალაქში მოგვიწევს საშინაო შეხვედრების გამართვა. ამასთან, უნდა ვიფიქროთ ჩვენს ერთგულ გულშემატკივარზეც - მათი რაოდენობა ხომ „თენგიზ ბურჯანაძეზე“ მუდამ რამდენიმე ათასი იყო. შევეცდებით, ყოველ მატჩზე გამოვყოთ ავტობუსები, რათა მათი გარკვეული ნაწილი მაინც ვიახლოთ თან“* — გვითხრა კლუბის ერთ-ერთმა მესვეურმა **ალბერტ საყვარელიძემ**.

სიახლეა კლუბის ხელმძღვანელობაშიც. „ზესტაფონში“ სპორტულ დირექტორად მიწვეული **მიხეილ ხუციშვილის** ნაცვლად, „დილას“ გუნდის უფროსად იმუშავებს ამ კლუბის ყოფილი ფეხბურთელი და მწვრთნელი **ვანო ხორგუაშვილი**. იგი აქამდე ქალაქის გამგებლის მოადგილე იყო და, სხვათა შორის, მაშინაც გამუდმებით „დილას“ ირგვლივ ტრიალებდა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● სამწვრთნელო საკითხი

# ქრონიკული სიტუაცია: გაიტანით, ეს თქვენი მწვრთნელია!

**საქართველოს ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენებაა და ამ დროის განმავლობაში უმაღლესი ლიგის გუნდებში კვლავაც რამდენიმე სამწვრთნელო ცვლილება რომ მოხდეს, არავის გაუკვირდეს. ანდა, რა არის გასაკვირი, — ახალი სეზონის დაწყებიდან ორი თვეა გასული და სამწვრთნელო გადაადგილებ(ებ)ის უკვე ცხრა შემთხვევა იყო! თანაც, რამდენიმე გუნდში ფეხბურთელებს, ლამის იყო, ყოველ მეორე-მესამე ტურში... ახალ-ახალი მწვრთნელების „გაცნობა“ უწევდათ!**

დაახლოებით ერთი თვის წინათ იყო, საქართველოს ჩემპიონატში მწვრთნელების მოხსნა-დანიშვნის მართლაც „უცნაურ“ ტენდენციას „ლელომ“ ვრცელი წერილი რომ მიუძღვნა; იმ დროისათვის (ოთხი ტურის შემდეგ) უკვე სამ გუნდში იყო მომხდარი სამწვრთნელო ცვლილება და ისიც ვივარაუდეთ, რომ „მსგავსი ტემპებით“, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ანტირეკორდის დამყარებასაც წინ არაფერი დაუდგებოდა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყველაფერი აქეთკენ მიდის — აგვისტოში დაწყებულმა მწვრთნელების „შერისხვამ“ სექტემბერში უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო! საერთოდ კი, უმაღლესი ლიგის 12 გუნდიდან შვიდში არ მომხდარა სამწვრთნელო ცვლილება, თუმცა უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დიდი შანსი იყო, რომ განთავისუფლებულ მწვრთნელთა რიცხვი გაზრდილიყო; საბედნიეროდ, ზოგან სალმა აზრმა „გაიმარჯვა“ და ყველასათვის მოულოდნელი სამწვრთნელო ცვლილებაც აღარ მოხდა, — ამ შემთხვევაში კონკრეტული მაგალითის მოყვანაც შეიძლება და ზუგდიდის „ბაიას“ ფეხბურთელთა მართლაც დასაფასებელი საქციელიც უნდა აღვნიშნოთ, შესაცვლელად „გამზადებულ“ გუნდის მთავარ მწვრთნელს **ელგუჯა ქომეთიანს** სრული მხარდაჭერა რომ გამოუცხადეს. სხვაგან განსხვავებული სიტუაცია იყო: ერთ-ერთი გუნდის მთავარი მწვრთნელი საკუთარი სურვილით აპირებდა თანამდებობიდან წასვლას, მაგრამ სულ ბოლო მომენტში გადაიფიქრა; მეორეგან სხვა მწვრთნელის ძიებაში არიან — იმ კლუბის ხელმძღვანელებს გუნდის არასახარბიელო შედეგები არ აკმაყოფილებთ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ სულ მცირე, ზამთრის პაუზამდე არაფერი შეიცვალოს. თქვენი ნებართვით, ჩვენ მიერ ნახსენებ სხვა ორ გუნდს, „ბაიასგან“ განსხვავებით, არ დავასახელებთ, — როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმის ალბათობა მართლაც დიდია, რომ არც ერთგან არაფერი შეიცვალოს და მწვრთნელებმაც „მშვიდად“ გააგრძელონ მუშაობა.

აი, რაც შეეხება ამ ჩემპიონატის გამოკვეთილ აუტსაიდერ გუნდში, ბოლნისის „სიონში“ მომხდარ სამწვრთნელო ცვლილებებს, ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ მართლაც „საინტერესო“ სიტუაციაა...

ტია, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გუნდმა რამდენიმე კვალიფიციური ფეხბურთელი თუ არ დაიმატა, პირველ ლიგაში დაქვეითებისაგან ვერაფერი იხსნის (რეგლამენტის შეცვლის გარდა). შეგახსენებთ: ამ სეზონში ჩემპიონატი ახლებურად ტარდება და დღევანდელი გადმოსახედიდან, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რომ „სიონმა“ პირველ რვა გუნდში დაასრულოს პირველი ეტაპი. მართალია, მომდევნო ეტაპზე უმაღლეს ლიგაში IX-XII ადგილებზე გასული გუნდები და პირველი ლიგის ოთხი საუკეთესო გუნდი ახალ, ორწრიან ტურნირს ნული ქულით დაიწყებენ, მაგრამ, ვფიქრობთ, ბოლნისელთათვის ეს დიდი ვერაფერი შეღავათი იქნება...

## მძიმე ტვირთი

1995 წლიდან მოყოლებული, ბოლნისურ კლუბში არაერთ მწვრთნელს უმუშავია, თუმცა ერთეული შემთხვევები იყო, როცა ამა თუ იმ სპეციალისტს სეზონი სრულად ჩაუმთავრებია. კონკრეტული გვარების დასახელებაც შეგვიძლია: **ნოდარ ხიზანიშვილი** (1995-96 წლების სეზონი), **ანზორ გრძელიძე** (1997-98), **სპარტაკ არჩვაძე** (1999-2000), **თემურ მახარაძე** (2002-03), **ოთარ კორღალიძე** (2008-09). აი, დანარჩენ თერთმეტ ჩემპიონატში კი, როგორც წესი, სულ მცირე, ორი-სამი სამწვრთნელო გადაადგილება მაინც უნდა მომხდარიყო; ეგ კი არა, ორჯერ (1998-99 და 2004-05 წლების სეზონში) ისეც მოხდა, რომ ერთი ჩემპიონატის განმავლობაში „სიონს“ მწვრთნელი ... ოთხჯერ შეეცვალა! თუმცა, რაღა შორს მივდივართ: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ რვა ტურია გასული და „სიონის“ ფეხბურთელები, ლამის არის, ყოველ მეორე-მესამე დღეს ახალ-ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ! შეგახსენებთ, რომ შეკრებაგაუვლელი და ფაქტობრივად სეზონის დაწყების წინ ჩამოყალიბებულ-დაკომპლექტებული გუნდის გაძღოლა თავდაპირველად ადგილობრივ სპეციალისტებს, **ჯონი ჯაგიდისსა** და **ვახტანგ ჩაგელიშვილს** მიანდეს. „დე ფაქტო“ მთავარი მწვრთნელი ჯაგიდისი გახლდათ, თუმცა შესაბამისი სამწვრთნელო ლიცენზიის არქონის გამო მატჩის ოფიციალურ განაცხადში „სიონის“ თავკაცად ჩაგელიშვილს მოიხსენიებდნენ. საწყისი ოთხი ტურის შემდეგ (გუნდმა ორი მატჩი წააგო, ორიც ფრედ ითამაშა) ბოლნისელთა კლუბში პირველი სამწვრთნელო ცვლილება მოხდა: გუნდის საშველად ხვიჩა ქასრაშვილს უხმეს, ვისი ხელმძღვანელობითაც ჩაამთავრა კიდეც „სიონმა“ წინა სეზონი. ქასრაშვილმა კარგად იცოდა, „სად“ მიდიოდა, მით უმეტეს, რომ თავის სამწვრთნელო კარიერაში მეოთხედ (!) უწევდა „სიონის“ ჩაბარება. ქვემოქართლელთა ძველ-ახალმა მწვრთნელმა რამდენიმე ახალი ფეხბურთელის დამატებაც განიზრახა, გუნდთან ერთად რამდენიმე ვარჯიშიც ჩაატარა და ერთი სპარინგ-შეხვედრაც



სიონის სათადარიგოთა სკამი. ცენტრში ლევან ბაჯელიძე

## სეზონის იმედგაცრუება

XXIII ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი იმედგაცრუება, რაღა თქმა უნდა, ბოლნისის „სიონის“ წარუმატებელი ასპარეზობაა; ქვემოქართლური კლუბი უმაღლეს ლიგაში 1995 წელს გამოჩნდა და იმის შემდეგ მუდამ უძლიერესთა შორის ასპარეზობს. ამ 16 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად უფერული სეზონებიც ყოფილა, ჩვეულებრივიც და, რაღა თქმა უნდა, წარმატებულიც. ყველაფერი თავი რომ დავანებოთ, 2006 წელს გუნდი საქართველოს ჩემპიონიც გახდა და იმავე წლის ზაფხულში ჩემპიონთა ლიგაზე ერთი ეტაპის გავლაც შეძლო (საერთოდაც, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა რაიონული ცენტრის გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა). სამწუხაროდ, ბოლო წლებში გუნდს საჩემპიონო ამბიცია აღარ ჰქონია, თუმცა იმასაც ვერავინ იტყოდა, მუდამ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძოდაო (გამონაკლისი წინა სეზონი იყო, როცა ჩემპიონატის ფინიშზე რეგლამენტის შეცვლამ ბოლნისელებს სულზე მიუსწრო, რადგან პლეი ოფში მონაწილეობის საფრთხეც არსებობდა). ასეთი „მძიმე“ ფინიშის შემდეგ ყველას გვეგონა, რომ ამ სეზონის დაწყების წინ გუნდს შეძლებისდაგვარად მიხედავდნენ და შარშანდელი წარუმატებლობაც „დროებით ჩავარდნად“ შეფასდებოდა, მაგრამ საქმე უარესობისკენ წავიდა. შეგახსენებთ: სიტუაცია იმდენად არასახარბიელო იყო, რომ საერთოდ, გუნდის ყოფნა-არყოფნის საკითხიც დადგა! ეგ კი არა, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირა რჩებოდა „სიონს“ კი... ვარჯიშიც არ ჰქონდა დაწყებული! საბედნიეროდ, გუნდი არ დაშლილა და შეკრებაგაუვლელი და სახელდახელოდ დაკომპლექტებული „სიონიც“ ჩემპიონატში ჩაერთო; რა თქმა უნდა, არავინ ელოდა, რომ ბოლნისელებს დიდი ამბიციები ექნებოდათ, მაგრამ ასეთი წარუმატებელი სტარტი მაინც მოულოდნელი იყო: რვა ტურის შემდეგ გუნდი გამოკვეთილი აუტსაიდერია! სამწუხარო რეალობაა და ვერავინ „გაექცევა“ იმ რეალობას, რომ უმაღლეს ლიგაში ყოფნის განმავლობაში „სიონს“ ასეთი ცუდი სტარტი არასდროს ჰქონია; თავად განსაჯეთ: რვა ტურის შემდეგ უმაღლეს ლიგაში ერთადერთი გუნდი „სიონია“, მოგება რომ არა აქვს; გუნდმა ყველაზე ნაკლები ქულა (2) დააგროვა, ყველაზე ნაკლები გოლი (3) აქვს გატანილი და ყველაზე მეტი (15) გაშვებული! ისიც ფაქ-

(ცხინვალის „სპარტაკთან“), მაგრამ როცა უახლოეს ოფიციალურ მატჩამდე („ტორპედოსთან“) ორი დღე იყო დარჩენილი, თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა! ამ მოულოდნელი ნაბიჯის მიზეზებზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს, თუმცა ფაქტია, რომ მართლაც ამ „უცნაურ“ გადაწყვეტილებას ნებისმიერი მწვრთნელი უმიზეზოდ არ მიიღებდა...

...მეხუთე ტურში „სიონის“ მთავარი მწვრთნელი ზემოთ ნახსენები ვახტანგ ჩაგელიშვილი გახლდათ — ქუთაისში გუნდი სწორედ მან გამოიყვანა. თუმცა, ამის მერე გუნდში კვლავაც მოხდა სამწვრთნელო გადაადგილება და „სიონის“ გაძღოლა კლუბის ყოფილ ფეხბურთელსა და კაპიტანს — **ლევან ბაჯელიძეს** მიანდეს, ვინც ბოლო წლებში ბოლნისური კლუბის სპორტული დირექტორი გახლდათ. სამწუხაროდ, ახალგაზრდა მწვრთნელს დებიუტმა მაინცდამაინც ქვეყნის ჩემპიონთან, „ზესტაფონთან“ მოუწია (1:2), მერე იყო დასანანი მარცხი სტუმრად გორში (ბოლნისელებმა ერთადერთი გოლი ბოლო წუთზე პენალტით გაუშვეს), რასაც „დინამოსთან“ დიდი ანგარიშით საშინაო მარცხი (0:3) მოჰყვა. სწორედ ამ შეხვედრის მერე იყო, ბაჯელიძეს „ცხელ გულზე“ გუნდიდან წასვლაზე რომ უთქვამს; ჰოდა, ჩვენთან როგორც ხდება ხოლმე, ამ „გამოთავისუფლებულ ადგილზე“ თურმე მავანნიც დაფაცურებულან: მერე რა, რომ გუნდი აუტსაიდერია, სეზონში მატჩი არ მოუგია (არც ჩემპიონატში, არც თასზე ძირითად დროში), მაინც უმაღლესი ლიგაა. თანაც წინ დიდი დროა და ასე შემდეგ. ისე, ბაჯელიძის გასაკრიტიკებლად ენა ვის უნდა მობრუნებოდა — ორ კვირაში „სასწაულს“ ნამდვილად ვერ მოახდენდა. საბედნიეროდ, ახალგაზრდა მწვრთნელს სამეგობროში თუ გარკვეულ წრეებთან მოთათბირების შემდეგ გუნდიდან წასვლა გადაუფიქრებია და როგორც შევიტყვეთ, კვლავაც „სიონის“ მთავარ მწვრთნელად გააგრძელებს მუშაობას. იმედია, საქმეში ხელის შეშლის მაგივრად ყველასგან დახმარება ექნება: კლუბის ხელმძღვანელობისგანაც, ერთგული და მომთხოვნი ბოლნისელი ქომაგებისგანაც და, რაც მთავარია, ფეხბურთელებისგანაც. ისე გულახდილად ვიტყვით, რომ „სიონი“ პირველ ლიგაში გასავარდნად ნამდვილად არ გვემეტება...

**გია ტუხაშვილი**

● ინტერვიუ ზვიად მეტრეველთან



ზვიად მეტრეველი (მარცხნივ)

# ახლადგანათებულზე სპარტაკიც განათდა

## ზვიად მეტრეველს რვა არ ეზევრება

**გასულ ზამთარს თბილისის "დინამოდან" ცხინვალის "სპარტაკში" გადასულმა ზვიად მეტრეველმა წინა სეზონი 7 გოლით დაასრულა, რაც სპარტაკელთა შორის საუკეთესო შედეგი იყო. მიმდინარე ჩემპიონატში გოლების პირადი აქტივის გახსნა დაუგვიანდა, მაგრამ მე-8 ტურში ერთბაშად ორი ბურთი გაიტანა. "სპარტაკმა" სწორედ მისი დუბლის წყალობით დაამარცხა "ვიტ ჯორჯია". სხვათა შორის, ამ შეხვედრაში გუნდს სწორედ ზვიად მეტრეველი კაპიტნობდა.**

**დუბლის ავტორს ვეტერინარებთან მატჩზე, ახალ მწვრთნელზე, მომავალსა და საერთოდ, "სპარტაკში" არსებულ ვითარებაზე გავესაუბრეთ.**

**- "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩმა, ცხადია, მხოლოდ სასიამოვნო მოგონებები დაგიტოვა.**

- რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი ვარ. "ვიტ ჯორჯიას" სახით ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავდა. მართალია, ამ გუნდს წინა ჩემპიონატის შემდეგ რამდენიმე ლიდერი გამოაკლდა, მაგრამ მათ ახლაც კარგი შემადგენლობა ჰყავთ. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენთან თამაშამდე სამი მატჩი ზედიზედ მოიგეს. ახალგაზრდული, მოძრავი და მებრძოლი გუნდია, თანაც, კარგად შეთამაშებული. შვიდმატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ ძალების მობილიზება შევძელით, სამი ქულისთვის ბოლომდე ვიბრძოლეთ და მონდომებაც დაგვიფასდა. როგორც იქნა, მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გამარჯვება ვიზეიმეთ. მომდევნო მატჩებშიც ქულები უნდა ავიღოთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სეზონის პირველი ნახევრის ბოლოსთვის საუკეთესო რვა გუნდს შორის ვიყოთ.

**- მოუგებელი სერიის შემდეგ გუნდისთვის ფსიქოლოგიური მომზადებაც საჭიროა. მატჩის წინ რა გითხრათ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა?**

- ქართველ სპეციალისტებს შორის სულ რამდენიმეს აქვს სამწვრთნელო პრო-ლიცენზია და მათ შორის ერთ-ერთი ჩვენი გუნდის თავკაცი ვლადიმერ ხაჩიძეა. მან იცის თავისი საქმე და წმინდა საფეხბურთო კომპონენტების გარდა, ფსიქოლოგიურადაც კარგად მოგვამზადა. ერთი სიტყვით, მწვრთნელმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ გვერწმუნა საკუთარი ძალების და თავისუფლად, დაუძაბავად გვეთამაშა. რა თქმა უნდა, ჩვენს მწვრთნელს მეტოქეც კარგად ჰყავდა შესწავლილი და შესაბამისი დავალებებიც მოგვცა.

**- "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში გუნდის კაპიტნობა მოგანდეს.**

- დიახ, ჩვენი კაპიტანი თეიმურაზ შონია ამ მატჩს ავადმყოფობის გამო ტოვებდა და მის არყოფნაში მწვრთნელმა კაპიტნის სამკლავური მე გადმომცა. კაპიტნობა ჩემთვის დიდი სტიმული და პასუხისმგებლობა იყო. ვფიქრობ, ეს მისია ჩემი თამაშითა და გოლებით გავამართლე კიდეც.

**- ხშირად არ ხდება, როცა თავდამსხმელი დაცვაშიც ჩადის გუნდის დასახმარებლად, შენ კი მთელი 90 წუთის განმავლობაში მოედნის თითქმის ყველა მონაკვეთში იბრძოდი. ეს მწვრთნელის დავალება იყო?**

- არა, პირადი ინიციატივა. მივხვდი, რომ გუნდისთვის ასე სჯობდა და თავი არ დამიზოგავს. თითოეულ ჩვენგანს ისე გვწყუროდა გამარჯვება, რომ ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდით.

**- "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩი განათების პრობლემების გამო შეწყდა. თამაშის განახლების შემდეგ "სპარტაკი" ბევრად უკეთ ათამაშდა. ეს პაუზის დამსახურება ხომ არ იყო?**

- შესაძლოა, ასეც იყოს. მონდომება არც მანამდე გვაკლდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ განათების აღდგენის შემდეგ უკეთესად ვითამაშეთ, ბოლომდე ვიბრძოლეთ და თამაშიც სასურველი შედეგით დავასრულეთ.

**- გასულ სეზონში "სპარტაკში" ყველაზე მეტი გაიტანე, ამ ჩემპიონატში კი გოლები დაგიგვიანდა. ამას რით ახსნი?**

- წინა ჩემპიონატში "სპარტაკს" სეზონის მეორე ნახევრიდან შევუერთდი და 7 გოლი გავიტანე. ამ ჩემპიონატში მართლაც დამიგვიანდა გატანა... ყველა თამაშში გოლზე ვარ ორიენტირებული, მაგრამ აქამდე არ მიმართლებდა. ამჯერად კი ნავსი გატყდა, მეც გავიტანე და გუნდმაც პირველი გამარჯვება იზეიმა. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება, მომდევნო მატჩებშიც წარმატებით ვიასპარეზებთ, გოლებსაც გავიტან და ბომბარდირებშიც გავერევი.

**- პირველი მოგებით "სპარტაკმა" მეათე ადგილზე აინაცვლა. მოწინავე ოქტეტში მოსახვედრად უშუალო კონკურენტებად რომელ გუნდებს მიიჩნევ?**

- ეს მატჩი რომ ვერ მოგვეგო, ალბათ, ზედა რვა გუნდში მოხვედრას ველარ შევძლებდით. ახლა კი ამის არცთუ ურიგო შანსები გვაქვს. უშუალო კონკურენტებად კი მარტვილის "მერანს", ფოთის "კოლხეთსა" და "გაგრას" მივიჩნევ. მომდევნო მატჩებში ნებისმიერ გუნდთან მოსაგებად გავალთ მოედანზე, მჯერა, საკმარის ქულებსაც დავაგროვებთ და რვა საუკეთესოშიც მოვხვდებით.

**- რა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა "სპარტაკში" ვლადიმერ ხაჩიძის მოსვლას?**

- ვფიქრობ, გუნდი ფსიქოლოგიურად დაძაბული იყო, ახალმა მწვრთნელმა შეძლო და ეს დაძაბულობა მოგვიხსნა. ახლა თავისუფლად გავდივართ მოედანზე და ეს ჩვენს თამაშზეც აისახა. "ვიტ ჯორჯიასთან" გამარჯვებამ კი თავდაჯერება შეგვმატა, რაც მომდევნო მატჩებში დიდად წაგვადგება.

**- წინ "ტორპედოსთან" საგარეო მატჩია, მანამდე კი ორკვირიანი სანაკრებო პაუზა...**

- ეს პაუზა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ქუთაისშიც მოსაგებად ჩავალთ. "ტორპედოს" ჩვენთან თამაში უჭირს ხოლმე და შევეცდებით, ეს ფაქტორი საჩვენოდ გამოვიყენოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ქუინზ პარკი

# ვერ დაჯდა და წავიდა



„ქუინზ პარკ რეინჯერსის“ მწვრთნელმა, **ნილ უორნოკმა** გადაწყვიტა 22 წლის მაროკოელი ვარსკვლავი **ადელ ტაარაბტი** არ დააჯარიმოს, თუმცა დაიბარებს და აუხსნის, რა მოუვა იმ შემთხვევაში, თუ ერთხელაც გაიმეორებს იმას, რაც მეშვიდე ტურში, „ფულჰემთან“ შეხვედრის დროს ჩაიდინა. კერძოდ კი აი, რა მოხდა: უორნიკმა „კრეივენ კოტეჯზე“ ანუ „ფულჰემის“ სტადიონზე გამართული შეხვედრის შესვენებისას ტაარაბტი შეცვალა. „რეინჯერსს“ უჭირდა (მოგეხსენებათ, საბოლოოდ „ფულჰემმა“ 6:0 მოუგო) მაგრამ მაროკოელმა საკუთარი გუნდის მიმართ უკიდურესი გულცივობა გამოამჟღავნა და აქაოდა, შემცვალესო, სულ წავიდა სტადიონიდან.

მეორე მხრივ, „დეილი მეილთან“ ინტერვიუში უორნოკმა განაცხადა: *„არ დაგიმალავთ და ფეხბურთელისაც მესმის. ვინ იცის, მეც რომ შევეცვალე მწვრთნელს, მოედნიდან გამოვსულიყავი და დასაჯდომი ადგილი არ დამხვედროდა, მეც წავსულიყავი სტადიონიდან. ტაარაბტს სწორედ ასეთი რამ გადახდა, რაც დაუშვებელია“.*

უორნოკმა ტაარაბტთან ერთად მისი 33 წლის თანაგუნდელი, **შონ დერიც** გამოცვალა, მაგრამ ის არსად წასულა, ბოლომდე „კრეივენ კოტეჯზე“ დარჩა და დამარცხების სიმწარე თანაგუნდელებთან ერთად გაიზიარა. საერთოდაც, ტაარაბტს გუნდში ზარმაცის სახელი აქვს გავარდნილი და „რეინჯერსის“ მოთამაშეები მის მიმართ მაინცდამაინც მეგობრულად არ არიან განწყობილები. ისინი ამბობენ, რომ მაროკოელი ვარჯიშებზე დანარჩენების მსგავსად ბოლომდე არ იხარჯება. „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ მომუშავე ერთმა ადამიანმა „დეილი მეილს“ უამბო:

*„კლუბში ყველამ იცის, რომ ადელს ვარჯიში არ უყვარს, რაც ფეხბურთელთაგან ბევრს აღიზიანებს. ისე ჩანს, რომ მას სხვებისგან განსხვავებით უფრო ლმობიერად ექცევიან, თუმცა მოთამაშეებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, სწამთ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ყველამ ბრძოლით უნდა მოიპოვოს, ამისათვის კი ვარჯიშებზე თავდადებაა საჭირო“.*

დღეისათვის ტაარაბტი მაროკოშია და „რეინჯერსს“ მხოლოდ სანაკრებო ინტერვალის შემდეგ დაუბრუნდება. სხვათა შორის, მას ეროვნულ გუნდშიც პრობლემები ჰქონდა, მწვრთნელს, ცნობილ ბელგიელ **ერიკ გერეტსს** ვერ გაუგო და ამ წლის დასაწყისში გამოაცხადა, რომ ნაკრებიდან მიდის, თუმცა, გერცმა მოინდომა და მისი დაბრუნება მოახერხა.

● ინგლისის ნაკრები

# შირერი კაპელოს არ შეცვლის



ვეტერანმა ვარსკვლავმა, **ალან შირერმა** განაცხადა, რომ გაისად, როდესაც იტალიელი სპეციალისტი **ფაბიო კაპელო** ინგლისის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგება, იგი მის შესაძლო შემცვლელთა შორის არ უნდა განიხილონ. შირერი, რომელსაც უეფას პრო-ლინცენზიით ჯერ არსად უმუშავია, ამბობს:

*„ჩემზე გაცილებით გამოცდილი კანდიდატებიც არსებობენ. როდესაც დაფიქრდები, თუ რამხელა გამოცდილება და მიღწევები აქვთ ჰარი რედნაპსა და როი ჰოჯსონს, ჩემი მათ გვერდით დაყენება უხერხულადაც კი მოგეჩვენება“.*

მოგეხსენებათ, მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიამ იცის შემთხვევები, როდესაც გამოჩენილ ფეხბურთელებს კარიერის დასრულების შემდეგ თავი მწვრთნელობაში უცდიათ და პირველივე გუნდი, რომელიც ჩაუბარებიათ, მათი ქვეყნის ეროვნული ნაკრები ყოფილა. ასეთები იყვნენ, მაგალითად **მარკო ვან ბასტენი** და **იურგენ კლინსმანი**. მათგან განსხვავებით შირერი, რომელსაც ინგლისის ნაკრების მაისურით 63 შეხვედრაში 30 გოლი აქვს გატანილი, თანამდებობის დაკავებას არ ჩქარობს. ის „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავკაც ჰარი რედნაპს უჭერს მხარს.

*„ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, მეც სიამოვნებით ჩავიბარებ ინგლისის ნაკრებს, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ჰარის ადამიანებთან მუშაობის საოცარი უნარი აქვს და ამ თვისების გამო დიდებული კანდიდატურაა. ხალხთან ურთიერთობის უნარი კლუბებშიც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ნაკრებში ეს თვისება ერთიორად ფასობს. ეროვნულ გუნდში ხომ ფეხბურთელებს თამაშის წინ სულ რამდენიმე დღით ხვდები. ყველაზე დიდხანს, ნაკრების თავკაცს მოთამაშეებთან ტურნირების დროს უწევთ ურთიერთობა. ეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ხდება და დიდი-დიდი ხუთ კვირას გრძელდება“.*

შირერის სამწვრთნელო გამოცდილება „ნიუკასლ იუნაიტედში“ თავკაცის მოვალეობის შემსრულებლად რვაკვირიანი მუშაობით შემოიფარგლება. მის ხელში „კაჭკაჭები“ პრემიერლიგიდან გავარდნენ. „ნიუკასლის“ ყოფილი თავდამსხმელი დღეს ტელევიზიაში საფეხბურთო მიმომხილველად მუშაობს, მაგრამ არ მალავს, რომ მომავალში მწვრთნელობას აპირებს.

*„მწვრთნელობა სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება, მაგრამ, როდესაც ადამიანს ეს საქმე სისხლში გაქვს, რაღაც გექაჩება და ადრენალინის გამოყოფისკენ გიბიძგებს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმან, რაც „ნიუკასლში“ გადამხდა, ახალი თავგადასავლებისკენ მიბიძგა“.*

● ფულჰემი

# ჯარიმა და არეულობა ფულჰემში

პენალტის ვერგატანისთვის „ფულჰემის“ ჰოლანდიელმა თავკაცმა, **მარტინ იოლმა** ფეხბურთელი დააჯარიმა. პრემიერლიგური ხელფასების კვალობაზე ჯარიმა დიდი არ არის, სულ 500 ფუნტია, მაგრამ ამ ამბავმა კლუბში მაინც არეულობა გამოიწვია. ამბობენ, რომ იოლს ვეტერან ფეხბურთელებთან თავისი საქციელის გამართლება მოუწევს.

დაჯარიმებით იოლმა „ლაციოდან“ გადმოყვანილი 19 წლის შვეიცარიელი ნახევარმცველი, **პაიტიმ კასამი** დააჯარიმა. მან 21 სექტემბერს, „ქარლინგის თასზე“, „ჩელსისთან“ ნაგებულ შეხვედრაში ვერ გაიტანა თერთმეტმეტრიანი. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი პრინციპული საკითხი — იოლს პენალტისტად 23 წლის პორტუგალიელი ფორვარდი, **ორლანდო სა** ჰყავდა დანიშნული, ასე რომ, ის, რაც კასამიმ გააკეთა, მწვრთნელის განკარგულების დარღვევა იყო.

მავანმა შეიძლება თქვას, რომ ამ ისტორიაში მწვრთნელი მართალია, თუმცა „კრეივენ კოტეჯზე“ ცოტა სხვა ვითარებაა და ესეც არ იყოს, ნებისმიერ კონფლიქტს თავისი წინაპირობა აქვს, ესა თუ ის ეპიზოდი კი მხოლოდ საბაბია. ცხადია, ასე გახლავთ „ფულჰემის“ შემთხვევაშიც, სადაც მარტინ იოლმა ცოტა ხნის წინ ახალი წესები შემოიღო და ფეხბურთელებს მათ მორჩილებას აიძულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი აჯარიმებს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ სხვა მრავალ დარღვევასთან ერთად იოლი ებრძვის დაგვიანებებსა და გადაჩურჩულებებს, რაც, როგორც ჩანს, ბევრს აღიზიანებს.

დასავლეთლონდონური კლუბის მავანმა თანამშრომელმა ინგლისურ ტაბლოიდებს უთხრა:

*„იოლს ძალიან თავისებური წესები აქვს. კერძოდ, კასამის „ჩელსის“ კარში პენალტი რომ გაეტანა, მიუხედავად იმისა, რომ ის ბურთს საერთოდ არ უნდა მოჰკარებოდა, არ დააჯარიმებდნენ. არადა, ის პატარა ბიჭია, უნდოდა გუნდისთვის კარგი გაეკეთებინა, სანაცვლოდ კი 500-ფუნტიან ჯარიმას გამოჰკრა ხელი“.*

მას მერე, რაც კასამის დარტყმული თერთმეტმეტრიანი ხარიხას მოხვდა, ორი დასავლეთლონდონური გუნდის სათასო შეხვედრა 0:0 დამთავრდა, მატჩისშემდგომ პენალტებში კი „ლურჯებმა“ 4:3 მოიგეს.

მარტინ იოლის შესახებ იმასაც დავძენთ, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელი ზოგადად კონფლიქტურ ადამიანად ითვლება. ერთი კვირის წინ დადიოდა ჭორი, თითქოს მას თავდამსხმელ **ბობი ზამორასთან** მოუვიდა უსიამოვნება, მაგრამ იოლმა ეს ჭორები უარყო.




● ბლექბერნი

# სტივ კინი გადაირია

„ბლექბერნის“ მწვრთნელ **სტივ კინს** ცუდად აქვს საქმე და ნერვები ღალატობს. ის უკვე მეორედ გაეხვია უსიამოვნო ისტორიაში. ამჯერად „სქაი ნიუსის“ რეპორტიორთან მოუვიდა კონფლიქტი.

ეს ამბავი გასულ კვირას მიუნხენში მოხდა, სადაც „ბაიერნი“ „მანჩესტერ სიტის“ მასპინძლობდა. კინი გერმანიაში ჩემპიონთა ლიგის ამ თამაშის სანახავად გახლდათ ჩასული — მოგეხსენებათ, რამდენიმე დღეში „სიტისთან“ მისმა გუნდმაც ითამაშა. რივერსაიდელების თავკაცი, როგორც ჩანს, ისტლენდელთა თამაშს ერთხელაც სწავლობდა, მაგრამ ამან ვერ უშველა — „ბლექბერნისა“ და „მანჩესტერ სიტის“ შეხვედრა შაბათს მანჩესტერელთა დამაჯერებელი გამარჯვებით, 4:0 დასრულდა.

ასე იყო თუ ისე, იმ დღეს, სამშაბათს, „ბაიერნის“ მიერ „სიტის“ 2:0 ძლევის შემდეგ, მიუნხენის სასტუმრო „მერიოტის“ ბარში სტივ კინი ტელეკომპანია „სქაის“ პატივცემულ ჟურნალისტ **ჯეიმს კუპერს** გადაეყარა. კინი იქ სხვა ინგლისელ ჟურნალისტებს, იმავე „სქაის“ მიმომხილველ **ალან მაკინლისა** და მოედნის კიდესთან მომუშავე ინტერვიუერ **ჯეფ შრივერსს** ელაპარაკებოდა.

კუპერი მოსაუბრეებთან მივიდა, კინს თავი წარუდგინა და მოშორებით, დასალევად შეკრებილ კოლეგებს შეუერთდა. დაახლოებით ნახევარ საათში „ბლექბერნის“ თავკაცი თავისი ადგილიდან წამოდგა, კამპანიასთან მივიდა და კუპერს შეუტია. ის ჟურნალისტთან ისე ახლოს იდგა, რომ სწორედ ასეთ შემთხვევებზე ამბობენ, ცხვირი ცხვირზე მიადოო. მწვრთნელის აგრესიამ კუპერი აშკარად აალელვა. რეპორტიორი ნერვიულობდა, მაგრამ მდგომარეობა მისმა ოპერატორმა განმუხტა – ის დაპირისპირებულებს შუაში ჩაუდგა.

ინგლისური მასმედია წერს, რომ ეს ინციდენტი კინის ისედაც აწეწილ საქმეებს კიდევ უფრო არევს. გამორიცხულია, თავიანთი მწვრთნელის საქციელი „ბლექბერნის“ ინდოელ მეპატრონეებს მოეწონოთ.

ზემოთ ვახსენეთ, რომ კინისთვის ბოლო პერიოდში ეს უკვე მეორე შარია. პირველ სკანდალში მან თავი აგვისტოში გაყო, როდესაც პოლიციამ საჭესთან ნასვამი გამოიჭირა, რისთვისაც 1 800 ფუნტი გადააახდევინეს და წელიწადნახევრით მანქანის მართვა აუკრძალეს. ვინ იცის, „ბლექბერნის“ თავკაცს ცუდი სიმთვრალე აქვს და ამ ტიპის პრობლემებიც სათავეს აქედან იღებენ.

სტივ კინი რივერსაიდელების მწვრთნელად გასული წლის დეკემბერში **სემ ელერდაისის** თანამდებობიდან გაშვების შემდეგ დანიშნეს. გუნდი პრემიერლიგიდან გავარდნას ჩემპიონატის ბოლო დღეს გადარჩა, თუმცა ასეთმა გადარჩენამ გულშემატკივრები ვერ მოთაფლა და ისინი ზაფხულშივე ითხოვდნენ მწვრთნელის სამსახურიდან გაშვებას. გასულ შაბათს, როდესაც „ბლექბერნმა“ „სიტისთან“ 4:0 წააგო, ფანების პროტესტმა ახალი ძალით ამოხეთქა. „როვერსი“ შვიდი ტურის შემდეგ 4 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა და ბოლოზე მყოფ „ბოლტონს“ ერთადერთი ქულით უსწრებს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



● ჩელსი

# ახალ ბინაზე ფიქრში




ამბობენ, რომ **რომან აბრამოვიჩმა** გადაწყვიტა, 106-წლიან ისტორიას ზურგი აქციოს და „ჩელსი“ „სტემფორდ ბრიჯიდან“ ახალ სტადიონზე გადაიყვანოს. რუსმა მილიარდერმა დაახლოებით მილიონი ფუნტი „სტემფორდ ბრიჯის“ რეკონსტრუქციაზე ფიქრსა და პროექტების შექმნას დაახარჯა. განიხილებოდა ნაგებობის მთლიანად დანგრევისა და მის ადგილას ახლის წამოჭიმვის ვარიანტიც, მაგრამ ამ გეგმათაგან ერთმაც ვერ ივარგა. საბოლოოდ აბრამოვიჩი შორიახლოს ახალი, 60-ათასიანი სტადიონის აშენებაზე გაჩერდა. გათვლები აჩვენებს, რომ ახალი სარბიელი „ჩელსის“ ყოველწლიურად 50 მილიონი ფუნტით მეტს მოუტანს.

ბედის ირონია კი ის გახლავთ, რომ აბრამოვიჩი „სტემფორდ ბრიჯის“ მეპატრონე არ არის. სტადიონის მესაკუთრე ის ათასობით გულშემატკივარია, რომლებმაც 14 წლის წინ შექმნილ ორგანიზაციაში, „ჩელსის მოედნის მეპატრონენი“ ფული ჩადეს. შესაბამისად, რუს ოლიგარქს სტადიონის გამოსყიდვა სჭირდება და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა. ფანებს, რომელთაც ზემოხსენებულ ორგანიზაციაში 100 ფუნტი აქვთ ჩადებული და ასე შეკრიბეს თავდაპირველი 1,5 მილიონი, აბრამოვიჩმა 10 მილიონი შესთავაზა.

„სტემფორდ ბრიჯი“ იმით არის მდიდარი, რომ დასავლეთ ლონდონში 13 აკრი მიწის ფართობისგან შედგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● იტალიის ნაკრები

# ჩიგარინის გამხადებული სიზმარი

გუშინდელ ნომერში გამცნეთ, რომ **ჩეზარე პრანდელიმ** იმ ფეხბურთელთა გვარები დაასახელა, რომლებსაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ეგიდით სერბეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებებს დაუპირისპირებს. ისიც აღვნიშნეთ, რომ მთლიანობაში შემადგენლობა ნაცადია და ეს მიუხედავად იმისა, რომ იტალიის უმთავრესმა გუნდმა მიზანს მიაღწია და უკვე მოიპოვა უკრაინა-პოლონეთში გასამართი ევროფორუმის საგზური. განაცხადში ერთადერთი დებიუტანტია, **25 წლის ლუკა ჩიგარინი**, რომელიც ბერგამოს „ატალანტაში" ასპარეზობს და სეზონის სტარტზე რამდენიმე შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა. ჩიგარინისთვის ნაკრებში გამოძახება მოულოდნელი აღმოჩნდა და თავს უბედნიერეს ადამიანად გრძნობს:


ლუკა ჩიგარინი

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან იტალიის ეროვნულ ნაკრებში გამომიძახეს, რითიც ცხოვრების უმთავრესი ოცნება ავისრულე. მართალია, ჯერ კიდევ არ ვიცი მომეცემა თუ არა თამაშის საშუალება, მაგრამ რადგან სიაში მოვხვდი, ე.ი. პრანდელის ჩემი საქმეში ნახვა სურს, რაც იმედებით მავსებს. სიმართლე გითხრათ; არც კი ვფიქრობდი იმაზე, რომ პრანდელი რჩეულ ფეხბურთელთა შორის შემიყვანდა და როდესაც ეს ამბავი გავიგე, კარგა ხანი თავი სიზმარში მეგონა. ნამდვილად არ ვაჭარბებ, რადგან მართლა ბევრჯერ დამსიზმრებია, რომ ეროვნულ გუნდში გამომიძახეს. თუ თამაშის საშუალება მომეცა, ყველანაირად ვეცდები, რომ მწვრთნელის ნდობა ბოლომდე გავამართლო".

**ლაშა ნიკლაური**

● მილანი

# რობინიო პალერმოსთვის დაბრუნდება

## იბრას ხმაში ბზარი გაუჩნდა

რაც არ უნდა ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ დიდ გუნდებში ტრავმიანობა ჩვეულებრივი ამბავია და მწვრთნელებმა ამას ყურადღება არ უნდა მიაქციონ, მთლად ასეც არ არის საქმე და ამაში „მილანის" მაგალითი გვარწმუნებს. **მასიმილიანო ალეგრის** თითქმის ნახევარი გუნდის გარეშე უწევს ასპარეზობა, რაც შედეგებზეც შესაბამისად აისახა. რაც მთავარია, „მილანის" თამაშს ეტყობა, რომ ქულათა კარგვის მთავარი მიზეზი მწირი საკადრო რესურსი და შესაბამისად, დაღლილობაა, რომელიც ფეხბურთელებს უკვე აშკარად ეტყობათ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჯერ სეზონის სტარტია და ასეთი პრობლემები გუნდებს წესით არ უნდა შეექმნათ.



რობინიო

„იუვენტუსი"-"მილანის" პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და სრულიად ლოგიკურად, საყაიმო რეზულტატით დასრულდა. მეტიც, ტერიტორიულ უპირატესობას „მილანი" ფლობდა და თითქოს კარნახობდა კიდეც მასპინძელს თამაშის მიმდინარეობას. აი მეორე ნახევარში კი სურათი რადიკალურად შეიცვალა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მილანს" დაღლა დაეტყო და მატჩის უკანასკნელ წუთებზე სრულიად ლოგიკურადაც გატყდა. ამიტომ არის, რომ ალეგრის ერთი სული აქვს, როდის დაუბრუნდებიან ტრავმირებული ფეხბურთელები მოედანს. ამაზე სენიორ მასიმილიანომ „გაძეტა დელო სპორტთან" ისაუბრა:

„ძალიან რთულია თამაში, როდესაც გრძნობ, რომ გუნდის გაძლიერების რესურსი არ გაქვს. განსაკუთრებით თავდასხმაში გვიჭირს, სადაც ანტონიო კასანო თითქმის ერთი თვის განმავლობაში მარტო ირჯებოდა. ანტონიო ცოტა არ იყოს გადაღლილია, მაგრამ მისი დასვენების საშუალება არ მაქვს. ჩემი ინფორმაციით, სულ მალე რობინიო დაგვიბრუნდება, რაც ნამდვილად შეგვიმსუბუქებს მდგომარეობას. რაც შეეხება „იუვენტუსთან" განცდილ მარცხს, შედეგი კანონზომიერი გახლდათ, რადგან ტურინელებმა მთლიანობაში უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს. ვფიქრობ, რომ „ბიანკონერი" სკუდეტოსთვის იბრძოლებს და ჩვენი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი იქნება".

ალეგრიმ უკვე გვამცნო, რომ **რობინიო** მალე დაუბრუნდება მოედანს - უფრო კონკრეტულ ინფორმაციას კი „გაძეტა დელო სპორტიდან" ვიგებთ, სადაც თავად ფეხბურთელის კომენტარი გამოქვეყნდა: „თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ, ვიდრე თუნდაც რამდენიმე დღის წინ და ვიცი, რომ მოედანზე გასვლას უახლოეს მომავალში შევძლებ. ექიმების თქმით, ამის საშუალება 15 ოქტომბერს, „პალერმოსთან" შეხვედრაში მომეცემა და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ყველაზე პესიმისტური პროგნოზია. ძალიან რთულია, როდესაც ხედავ, რომ გუნდს უჭირს, შენ კი მას ვერაფერში ეხმარები".

ამასობაში, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გამოჩნდა პრესის ფურცლებზე და „იუვენტუსთან" ნაწვნევი მარცხით გაწბილებულმა, ერთობ სევდიანი კომენტარი გააკეთა: „ვგრძნობ, რომ ვბერდები და ისე ველარ ვთამაშობ, როგორც წინა წლებში. მართალია, საკუთარი თავის რწმენა არ დამიკარგავს, მაგრამ ფაქტია, რომ საუკეთესო პერიოდი უკან მოვიტოვე. მიუხედავად ამისა, კიდევ ორი წელი შევძლებ მაღალ დონეზე თამაშს, შემდეგ კი ალბათ კარიერასაც დავასრულებ".

იბრაჰიმოვიჩის კომენტარმა ბევრი გააკვირვა, როგორც წესი, ფეხბურთელები საკუთარ რეპუტაციაზე სხვანაირად ზრუნავენ და 35 წელს გადაცილებულებიც კი იმას გაიძახიან, ახლიდან დავიბადეო. როგორც ჩანს, შვედ ფორვარდს ცოტა მობეზრდა კიდეც ფეხბურთის თამაში და კარიერის ნაადრევად დასრულებაზე უჭირავს თვალი.

**ლაშა ნიკლაური**

● სამწვრთნელო ცვლილება

# ბიზოლი ბოლონიადან გაუშვეს


ბიზოლიმ „ბოლონიას" ხელი დაუქნია

სერია A-ს დაწყებიდან ხუთი ტურია გასული, რის შემდეგაც „ბოლონიას" მხოლოდ ერთი ქულა აქვს და სატურნირო ცხრილის ფსკერზეა. ბუნებრივია, ეს ამბავი კლუბის მესვეურებს ძალიან არ მოსწონთ და შესაბამისად, მდგომარეობის გამოსწორებას ეშურებიან. როგორც წესი, ასეთ დროს ჯოხი მწვრთნელზე ტყდება ხოლმე და ასე მოხდა ამჯერადაც - გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **პიერპაოლო ბიზოლი** გათავისუფლებულია „ბოლონიას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან და უახლოეს მომავალში, მისი შემცვლელის შერჩევა იგეგმება. კლუბის მესვეურებმა მადლობა გადაუხადეს ბიზოლის გაწეული შრომისთვის და სამომავლოდ წარმატებები უსურვეს. მწვრთნელი იმედგაცრუებული გახლავთ ამ გადაწყვეტილებით, რაც ჟურნალისტებთან არ დაუმალავს:

„სიმართლე გითხრათ, არ ველოდი თუ „ბოლონიას" მესვეურები ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. როდესაც ზაფხულში მთავარ მწვრთნელად დამნიშნეს, ყოველდღე გრძელვადიანი გეგმების დამუშავებაში ვიყავით და მათგან სრულ ნდობას ვგრძნობდი. ვფიქრობ, რომ არ შეიძლება მწვრთნელის მუშაობა ხუთი მატჩით განსაზღვრო და წარუმატებელი რეზულტატის შემთხვევაში, გაათავისუფლო. ნაწყენი ნამდვილად არ ვარ, უბრალოდ, მგონია, რომ „ბოლონიას" ხელმძღვანელებმა ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღეს, რაც დადებით შედეგს არ გამოიღებს".

**ლაშა ნიკლაური**

*P.S. წუხელ ცნობილი გახდა, რომ სტეფანო პიოლიმ „ბოლონიასთან" 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 45 წლის პიოლი ბოლოს „პალერმოს" წვრთნიდა.*

● ამბები



### ანდრესი მწყობრშია

„ბარსელონას" 27 წლის ნახევარმცველმა **ანდრეს ინიესტამ** განაახლა ვარჯიშები და გუნდმა გამოაცხადა, რომ ის უკვე მზადაა მომდევნო ტურში სათამაშოდ. ინიესტას დაახლოებით სამი კვირა გაუცდა, მას მერე, რაც „კამპ ნოუზე" „მილანთან" 2:2 დასრულებულ მატჩში დაშავდა. ესპანეთის ნაკრების თავკაც **ვისენტე დელ ბოსკეს** ანდრესი ტრავმის გამო არ გამოუძახებია ნაკრებში, თუმცა ამის გამო „ფურია როხას" თავკაცი ნაკლებად წუხს, გუნდს უკვე განაღდებული აქვს საგზური, ინიესტას თამაში პრაღაში კი სარისკოა. ანდრესი ახლა „ბარსელონას" სარეზერვო გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

### აფელაიმ ოპერაცია გაიკეთა

„ბარსელონას" 25 წლის ჰოლანდიელმა გარემარბმა **იბრაჰიმ აფელაიმ** მუხლის ოპერაცია გაიკეთა, როგორც კლუბის სამედიცინო შტაბი ირწმუნება, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. აფელაიმ, რომელსაც ვერა და ვერ აეწყო საქმეები კატალონიურ გრანდში, მარცხენა მუხლი გასულ თვეში ვარჯიშისას დაიშავა. ოპერაციამ 50 წუთს გასტანა, პრესკონფერენციაზე აღნიშნეს, რომ თუ ყველაფერი კარგად წავა, აფელაი 6 თვეს გამოტოვებს.

### რონალდო: ბარსას მოვუგებთ

„რეალის" პორტუგალიელი ლიდერი ამტკიცებს, რომ ამჯერად „სამეფო კლუბი" მოუგებს დუელს „ბარსელონას" და ჩემპიონი გახდება. რონალდო თანაგუნდელებთან ერთად შეზღუდული უნარების ადამიანთა ნავას დე ტოლოსას თავშესაფარში იყო, სადაც ერთ-ერთმა პაციენტმა ჰკითხა პორტუგალიელს, თუ შეძლებს ამჯერად მაინც მისი საყვარელი გუნდი „ბარსას" დამარცხებას. „დარდი არ გქონდეს მეგობარო - ჩვენ ამ სეზონში აუცილებლად დავამარცხებთ „ბარსელონას", - იყო რონალდოს პასუხი.

### ატლეტიკო ბოდიშს იხდის

მადრიდის „ატლეტიკოს" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად მოუბოდიშა „სევილიას" და მის გულშემატკივრებს „ვისენტე კალდერონზე" მომხდარი ინციდენტის გამო - „ატლეტიკოს" ზოგიერთი ფანი მატჩისას მღეროდა სიმღერას, რომელშიც **ანტონიო პუერტას** სიკვდილი იყო გაშარჟებული. შეგახსენებთ, რომ 2007 წელს „სევილიას" მცველი ანტონიო პუერტა გულის შეტევის გამო ცუდად გახდა და მეორე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა. პუერტა 22 წლის იყო.

### კაპაროსი ბედნიერია

გუშინ „მალიორკამ" ახალი მწვრთნელის, **ხოაკინ კაპაროსის** პრეზენტაცია მოაწყო - 55 წლის სპეციალისტი სეზონის ბოლომდე უთავკაცებს ბალეარულ კლუბს. ანდალუსიელი მწვრთნელი გუშინ ჩავიდა პალმაში და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ძალიან მოხარულია თავის გამოჩენის ახალი შესაძლებლობით". ის სეზონის ბოლომდე 1,3 მილიონ ევროს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ დანიელი **მიქაელ ლაუდრუპი** კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო წავიდა გუნდიდან და ის ერთი მატჩით ასისტენტმა, **მიგელ ანხელ ნადალმა** შეცვალა.

კაპაროსი „უელვას", „ვილიარეალს", „სევილიას", „დეპორტივოს" და „ბილბაოს" წვრთნიდა. სეზონი მან „ქსამაქსში" დაიწყო, მაგრამ ხუთი ტურის შემდეგ გადადგა, რადგან კლუბის ინგუშ მეპატრონე **ბულატ ჩაგაევთან** უთანხმოება მოუვიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● დორტმუნდის ბორუსია

# კლოპმა იუნოსა და გააქეთა

## დანაყრებულები სკამზე, მშივრები ძირითადში

დორტმუნდის „ბორუსიაში" რაღაც-რაღაცები შეიცვალა. ჩაგდებული სტარტის შემდეგ, გერმანიის ჩემპიონის მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** როტაციას მიმართა და შეიძლება ითქვას, რომ BVB-ს გამოკვეთილი ძირითადი შემადგენლობა აღარ ჰყავს. „აუგსბურგთან" მატჩში, რომელიც დორტმუნდელებმა 4:0 მოიგეს, სასტარტოში ბევრი ისეთი მოთამაშე ველარ ვნახეთ, რომლებმაც გასულ სეზონში „ბორუსიას" ჩემპიონობა განაპირობეს. **ნევენ სუბოტიჩი?** სკამზე იჯდა! **შინჯი კაგავა?** ისიც სკამზე იჯდა! **კევინ გროსკროიტცი?** ძირითად შემადგენლობაში არც ეს უკანასკნელი ყოფილა. სამაგიეროდ, სკამზე ჯდომის ამ ეტაპზე **რობერტ ლევანდოვსკის** აღარ უნდა ეშინოდეს – მიუხედავად იმისა, რომ **ლუკას ბარიოსი** გამოჯანმრთელდა. პოლონელმა თავდამსხმელმა „აუგსბურგთან" სამი გოლი გაიტანა და ცხადია, ბარიოსის დაჯაბნვის საუკეთესო შანსი გაუჩნდა.

„პოლონელმა ტორემა" ჰეთ-თრიკთან ერთად, შესანიშნავი საგოლე პასიც გააკეთა და **მარიო გიოტცეს** გაატანინა, რაც ასევე მისი მყარი არგუმენტია. ეს ყველაფერი ლევანდოვსკიმ იმ კრიტიკის ქარცეცხლის შემდეგ გააკეთა, რაც მას წინა კვირებში დაატყდა თავს, როცა „ბორუსიას" კრიზისი ედგა, პოლონელი კი საკმაოდ ბევრ საგოლე მომენტს აფუჭებდა.

*„რობერტი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მოიქცეს თავდამსხმელი, როცა რთული პერიოდი უდგას და ხშირად არ უმართლებს. ლევანდოვსკი ნერვებს არ აჰყვა, მიუხედავად უდიდესი კრიტიკისა, „აუგსბურგთან" მშვიდი იყო და შედეგიც სახეზეა,"* - ამბობს „ბორუსიას" თავკაცი კლოპი პოლონელ თავდამსხმელზე, რომელსაც ბუნდესლიგაში რვა ტურის შემდეგ, გოლს პლუს პასის რეიტინგში 9 ქულა აქვს (5 გოლი, 4 პასი) და ამ რეიტინგს **მარიო გომესთან** (ბაიერნი, 8/1), **პაპის დემბა სისესთან** (ფრაიბურგი, 6/3) და **კლაუდიო პისაროსთან** (ვერდერი, 6/3) ერთად ლიდერობს.

კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ლევანდოვსკიმ ზუსტად იმ დროს ჩაატარა, როცა ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. ბარიოსი ხომ სწორედ ახლა გამოჯანმრთელდა და ნელ-ნელა ფორმაშიც შედის. ასე რომ, პოლონელი თავდამსხმელი ძირითად შემადგენლობაში ადგილს თავისი ნებით არ დათმობს. არადა, ბარიოსსაც მყარი არგუმენტები აქვს და კლოპი ალბათ ამიტომაც დაფიქრდა იმაზე, რომ ლევანდოვსკი და ბარიოსი სასტარტო შემადგენლობაში ერთად ათამაშოს – თანაც, ტაქტიკური სქემის შეცვლის გარეშე.

რობერტს გამთამაშებლობაც ეხერხებაო, ამბობს კლოპი და ამით ორ კურდღელს იჭერს: ჯერ ერთი, არც ლევანდოვსკის აწყენინებს და არც ბარიოსს, ამის პარალელურად კი, იაპონელ გამთამაშებელ კაგავას აქცევს წნეხის ქვეშ, რომელიც ამ სეზონში აშკარად ცუდად გამოიყურება – წლევანდელი კაგავა შარშანდელის აჩრდილია. იაპონელმა „აუგსბურგთან" მატჩში 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, რაც მის დორტმუნდულ კარიერაში პირველად მოხდა. კაგავას, რომელმაც ახლა იაპონიის ნაკრებში უნდა ითამაშოს და ამისათვის ისევ ნახევარი დედამიწა უნდა იფრინოს, შარშანდელ ფორმამდე ძალიან ბევრი აკლია.



ბორუსიას ახალი გმირები - რობერტ ლევანდოვსკი და ფელიპე სანტანა

### კაგავამ, სუბოტიჩმა და გროსკროიტცმა ნულიდან უნდა დაიწყონ

ეს მარტო კაგავას არ ეხება. ასეთივე მდგომარეობაშია ცენტრალური მცველი ნევენ სუბოტიჩიც, რომელსაც „ბორუსიას" ძირითად შემადგენლობაში 137 მატჩი აქვს ჩატარებული. სერბი მცველი აღიარებს, რომ ფორმაში არაა (*„ბოლო მატჩებში იმდენი შეცდომა დავუშვი, რაც მთელი ორი წლის მანძილზე არ დამიშვია"*), რაც განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში, მარსელში ნაგებულ შეხვედრაში (0:3) გამოჩნდა და რაც სუბოტიჩს სასტარტო შემადგენლობიდან ამოვარდნის ფასად დაუჯდა. კლოპმა შაბათს ასევე ცუდ, მაგრამ არა სუბოტიჩზე უკეთეს ფორმაში მყოფ **მატს ჰუმელსს** დაცვის ცენტრში **ფელიპე სანტანა** შეუწყვილა, ამ უკანასკნელმა კი მასზე დაკისრებულ ამოცანას თავი კარგად გაართვა.

*„სუბოტიჩს და ჰუმელსს სეზონის წინ ვუთხარი, რომ ფელიპე სანტანას ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვათამაშებდი. ასე რომ, ეს ნევენისთვის სიურპრიზი არ ყოფილა,"* - აცხადებს კლოპი, რომელმაც „აუგსბურგთან" ძირითადში აღარც კევინ გროსკროიტცი გაამწესა. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ იურგენს სულაც არ აქვს „ჯვარი დაწერილი" იმ მოთამაშეებზე, რომლებიც „დორტმუნდის" საჩემპიონო სეზონში მისი და მისი გუნდის ბრწყინვალე წარმატების მთავარი შემოქმედნი იყვნენ.

● ინტერვიუ. გუუს ჰიდინკი


გუუს ჰიდინკი

# პენსია ჯერ ადრეა!

## ჰიდინკის მისია ჯერ თურქეთის ნაკრების ევრო 2012-ზე გაყვანაა, მერე კი შეიძლება გერმანიაში წავიდეს

**გუუს ჰიდინკი 64 წლისაა, მალე 65-ის ხდება და მიუხედავად იმისა, რომ პენსიაზე გასვლა უკვე ოფიციალურად შეუძლია, ფეხბურთიდან წასვლაზე არ ფიქრობს. ჰოლანდიელი მწვრთნელის მიზანი ახლა თურქეთის ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გაყვანაა. შაბათს, მისი გუნდი სტამბულში გერმანიის ნაკრებს ხვდება და თურქეთისთვის ამ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ, გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა" ჰიდინკის საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ გამოაქვეყნა.**

**- პარასკევს, თურქეთის ნაკრებით გერმანიას ეთამაშებით. ბუნდესგუნდს რვავე თამაში მოგებული აქვს და როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია გერმანიის ნაკრების დამარცხება?**

- გერმანიასთან წარმატების მიღწევა ძალიან ძნელი იქნება. ჩვენთან, ჰოლანდიაში ამბობენ ხოლმე, გერმანელებთან თამაში მოგებულად მანამდე არ უნდა ჩათვალო, სანამ შხაპის მისაღებად არ შევლენო. ფაქტია, რომ ამ თამაშის მოსაგებად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ჯგუფში მეორე ადგილი გავინაღდოთ. თურქეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად უნდა იასპარეზოს და ამისათვის მეორე ადგილზე გასვლა გვჭირდება. მერე პლეი ოფი გველის.

**- როგორ ფიქრობთ, გერმანიას ევროპის ჩემპიონატის მოგება ხელეწიფება?**

- ბანალური კითხვაა. რა თქმა უნდა, ხელეწიფება! გერმანია ხომ ყოველთვის ფავორიტია. თანაც, ბოლო დროს ბუნდესგუნდს ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონობამდე ძალიან ცოტა აკლდება ხოლმე. თუმცა არიან სხვა ფავორიტებიც: მაგალითად, ესპანეთი და ჰოლანდია.

**- თქვენი აზრით, რა არის იოახიმ ლიოვის გუნდის ძლიერი მხარეები?**

- გერმანიის ნაკრები ყოველთვის ყველა ტურნირზე ერთ-ერთი ფავორიტი იყო. ადრე ბუნდესგუნდის მთავარი პლუსი ფიზიკური სიძლიერე იყო, სამაგიეროდ, გუნდს კრეატიულობა აკლდა. გერმანია ადრე ყოველთვის ლამაზ ფეხბურთს არ თამაშობდა, მაგრამ წარმატებებს მაინც აღწევდა. ახლა კი ბევრი რამ შეიცვალა, გუნდი გაახალგაზრდავდა და გერმანიის ნაკრებისთვის უჩვეულოდ კრეატიულიც გახდა. ბუნდესნაკრები დღესდღეობით უკვე თვალსასეირო ფეხბურთს თამაშობს. ფაქტია, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირში ძალიან საინტერესო კონცეფცია დასახეს და ამ კონცეფციას ზედმიწევნით ზუსტადაც ასრულებენ. გერმანული ფეხბურთის პროგრესის პროცესი ძალიან ჭკვიანურად მიდის.

**- თურქეთი და გერმანია ერთმანეთს ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვისაც ებრძვიან. გერმანიაში არაერთი ახალგაზრდა მოთამაშეა, რომლებსაც თურქული წარმოშობა აქვთ. ამ ბრძოლას როგორ უყურებთ?**

- ეს მართლა ძალიან საინტერესო ბრძოლაა. გერმანიაში უამრავი თურქი ცხოვრობს, რის გამოც ეს ბრძოლა გარდაუვალი იყო. ნური შაჰინმა და მეჰმეთ ექიჩიმ თურქეთის სასარგებლოდ მიიღეს გადაწყვეტილება და მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში დაიბადნენ და გაიზარდნენ, მაინც თურქეთის ნაკრებში თამაშობენ. აი, მესუთ იოზილი კი პირიქით მოიქცა, ბრძოლა კი გრძელდება.

**- პირადად თქვენ როგორ ახდენთ გავლენას გერმანელ-თურქებზე?**

- ფეხბურთელებთან კონტაქტს ვამყარებ და ვეუბნები, რომ გადაწყვეტილება ოჯახთან ერთად უნდა მიიღოს. ყოველთვის ვიცი, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ძალიან ძნელია და მოთამაშეს ფიქრისთვის დრო სჭირდება. ყველას ვურჩევ, რომ გულში ჩაიხედონ და ისე გადაწყვიტონ, სად უნდათ თამაში, იმ ქვეყნის ნაკრებში, სადაც გაიზარდნენ, თუ იქ, სადაც მათი წინაპრები გაიზარდნენ და სადაც მათი ფესვებია. ამასთან, ყველას ვეუბნები, რა გეგმები მაქვს მათთან დაკავშირებით. ფეხბურთელებს წნეხის ქვეშ არ ვაქცევ, მაგრამ ყოველთვის ვიცი, რომ დიდი შანსია, მოთამაშემ თურქეთის ნაკრებში თამაში არჩიოს, რადგან თურქეთი მისი ნაღდი სამშობლოა.

**- ძალიან გინდოდათ, რომ მესუთ იოზილს თურქეთის ნაკრებში ეთამაშა?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ.

**- სამაგიეროდ, ნური შაჰინისთვის ბრძოლა თურქეთმა მოიგო...**

- შაჰინი მსოფლიო მასშტაბის ამომავალი ვარსკვლავია და თურქეთში ყველა ამაყობს იმით, რომ მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი გახდა. პირადად მე კი, სიმართლე გითხრათ, იმას ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნებოდა, გერმანიაში დარჩენილიყო, დორტმუნდის „ბორუსიაში" კიდევ რამდენიმე წელი გაეტარებინა და „რეალში" მოგვიანებით გადასულიყო – ჩამოყალიბებული სუპერვარსკვლავის სახით. ფაქტია, რომ დორტმუნდში სათამაშო პრაქტიკა ექნებოდა, „რეალში" კი ამისათვის ბრძოლა უწევს.

> ჯობდა, ნური შაჰინი დორტმუნდში დარჩენილიყო

**- 64 წლის ხართ. კიდევ რამდენ ხანს აპირებთ მწვრთნელობას?**

- წინა კვირას წერილი მივიღე. მალე 65-ის ვხდები და შემატყობინეს, შეგიძლია, პენსიონერი გახდეო, მაგრამ ფეხბურთზე ვგიჟდები და სანამ შემიძლია, პენსიაზე არ გავალ.

**- გულზე ხელი დაიდეთ და ისე გვიპასუხეთ: მიუნხენის „ბაიერნთან" მოლაპარაკებები არ გქონიათ?**

- კონტაქტი იყო, მაგრამ საქმე მოლაპარაკებამდე არ მისულა, რადგან იმ დროს რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვიყავი.

**- ისე, გერმანიაში იმუშავებდით?**

- გერმანიაში ჩამოსვლა ყოველთვის მიხარია ხოლმე, რადგან ყველა პატივს მცემს. სასტუმროში, ქუჩასა თუ რესტორანში, ყველგან ვხვდები, რომ ჩემი იქ ყოფნა უხარიათ. ბუნდესლიგის თამაშებზე დასწრებაც მიყვარს, რადგან გერმანიის სტადიონებზე ყოველთვის იდეალური საფეხბურთო ატმოსფეროა. უმეტესად ჩვეულებრივ ბილეთს ვყიდულობ, ხალხში ვჯდები და შემწვარ სოსისსაც სიამოვნებით მივირთმევ ხოლმე. სიმართლე გითხრათ, განსაკუთრებით გელზენკირხენული სოსისები მიყვარს. ასე რომ, გერმანიაში მუშაობა ნაღდად და ცხადად წარმომიდგენია...

**- თანაც, გერმანულად ძალიან კარგად საუბრობთ და პრობლემა ამ მხრივაც არ შეგექმნებათ...**

- ბოხოლტთან ახლოს გავიზარდე. ბავშვობაში საზღვარზე მივდიოდით ხოლმე და გერმანელ ბავშვებს ჰოლანდიურ ყველს გერმანულ ყავაში ვუცვლიდით...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● ჰამბურგი

# არნესენი მწვრთნელს ვერ პოულობს

## ...და შეიძლება ჰამბურგი თვითონვე გაწვრთნას!

„ჰამბურგის" ხელმძღვანელები ახალი მწვრთნელის ძებნას აგრძელებენ – ჯერჯერობით უშედეგოდ. ხვალ **როდოლფო ესტებან კარდოსოს** დროებითი მწვრთნელის ვადა გასდის და გადაწყვეტილია, რომ პირველ გუნდთან თანამშრომლობას არ გააგრძელებს. თუკი „ფრაიბურგთან" მატჩამდე ბოსებმა ახალი სპეციალისტი ვერ იპოვნეს, დიდი შანსია, რომ მთავარი მწვრთნელის ფუნქციები სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** შეითავსოს.

მოკლედ, „ჰამბურგში" სრული ქაოსია. ამ კლუბს ვერც ხელმძღვანელობის შეცვლამ უშველა – ჩრდილოგერმანულ კლუბში სიტუაციას დალაგება არა და არ უწერია. **მიხაელ იონინგის** გაგდების შემდეგ, „ჰამბურგმა" კარდოსოსთან ერთად, „შტუტგარტი" კი დაამარცხა, რის შემდეგაც ბევრმა იფიქრა, რომ ულიცენზიო არგენტინელს პოსტზე დიდხანს დატოვებდნენ, მაგრამ მერე „შალკესთან" დამარცხდა და შეფები მიხვდნენ, რომ კარდოსოს პოსტზე დატოვება არ შეიძლება.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, არნესენი მოლაპარაკებებს ისევ **მორტენ ოლსენთან** აწარმოებს, რომელიც დანიის ნაკრების დამრიგებელია, მაგრამ ამ უკანასკნელს ვერაფრით იყოლიებს. თავად არნესენს მწვრთნელის ლიცენზია აქვს და სანამ ახალ სპეციალისტს იპოვის, შეუძლია, გუნდი თვითონ გაწვრთნას და გამორიცხული არაა, რომ მართლა ასე მოხდეს.


ჰამბურგის სპორტული დირექტორი ფრანკ არნესენი

● შალკე



ჰუუბ სტევენსი

„შალკეს" ახალმა მწვრთნელმა **ჰუუბ სტევენსმა**, რომლის ხელში გელზენკირხენულმა კლუბმა ორივე თამაში მოიგო, „შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში უარყო მოარული ხმები იმის შესახებ, თითქოს „შალკეს" „ლევერკუზენის" მეკარის, **რენე ადლერის** გადაბირება უნდა.

*„ადლერის შესახებ გავრცელებული ცნობები მეც წავიკითხე და მინდა ვთქვა, რომ ჩვენ რენეს ყიდვაზე არ ვფიქრობთ, რადგან რალფ ფერმანის სახით ძალიან კარგი კიპერი გვყავს, რომელსაც ბოლომდე ვენდობით. მართალია, რალფმა „ჰამბურგთან" შეხვედრაში პატარა შეცდომა დაუშვა, მაგრამ პირადად მე მისი თამაშით საერთო ჯამში, აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ,"* - განაცხადა სტევენსმა „ბუნდესლიგა აქტუელისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

გარდა ამისა, 57 წლის ჰუუბმა „შალკეს" ესპანელი ვარსკვლავი **რაულიც** შეაქო: *„მისი შესაძლებლობების შესახებ საუბარს რა აზრი აქვს, ყველამ იცის, რომ რაული გენიალური ფეხბურთელია და მე მასთან მუშაობა ძალიან მსიამოვნებს. ითამაშებს თუ არა დიდხანს „შალკეში", ეს მხოლოდ მასზეა დამოკიდებული."*

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორი ონლაინ კაზინო „ლარივინი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჯანგავაძე პალმერსტონიდან

● რაგბი. ინტერვიუ მამუკა გორგოძესთან

# წარმატების საწინდარი თავდადებული, უშეღავათო ბრძოლაა


მამუკა გორგოძე

საქართველოს ნაკრების სიმბოლო ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებაში, მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** იყო. რაგბის ქომაგები, განურჩევლად ეროვნებისა, ჩვენი გუნდის დანახვაზე უწინარესად სწორედ მას ეძებდნენ თვალებით და თუ ვერ შენიშნავდენ, იკითხავდნენ, შვიდი ნომერი რომელიაო.

გორგოძე გუნდის ნამდვილი ლიდერია. "ბორჯღალოსნების" მიერ გამართული ოთხი შეხვედრიდან ის ორჯერ საუკეთესოდ დაასახელეს. მათ შორის ინგლისის ნაკრებთან წაგებულ მატჩშიც, რომელშიც თითქმის ყოველი მეორე მსოფლიოს დონის ვარსკვლავია. მეგობრებისთვის "გულივერას", ხოლო საერთაშორისო მედიაში "გორგოძილად" ცნობილ ქართველ მესამეხაზელს არგენტინის ნაკრებთან მატჩის შემდეგ ვესაუბრეთ:

- მართალი გითხრათ, ახალ ზელანდიაში გაცილებით მეტს ველოდი. სარაგბო ქვეყანაა და სულაც არ იგრძნობა, რომ მსოფლიოს თასის გათამაშებაში ვმონაწილეობ. საორგანიზაციო და სხვა კრიტერიუმებით წინა, საფრანგეთში გამართული მსოფლიოს თასი უფრო უკეთესი იყო. ბიჭები, რომლებსაც 2003 წელს ავსტრალიაში უთამაშიათ, ამბობენ, რომ რვა წლის წინანდელი მსოფლიოს თასის გათამაშება ორივეს სჯობდაო. ერთი სიტყვით, იმედგაცრუებული ვარ.

**- ეგ რაც ორგანიზაციას შეეხება. სათამაშო დონე თუ არის ოდნავ მაინც გაზრდილი?**

- არა, არა მგონია, რომ გუნდების სათამაშო დონე ოთხი წლის წინანდელზე მეტად რაიმეთი გაზრდილიყო. თამაშებიც რალაც ულიმლამოა. ერთადერთი ძალიან მომეწონა ირლანდიის ნაკრები. ავსტრალიის ეროვნულ გუნდს ყველაფერში აჯობა და ისე მოუგო. ხომ არიან გუნდები, რომლებიც ბობოლებს ებრძვიან, მაგრამ ბოლოს მაინც ტყდებიან. ირლანდია არ გამტყდარა, ბოლომდე იბრძოლა და მოუგო. ამის გამო, ამ მსოფლიოს თასზე ირლანდიას ვქომაგობ.

**- მოდით, საქართველოს ნაკრების მიერ ნათამაშები მატჩები გავიხსენოთ. დავიწყოთ შოტლანდიით.**

- მადა ჭამაში მოდისო, ხომ გაგიგიათ. ჰოდა, ასე დაგვემართა. რატომღაც ყველას ეგონა, რომ შოტლანდია აუცილებლად უნდა დაგვემარცხებინა. ვერ ვხვდები, რატომ. მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ, ქართველმა გულშემატკივრებმა ამ გუნდს "ყურში მოჰკიდა ხელი". არადა, შოტლანდიის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია, რაც არგენტინისა და ინგლისის ნაკრებებთან თამაშშიც დაამტკიცა. "სკოტებმა" ორივე შეხვედრაში გამარჯვება ხელიდან მატჩის ბოლო წუთებზე გაუშვეს.

ისე არ გამიგოთ, თითქოს მთლად უშანსო ვიყავით. შეგვეძლო მოგება, მაგრამ მეტოქე ვერ ავიყოლიეთ, ჩვენი თამაში ვერ მოვახვიეთ. პირიქით, იმათ ავყევით თამაშში. ერთი კარგი ის იყო, რომ ლელო არ გავატანინეთ. თუმცა, აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ შოტლანდიასთან მოგება თუ შეიძლებოდა, ასევე შესაძლებელი იყო დიდი ანგარიშით წაგებაც და ეს არავის უნდა გაუკვირდეს, რადგან შოტლანდიის ნაკრები, ყველა ასპექტში, ჩვენზე ძლიერი გუნდია.

ერთი სიტყვით, მაღალი დონის გუნდებთან თამაში აუცილებლად გვჭირდება. ამის გარეშე ვერ განვვითარდებით.

**- ინგლისის ნაკრებთან ჩვენმა გუნდმა გაცილებით უკეთ ითამაშა. არადა, "პომები" უფრო ძლიერია....**

- ინგლისის ნაკრებთან მოგებას არავინ გვთხოვდა. ამიტომ, ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე გამოვედით და მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიეთ თავს. ანგარიშმა არავინ მოატყუოს. ინგლისელები ასეთი სხვაობით მოგებას არ იმსახურებდნენ. ყველაზე დიდი ათი ქულის სხვაობით მოეგოთ. ფორტუნამ ზურგი გვაქცია, თორემ გამორიცხული არ იყო, თამაში სრულიად განსხვავებული სცენარით წარმართულიყო.

**- რუმინეთის ნაკრებთან ორი განსხვავებული ტაიმი გამოვიდა. რა იყო ამის მიზეზი?**

- პირველ ტაიმში თამაში არ გამოგვივიდა. ვერაფრით ავეწყვეთ, ძალიან დიდი იყო ამ შეხვედრის ფასი. იმათმაც საერთოდ მოკლეს თამაში. არ შეიძლება, იმის გამო, რომ შედეგს მიაღწიო, ყველაფერზე წახვიდე. სულ ფეხით ცდილობდნენ ჩვენს მოედანზე ბურთის გადმოტანას.

რუმინეთის ნაკრები ადრე კარგი გუნდი იყო, მაგრამ ახლა ჩვენ აშკარად ვჯობნით. მეორე ტაიმში მაქსიმუმი გავაკეთეთ. რატომღაც მეგონა, რომ თამაშში დაბალი ტემპი იყო, მაგრამ ვიდეოფირი რომ ვნახე, საპირისპირო შთაბეჭდილება დამრჩა. ცუდი მატჩი არ იყო, ბოლოსდაბოლოს ლელო შეტევის მე-17 ფაზაზე გავიტანეთ.

**- პირველი ტაიმის მოგების შემდეგ არგენტინის ნაკრებთან მატჩში მაინც დავმარცხდით.**

- მიუხედავად იმისა, რომ სამი დღის წინ რუმინეთის ნაკრებთან ვითამაშეთ და ენერგია საკმარისად არ გვქონდა შენარჩუნებული, არგენტინის ეროვნულ გუნდს 60 წუთი ძალიან კარგად ვეთამაშეთ. ის იმდენად ძლიერი არ არის, რასაც ამბობენ. მისი სტილი თამაშის ჩაშლაა. ვფიქრობ, "პუმებთან" მარცხი ასეთ გუნდებთან თამაშის გამოცდილების არქონის ბრალია.

**- როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე აღწევენ არგენტინელები წარმატებებს?**

- "პუმები" წარმატებას უწინარესად თავდადებული თამაშის ხარჯზე აღწევენ. მერე, მაგათი სტილია თამაშის არევა, ღია თამაში. ამ დროს ისინი თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. რომ ვთქვა, მაღალი დონის მოთამაშეები ჰყავთ-თქო, არ იქნება სწორი. შოტლანდიის ნაკრები უფრო მაღალი დონის მორაგბეებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ არგენტინელები ბოლომდე, უშეღავათო ბრძოლით გამორჩეულები არიან.

**- საქართველოს ნაკრებზე მიმდინარე მსოფლიოს თასზე ბევრი ითქვა და დაიწერა. თქვენ როგორ გგონიათ, ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა პროგრესი განიცადა?**

- დიახ, პროგრესი ნაკრების თამაშში ნამდვილად არის და ნელ-ნელა კიდევ უფრო ვიზრდებით. თუმცა ეს საკმარისი არ არის და სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.







როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დისკვალიფიკაცია

ლექსო გუგავა



# გუგავა ხუთი კვირით დასაჯეს

საქართველოს ნაკრების ბეკი **ლექსო გუგავა** 5-კვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მიზეზი კი ისაა, რომ ლექსომ სახიფათო ბოჭვით შეაჩერა არგენტინელთა ლიდერი **კონტეპომი**. ინციდენტი საქართველო-არგენტინის კომისარმა **აკილე რეალიმ** მატჩის ოქმში შეიტანა, მისი განხილვა კი ორშაბათს მოეწყო. ასე რომ, 29 წლის გუგავა 8 ნოემბრამდე ვერც ერთ ოფიციალურ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს. შეგახსენებთ, რომ გუგავამ მსოფლიოს თასზე მხოლოდ არგენტინასთან მატჩში ითამაშა, რომლის 70-ე წუთზეც იგი შეცვალეს. გუგავა „ლელოს“ მორაგბეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● რეიტინგი

# დაიწყეთ მე-16-ზე, დაასრულეთ მე-14-ზე

მსოფლიოს თასის დაწყებისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრები IRB-ის რეიტინგ-ლისტში მე-16 ადგილზე იმყოფებოდა. **რიჩი დიქსონის** გუნდმა ჯგუფურ ეტაპზე ერთი მატჩი მოიგო და სამი დათმო, ჩვენთვის ტურნირი დასრულებულია - „ბორჯღალოსნების“ გამოსვლა კი მათ რეიტინგზე დადებითად აისახა, ახალ რეიტინგში გუნდი მე-14 ადგილზეა. საქართველოს ნაკრებს 71,09 ქულა აქვს და დაახლოებით ნახევარი ქულით უსწრებს იაპონიას. ჩვენი ჯგუფის მონაწილეთა მდგომარეობა კი ასეთია: ინგლისის ნაკრები (რომელთანაც 10:41 წავაგეთ) მეოთხეა, არგენტინა (7:25 მარცხი) - მეშვიდე, შოტლანდია (6:15) - მეათე, რუმინელები (25:9) კი მე-18 ადგილზე არიან.

მოწინავე ათეულში ბოლო კვირის განმავლობაში დიდი უკუსვლა აქვთ ფრანგებს, რომლებიც მე-5 ადგილიდან მე-8-მდე დაქვეითდნენ, ათეულში კი ტონგამ შეაღწია, რომელიც აქამდე მე-13 ადგილზე იყო. ვინაიდან, მსოფლიოს თასზე მოპოვებული ქულები ორმაგდება, რეიტინგში საინტერესო ცვლილებებია, ამიტომ მკითხველისთვის არ უნდა იყოს უინტერესო მოწინავე 20-ეულის გაცნობა.

| | |
|---|---|
| 1. ახ. ზელანდია | 90,62 |
| 2. ს. აფრიკა | 86,71 |
| 3. ავსტრალია | 84,84 |
| 4. ინგლისი | 84,54 |
| 5 (+1). ირლანდია | 83,14 |
| 6 (+1). უელსი | 80,73 |
| 7 (+1). არგენტინა | 80,28 |
| 8 (-3). საფრანგეთი | 79,72 |
| 9 (+4). ტონგა | 76,63 |
| 10 (-1). შოტლანდია | 76,20 |
| 11 (-1). სამოა | 75,81 |
| 12 (-1). იტალია | 73,99 |
| 13 (-1). კანადა | 72,92 |
| 14. საქართველო | 71,09 |
| 15. იაპონია | 70,45 |
| 16. ფიჯი | 68,78 |
| 17. აშშ | 65,63 |
| 18. რუმინეთი | 63,98 |
| 19. ნამიბია | 61,24 |
| 20. პორტუგალია | 60,67 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● რაგბი

# დაბრუნდნენ...

გუშინ საღამოს, სტამბოლის რეისით თბილისში ჩამოვიდნენ **ლაშა ხმალაძე, ალექსანდრე თოდუა** და ნაკრების მენეჯმენტი. ამავე რეისით ჩამოფრინდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი - **ლადო ვარძელაშვილი** და მისი მოადგილე - **დავით ნამგალაური**. დღეს, გამთენიისას ბრუნდებიან - **ირაკლი ჩხიკვაძე, გივი ბერიშვილი, ლევან დათუნაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, ლაშა მალაღურაძე, დავით კაჭარავა, დავით ხინჩაგიშვილი, ლექსო გუგავა** და **ვასილ კაკოვინი**.

**ლადო ვარძელაშვილი:** *„საქართველოს ნაკრების თამაშს ახალ ზელანდიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რაც სრულიად ლოგიკურია. ჩვენმა ნაკრებმა უძლიერეს მეტოქეებთან ღირსეულად ითამაშა და არგენტინის ნაკრებს, რომელიც წინა მსოფლიოს თასის პრიზიორია, პირველი ტაიმი მოუგო. მთლიანობაში ნაკრების გამოსვლით კმაყოფილი ვარ. პროგრამა მინიმუმი შესრულდა, რუმინეთის ნაკრებს მოვუგეთ. სახელმწიფოს დახმარების პროგრამა რაგბისთვის გაგრძელდება და იმედი მაქვს, რომ მომავალში უფრო მეტ წარმატებას მივაღწევთ“.*

**დავით ნამგალაური:** *„ნაკრებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ყველას დაანახვა, რომ გრანდებთან ღირსეულად თამაში შეუძლია. ყველაზე მეტად, რაც ჩვენს ბიჭებს დააკლდათ, ძლიერ გუნდებთან თამაშის დეფიციტია. იმედი მაქვს, რომ ამ მხრივ სიტუაცია შეიცვლება და ინგლისი, საფრანგეთი და სხვა ელიტარული ნაკრებები არამარტო მსოფლიოს თასზე, არამედ მანამდეც ტესტმატჩებშიც დაგვიპირისპირდებიან, რაც ჩვენ უფრო მეტად გაძლიერების საშუალებას მოგვცემს“.*

**ალექსანდრე თოდუა:** *„კმაყოფილი ვარ როგორც ჩემი, ისე ნაკრების თამაშით. მეტიც შეიძლებოდა, მაგრამ ძლიერ გუნდებთან თამაშების ნაკლებობამ თავისი გაიტანა. ინგლისთან ტრავმის შემდეგ, მოედანზე დარჩენა კი მინდოდა, მაგრამ ექიმებმა ნება არ მომცეს და სწორადაც მოიქცნენ. გამოჯანმრთელება მოვახერხე და ბიჭებს დავეხმარე“.*

**ლაშა ხმალაძე:** *„არგენტინასთან გატანილი ლელო როგორ გამიხარდა ყველამ ნახეთ, თუმცა ეს ლელო მარტო მე არ გამიტანია, მთელი გუნდის დამსახურება იყო ის, რომ ნაკრები არგენტინასთან დაწინაურდა. სამწუხაროდ, შემდეგ გამარჯვება ველარ მოვახერხეთ. მაგრამ არა უშავს... ყველაფერი წინ გვაქვს. ვივარჯიშებთ და მომავალში მეტს შევძლებთ“.*

**სამინისტროს პრესსამსახური**



● ხალხური სახეობები

გამარჯვებულის დაჯილდოება


# დოღი ქარელში

ამ დღეებში რაიონულ ცენტრ ქარელის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინიციატივით დოღი ჩატარდა, რაიონის 12 სოფლის მხედრების მონაწილეობით.

*„ზედიზედ მესამე წელიწადია დოღი კულტურისა და სპორტის ადგილობრივი სამსახურის ორგანიზებით იმართება და მიზნად ისახავს ქართული უძველესი ეროვნული ცხენოსნური თამაშების აღორძინებასა და პოპულარიზაციას ჩვენს რაიონში. ორგანიზატორთა ჩანაფიქრი მართლდება და ყოველ მომდევნო წელს, უწინდელთან შედარებით იზრდება მოასპარეზეთა რიცხვი“* - გვითხრა სპორტის რაიონული სამსახურის უფროსმა **ვაჟა ყველაშვილმა**. დოღში პირველობა არავის დაუთმო ახალგაზრდა ცხენოსანმა სოფელ ზღუდერიდან **ნიკოლოზ ღვინიაშვილმა**, მეორე და მესამე ადგილებზე რუისელი მხედრები გავიდნენ, შესაბამისად **არსენა მიხანაშვილი** და **თორნიკე კაკაშვილი**. ორგანიზატორებმა გამარჯვებულს ცხვარი აჩუქეს.

**ვასილ ბალახაძე**
ქარელიდან
დავით ასპანიძის ფოტო






## ქართული სპორტი

ძიუდო. ინტერვიუ გიორგი გუგავასთან

# სტატისტიკაზე უმჯობესი ხარისხია

ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრებმა და მისმა ასევე ახალგაზრდა თავკაცმა მორიგი ბრწყინვალე სვლა ჩაიწერეს - ბელგიურ ლომელში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე თითო ოქრო-ბრინჯაო და 2 ვერცხლი მოიპოვეს. ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) გახდა, მეორე ადგილზე **ლერი ჭელიძე** (55) და **ლევან მატიაშვილი** (+100)გავიდნენ, **მიხეილ ჩოხელი** - მესამეზე. გუნდურ ჩათვლაშიც მესამე ადგილი გვერგო. თუმცა სტატისტიკაზე ბევრად მნიშვნელოვანი გუნდის ჭიდაობის ხარისხი გახდა - აშკარა პროგრესია ლამის ყველა კომპონენტში, განსაკუთრებით კი ჩვენთვის „აქილევსის ქუსლად" ქცეულ ფიზიკურ მომზადებაში. ეს ყველაფერი **გიორგი გუგავას** ახლებური სავარჯიშო სისტემის დამსახურებაა, რაზეც თავად მოგითხრობთ ინტერვიუში. საერთოდ, ამ მწვრთნელმა **სოსო ლიპარტელიანთან** ერთად გუნდში მოსვლისთანავე მიიქცია ყურადღება. შარშან კი მსოფლიოს პირველობაზე უკვე დამოუკიდებლად მიაღწია წარმატებას. თან ისიც გავითვალისწინოთ, რომ ტალანტი ჰყავდა - **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), წლეულს კი ასეთი გამორჩეული გუნდში არავინაა, თუმცა ახალი თაობითაც მიაღწია შედეგს. კონკრეტულ გვარებს არ დავასახელებთ, თუმცა ინტერვიუდან მიხვდებით, ვისაც ვგულისხმობთ. გუგავას შემთხვევა კი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რაოდენ მნიშვნელოვანია ახალი სისხლი, მწვრთნელთა ახალი თაობის მოსვლა დიდ სპორტში.


გიორგი გუგავა

**- ევროპის ჩემპიონატზე გუნდი ნამდვილად კარგად გამოვიდა, მაგრამ საინტერესოა, ვინ გაგიმართლათ იმედები და ვინ - ვერა, მთლიანად გუნდმა გაამართლა თუ არა პროგნოზები?**

- გუნდს რაც შეეხება, წასვლამდე ვამბობდი, მედლების ერთი კომპლექტი გვექნება-მეთქი. ეს პროგრამა-მინიმუმი იყო, უფრო მეტს კი მჩატე წონების წარმომადგენლებისგან ველოდი, მაგრამ ბოლომდე ვერ გამიმართლეს. ძალიან დამწყდა გული გიორგი მესაბლიშვილსა (55) და ვაჟა მარგველაშვილზე (60). 90-ში გიორგი მერმანიშვილისგანაც მედალს ველოდით. 66-ში გაჩემპიონებულ ლაშა შავდათუაშვილს თუ არ ჩავთვლით, ისე გამოვიდა, რომ ლიდერები, ვისგანაც ჯილდოს ველოდით, უმედლოდ დარჩნენ. შავდათუაშვილის გარდა, ძალიან მომეწონა მიხეილ ჩოხელი 73-ში და მძიმეწონოსანი ლევან მატიაშვილი. ის ყოველდღიურად იზრდება და კარგ მძიმეწონოსნად ყალიბდება. პირველ წრეში გიგანტ რუმინელ დანიელ მატეას მოუგო. მატიაშვილს კი ვაგულიანებდი და ვარიგებდი, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რამე არ ატკინოს-მეთქი, თუმცა ლევანმა ვაზარ-იუკოთი და ორი გაფრთხილებით მოუგო. ბრწყინვალე ხასიათი აქვს. არც განწყობა სჭირდება შეხვედრის წინ - ისე მშვენივრად ართმევს თავს ამ პრობლემას, ბევრად გამოცდილებსაც შეშურდებათ. არც მეტოქის ეშინია. ყოველ შეხვედრაში მაქსიმუმს დებს და რაც მთავარია, ტატამზე აზროვნებს.

ჩოხელმა იბრძოლა, ჟინიანი ხასიათი გამოავლინა, მაგრამ მისი წაგება ნახევარფინალში უკრაინელ მომავალ ჩემპიონ რუფატ მაგომედოვთან მსაჯების სინდისზეა. ჩოხელმა სასიამოვნოდ გამაოცა. აქამდე მედლის ახლოს თუ მიდიოდა, ახლა სამეულშიც შევიდა. რაც მთავარია, კარგად იჭიდავა, ხარისხიანად. ლერი ჭელიძე ასაკითაც პატარაა და ბევრის მიღწევა შეუძლია. ფინალამდე მაგრად იჭიდავა, იქ კი, ეტყობა დაკმაყოფილდა ვერცხლით და სათანადოდ ვერ განეწყო. არადა, მაგ სომეხ მეტოქეს - გარიკ ჰარუთინიანს ჩეხეთის ტურნირზე ორი იუკოთი მოუგო. ჭელიძეს ახლაც ჰქონდა მასთან მოგების დიდი შანსი. მშრომელი კი არის, მაგრამ ჯერ კიდევ ბავშვია და საგანგებო ყურადღება სჭირდება. ქუთაისელია, დედა არ ჰყავს და ოჯახს არც ეკონომიკურად ულხინს. დასანანი იყო ფრიდონ გიგანის წაგებაც მეოთხედფინალში რუს ვლადიმირ ზოლოევთან - ბოლო 6 წამში ორჯერ გააფრთხილეს და წააგო. პირველი გაფრთხილება კისრულზე ცრუჩახტომისთვის მიიღო, რაც ეკუთვნოდა კიდეც. ამ დროს 3 წამი რჩებოდა და ვეძახდი, ცალმხრივ დაუდექი-მეთქი, მაგრამ მობრუნდა და გამოიქცა. ამ ეპიზოდშიც ეკუთვნოდა გაფრთხილება. ეტყობა, იმდენად უნდოდა ნახევარფინალში გასვლა, ემოციისგან საერთოდ გაითიშა.

**- ლაშა შავდათუაშვილმა მთელი ტურნირი ძალიან კარგად იჭიდავა...**

- ეს ბიჭი სხვა საუბრის თემაა. ვფიქრობ, ამ გამოსვლით მან უფროსთა ნაკრებზეც გააკეთა განაცხადი. ისიც ძალიან მშრომელია, რომელსაც მიზანმიმართული, სპეციფიკური ვარჯიში და ყურადღება სჭირდება - ზომაზე მეტს ვარჯიშობს და სწორედ ამას უნდა დიდი დაკვირვება, არ გადაიღალოს. ამ ტურნირზე 6 შეხვედრა მოიგო. კარგად აზროვნებს და თავისი საქმე იცის - ტატამზე რომ შევა, ერთ ზედმეტს ნაბიჯს არ გადადგამს. იგრძნობოდა, რომ მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა იდგა.

**- ჩეხეთის ტურნირის შემდეგ ამბობდით, რომ ფიზიკურად მეტოქეებს ჯობნიდნენო. ახლა როგორ გამოიყურებოდნენ?**

- უკეთესად. მაგალითად, შავდათუაშვილი ხელახლა რომ შეგებრუნებინა ტატამზე, კიდევ იჭიდავებდა შეუსვენებლად. როგორც გითხარით, 6 შეხვედრა მოიგო. თან ყველაში ბოლომდე იბრძოლა, არც ერთი არ მოუგია ნაადრევად, მაგრამ ფიზიკურად მაინც მშვენივრად გაუძლო. ამ კომპონენტში ყველა კარგად იყო მომზადებული - იგივე მათიაშვილი, ჩოხელი, სხვებიც... კმაყოფილი ვარ.

**- ქართული ძიუდოსთვის „აქილევსის ქუსლად" ქცეულ ამ კომპონენტში როგორ მიაღწიეთ პროგრესს?**

- მიმაჩნია, რომ ფიზიკური მომზადებისთვის ორკვირიანი შეკრება არაა საკმარისი. ამიტომ ეს ციკლი შეკრებამდე თვე-ნახევრით ადრე დავიწყე თბილისში. შედეგად, ბაკურიანში უკვე ისეთ კონდიციაში ჩავედით, დიდი დატვირთვები არც მქონია. პირიქით - ბიჭები მის გაზრდასაც კი მეხვეწებოდნენ. ფიზმომზადების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია დასვენების, ძალების აღდგენის საშუალება - როცა ფიზმომზადების შეკრებას გაივლის, 5-6 დღე უნდა დაასვენოს ორგანიზმი, რომ აითვისოს, შეირგოს ვარჯიშები. ოღონდ ეს აქტიური დასვენების ანუ ნაკლები დატვირთვის ვარჯიშებით უნდა მოხდეს. მოკლედ, მიზანმიმართულად ვემზადებოდით, რამაც შედეგი გამოიღო. მსოფლიოსთვისაც ასე გავაგრძელებთ.

**- კონკრეტულად, როგორ?**

- სპორტსმენი ფორმის პიკში შედის ერთხელ და ესენიც ამ მდგომარეობაში არიან. ყველაზე ძნელი სწორედ პიკის შენარჩუნებაა. ამათ ახლა დატვირთვები არ სჭირდებათ და მხოლოდ ლეიბზე ვავარჯიშებთ. ასე შევეცდები პიკის შენარჩუნებას - ლეიბს ფეხბურთი და ამგვარები შეენაცვლება. დატვირთვებს და შტანგებზე ვარჯიშს მსოფლიოდან დაბრუნების შემდეგ დავიწყებთ, რათა სამომავლო ტურნირებს მომზადებულები შეხვდნენ.

**- დაბოლოს, მსოფლიოზეც სრული გუნდით წახვალთ?**

- არა, რამდენიმე წონაში თითო მონაწილე გვეყოლება. არ გამოვრიცხავთ, რამდენიმეში საერთოდ არ წავიყვანოთ მონაწილე, თუმცა მოსამზადებელი ციკლის დასრულებამდე შემადგენლობას არ გავამხელ.

**ირაკლი თავაძე**

მშვილდოსნობა. ოლიმპიური ტესტი

London Prepares series

# ლონდონური გამოცდა

ლონდონში, ოლიმპიურ სასროლეთზე მშვილდოსანთა „ოლიმპიური ტესტი" მიმდინარეობს, რომელშიც საქართველოს ქალთა ნაკრები სრული შემადგენლობით გამოდის: **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე**. ჯერ შესარჩევი ეტაპი გაიმართა, რომელიც ჩვენებმა საკმაოდ კარგად ჩაატარეს - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ესებუამ და ნარიმანიძემ 623-623 ქულა დააგროვეს და პირველმა 23-ე, მეორემ კი 25-ე ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, ლიდერებს მხარი ვერ აუბა დიასამიძემ - 575 ქულით 49 მონაწილეს შორის ბოლო ადგილზე გავიდა. ესებუამ ცოტა მძიმედ დაიწყო ტურნირი და პირველი ნახევრის შემდეგ 302 ქულით 35-ე იყო, მაგრამ დასკვნით ნაწილში სამიზნე გაისწორა და 321 ქულით მეშვიდე შედეგი აჩვენა. ნარიმანიძე უფრო სტაბილურად ისროდა, თუმცა ბოლო მონაკვეთში იმანაც მოუმატა - პირველ ნახევარში თუ 315-ით მე-18 იყო, მეორეში მე-13-მდე ავიდა, გუნდურ ჩათვლაში სულ 13 ნაკრები გამოდის, ჩვენებმა კი 1821 ქულა დააგროვეს და ბოლოსწინაზე გავიდნენ, მხოლოდ შვეიცარიელებს აჯობეს.

გუნდურ ტურნირში პლეი ოფები დღეს გაიმართება. აქ საკვალიფიკაციო ეტაპის მოწინავე სამეული - სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჩინეთი, პლუს - მსოფლიოს ჩემპიონი იტალია ორგანიზატორებმა განთესეს ანუ პირველ წრეში ისვენებენ. ამდენად, ჩვენს ნაკრებს პირველ მეტოქედ შესარჩევში მეხუთეზე გასული დანია ერგო. სკანდინავიელებმა წლეულს მსოფლიოზე რვა საუკეთესოს შორის გააღწიეს და გუნდური სამი ლიცენზიაც მოიპოვეს, რაც ჩემპიონატის მთავარ მოულოდნელობად მოინათლა, მაგრამ ჩვენები თუ სტაბილურად ისვრიან, მათი დამარცხება ნამდვილად ხელეწიფებათ, ამ შემთხვევაში კი შვეიცარიასა და იაპონიას შორის მოგებულს შეხვდებიან. ბადის ჩვენს ნახევარში მოხვდნენ სამხრეთ კორეა, უკრაინა და აშშ, რომელთა რიგებში ოლიმპიური პრიზიორი **ხათუნა ლორიგიც (ქვრივიშვილი)** გამოდის.

პირად პირველობაში პლეი ოფები ხუთ დღეზეა გადანაწილებული - 6 ოქტომბერს იწყება და 10-ში მთავრდება. ჩვენები შეჯიბრებაში 7-დან ჩაებმებიან - ესებუა იტალიელ **ჯესიკა ტომასს** გაეჯიბრება (ვისაც წლევანდელ მსოფლიოზე ნარიმანიძემ მოუგო), დიასამიძე - უკრაინელ **კატერინა პალეკას**, ნარიმანიძე კი 8-ში კანადელ **კატერინ ვრაკინგს** შეხვდება. ესებუა იტალიელთან წარმატების შემთხვევაში იმავე დღეს უკრაინელ **ნინა მილჩენკოსა** და პოლონელ **კატერინა ლიპიარსკას** შორის მოგებულს გაეჯიბრება, დიასამიძე - ბელარუს **კატსიარინა ტიმოფიევასა** და შვეიცარიელ **ნატალიე დილენს** შორის გამარჯვებულს. ნარიმანიძე თუ მოიგებს, 8-შივე გამართავს კიდევ ერთ ორთაბრძოლას - შვეიცარიელ **სელინ ჩობინგერთან,** ამერიკელ **მირანდა ლეეკთან** ან ძლიერ იტალიელთან, პირადსა და გუნდურში მსოფლიოს 2-2-გზის ჩემპიონ **ნატალია ვალეევასთან** (მანამდე ეს სამეული ერთმანეთში გაარკვევს უმჯობესს). ესებუას მხარეს მეოთხედფინალამდე ძლიერ მეტოქეთაგან გამოვარჩევთ ბრიტანელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ნაომი ფოლკარდს**, იაპონელ **რენი ჰაიაკავას** (მსოფლიოზე ნარიმანიძემ მასაც მოუგო) და ჩინელ **იუტინ ფანს.**

**ირაკლი თავაძე**




ველოსპორტი

# დაბრუნდა და გაიმარჯვა!

დიდი დიღმის სავარჯიშო ველოტრეკზე საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა ტრეკზე რბოლებში. ვინაიდან ჩვენში ველოსიპედისტთა რაოდენობა ერთობ მცირეა, კურიოზამდე მივიდა საქმე. მაგალითად, დიდებში, 1 კილომეტრზე ჰიტში გაიმარჯვა **გიორგი ნადირაძემ,** მაგრამ ძალიანაც რომ სდომებოდა, ვერ დამარცხდებოდა, რადგან ... ის ერთადერთი, მარტოდმარტო გავიდა სტარტზე და, ბუნებრივია, ფინიშთანაც პირველი მივიდოდა - 1.15,50. ეს სპორტსმენი 4-კილომეტრიან დისტანციაზეც მარტო ასპარეზობდა და, რაღა თქმა უნდა, აქაც გაიმარჯვა - 5:18:82.

თუ რატომ გვყავს ასე ცოტა ველოსიპედისტი, ეს ცალკე, დიდი საუბრის თემაა და იქნებ ამისთვისაც მოვიცალოთ.

ახლა კი ისევ საქართველოს ჩემპიონატს მივუბრუნდეთ. ერთი სასიხარულო ამბავი მაინც მოხდა ამ ტურნირზე. ხუთთვიანი ინტერვალის შემდეგ ტრეკზე გამოჩნდა ჩვენში სატრეკო ველორბოლის ლიდერი **დავით ასკურავა**. ალბათ გახსოვთ, დავითი წლეულს ივლის-აგვისტოში გასამართავი ევროპის ახალგაზრდული და ელიტარული ჩემპიონატებისთვის ემზადებოდა, მაგრამ რომ შეიტყო, არსაიდან დაფინანსება არ ჩანდა და არც პერსპექტივა იყო სახეირო, სპორტსმენმა გული აიცრუა და როდის-როდის შეძენილი ველოსიპედი, ნამდვილად და არა გადატანითი მნიშვნელობით, ლურსმანზე ჩამოკიდა.

მოვიდა და გაიმარჯვა! დიახ, სრულებით უვარჯიშებელმა 200-მეტრიანი დისტანცია და მეორე დღეს სპრინტიც მოიგო. ამ დისციპლინაში კი ნამდვილად პროგრესი მოხდა... სტარტზე ორი სპორტსმენი გამოვიდა – ასკურავა და ნადირაძე. გამარჯვებულის შედეგია 11.62, ნადირაძისა – 12,81. რასაკვირველია, სპრინტშიც ეს ორი სპორტსმენი ეჭიშპებოდა ერთმანეთს და აქაც ასკურავამ აჯობა მეტოქეს.

დაბრუნების მიზეზი კი ერთობ პროზაულია. ამით დავით ასკურავამ პატივი სცა ამას წინათ ტრაგიკულად დაღუპული მისი მწვრთნელის, **ალბერტ თავაძის** ხსოვნას. ასკურავას და მის უკვე ერთადერთ მწვრთნელს **როდიკო მეიშვილს** ახლა გადაწყვეტილი აქვთ, 2012 წლის 17-19 თებერვალს ლონდონში გასამართავი მსოფლიოს თასის მეოთხე ეტაპისთვის მოემზადონ, რადგან საწყისი სამი ეტაპისთვის დაკარგულის დაბრუნებას ვერ მოასწრებენ.

სხვათა შორის, თავაძის კიდევ ერთმა შეგირდმა, **გიორგი პეტრინმა** უმცროს ასაკობრივ ჯგუფში გამოიჩინა თავი – მან ორი დისციპლინა მოიგო, ერთში კი მეორე ადგილზე გავიდა. პეტრინი 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადება.

ჭაბუკებში საუკეთესო იყო 150-ე საჯარო სკოლის XII კლასელი **ირაკლი ბაბლიძე,** რომელმაც ოთხივე დისციპლინა მოიგო და აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. იგი **თამაზ კიკნაძის** მოწაფეა.

**დავით ჭელიძე**

ჭადრაკი

# ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ნაკრების წევრმა **ლევან ფანცულაიამ,** რომელიც ევროპის გუნდური ჩემპიონატის წინ გენერალურ რეპეტიციას ჩინეთში გადის, იქაურ საერთაშორისო ტურნირზე ბოლო ორ ტურში 1,5 ქულა მოაგროვა. მე-5 ტურში შავი ფიგურებით მასპინძელ **ძიან ჟანს** სძლია, მეექვსეში კი ვიეტნამელ **ნგუენ ნგოკ თრონგ სონს** დაუზავდა. თბილისელმა დიდოსტატმა **დავით არუთინიანმა** კი მონაგარი მხოლოდ ქულით გაიმდიდრა: მე-5 ტურში ვიეტნამელ დიდოსტატ ქალბატონს - **ნგუენ ფამს** აჯობა, მეექვსეში კი თავად დანებდა თეთრებით მასპინძელ **კაიძი იანს.**

ექვსი ტურის შემდეგ 5 ქულით ერთპიროვნულად **ჟუ ძიანჩაო** მეწინავეობს. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვს 8 მოჭადრაკეს, მათ შორისაა ლევან ფანცულაია. არუთინიანი ჯერჯერობით 3 ქულით 39-ე ადგილზეა. მე-7 ტურში ინტერესს იწვევს ლიდერთა ჯგუფის შემდეგი ორთაბრძოლები: ჟუ ძიანჩაო (5)-ლი ჩაო (4,5), ვან იუე (4,5)-ჟუ ვეიძი (4,5) დინ ლირენი (4,5)-ლუ იუე (4,5), ვან ჩენი (4,5)-ლევან ფანცულაია (4,5), ნგუენ სონი (4,5)-ჩანდა სანდიპანი (4); დავით არუთინიანი შავი ფიგურებით ჩინელ ქალბატონს დინ იისინს დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

# ოსლოს ორი სამოსანი ჰყავს

ნორვეგიის დედაქალაქში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ ორი ტურის შეხვედრები გაიმართა. **ნინო ბაციაშვილმა** მონაგარი მხოლოდ ქულით გაიმდიდრა, რადგან მე-2 ტურში ნორვეგიელ დიდოსტატ ჯონ ლუდვიგ ჰამერთან დამარცხდა, მესამეში კი მასპინძელი ბრედ ალექს კვისვიკი დაამარცხა. **ნაზი პაიკიძემ** ჯერ ჰოლანდიელ სიპკე ერნსტთან წააგო, მერე იოჩანან აფეკს (ისრაელი) დაუზავდა. სამი ტურის შემდეგ ნინოს 2, ნაზის კი 1,5 ქულა აქვს. შეჯიბრებას უდანაკარგოდ ერნსტი და ვიქტორ მიხალევსკი (ისრაელი) ლიდერობენ. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით 7 მოჭადრაკე ჩამორჩება.

მეოთხე ტურში ერნსტი და მიხალევსკი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, ბაციაშვილი თეთრებით ვლადიმირ ბურკმანს (რუსეთი), პაიკიძე კი შავებით სტიგ გაბრიელსენს (ნორვეგია) შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ოთხნი მერვედფინალში

ერევნის ტურნირის (25 ათასი$) I წრე 4-მა ქართველმა დაძლია. გუშინ უკვე ვწერდით, რომ 15 წლის **ანი გოგვაძემ** მოუგო თანამემამულე **თამარ ჭალაგანიძეს** - 6:4, 6:2. დღეს სხვა ჩვენებურებზეც მოგახსენებთ - მე-4 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (243) უკრაინელ **ანა შკუდუნს** მოუგო - 6:3, 6:4. თათია მიქაძემ „უაილდ ქარდით" მიწვეული ბერძენი **მარია საკარი** დაჯაბნა - 6:1, 6:2, **ნათია გეგიამ** კი ბელარუს **ლიძია მაროზავას** მოუგო - 6:1, 6:4. ტურნირს გამოეთიშა **ეკა გორგოძე**, რომელსაც მე-2 ნომრად განთესილმა ამერიკელმა **ჯულია კოენმა** (178) მოუგო - 6:4, 6:1. მერვედფინალში ნათია გეგიას არ გაუმართლა - პირველ ნომრად განთესილ უკრაინელ **ლესია ცურენკოს** (119) ხვდება, ძლიერია მიქაძის მეტოქეც - ჯულია კოენი. გოგვაძე მე-6 ნომრად განთესილ უკრაინელ **ირინა ბურიაჩოკს** (300) ეთამაშება, ხოლო შაფათავა - იტალიელ **ანასტასია გრიმალსკას** (332).

წყვილთა ბადის მეოთხედფინალში შაფათავასა და მიქაძის დუეტია გასული, ისევე როგორც, გეგია და სომეხი **ანი ამირალიანი**. ამერიკულ უილიამსბურგში (10 ათასი დოლარი) „უაილდ ქარდით" თამაშობს **მაგდა ოქრუაშვილი**, მისი მეტოქე მასპინძელი **ქეთლინ ჰორისკეია**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროჩელენჯი. საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი


ფრენკ რობინსონი

4 ოქტომბერი

თბილისი. სპორტის სასახლე

## სოხუმი-მინსკი 94:78

28:24, 26:16, 17:21, 23:17

3400 მაყურებელი

*მსაჯები:* *სპირიდონ გონტასი (საბერძნეთი), იაარი რაინიში (ისრაელი), სერგეი ტისლენკო (მაკედონია)*

| სოხუმი | წთ | თამ.სრ | თამ.სრ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. ფარლალავა | 28 | 2/15 | 13.3 | 1/6 | 16.7 | 1/9 | 11.1 | 4/6 | 66.7 | 1 | 3 | 4 | 5 | 0 | 1 | 0 | 4 | 9 |
| 5. რობინსონი | 33 | 10/19 | 52.6 | 5/14 | 35.7 | 5/5 | 100.0 | 2/3 | 66.7 | 4 | 3 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 4 | 27 |
| 6. პირსი | 29 | 5/13 | 38.5 | 5/10 | 50.0 | 0/3 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 6 | 7 | 11 | 1 | 0 | 0 | 1 | 10 |
| *8. ჩლაიძე | 10 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| 9. გაი | 26 | 3/5 | 60.0 | 2/4 | 50.0 | 1/1 | 100.0 | 3/4 | 75.0 | 1 | 4 | 5 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 | 10 |
| *10. სორდია | 1 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| 11. ათუაშვილი | 20 | 8/8 | 100.0 | 8/8 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 2 | 3 | 5 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 18 |
| *12. ფაცაცია | 21 | 0/3 | 0.0 | 0/3 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| *13. გაფრინდაშვილი | 1 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 14. ძადარია | 3 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| 15. სალიარსი | 29 | 8/13 | 61.5 | 5/8 | 62.5 | 3/5 | 60.0 | 0/3 | 0.0 | 3 | 6 | 9 | 5 | 1 | 0 | 2 | 5 | 19 |
| გუნდი | | | | | | | | | | 3 | 1 | 4 | | 0 | | | 0 | |
| ჯამი | | 36/ 76 | 47.4 | 26/ 53 | 49.1 | 10/ 23 | 43.5 | 12/20 | 60.0 | 15 | 31 | 46 | 27 | 5 | 4 | 6 | 22 | 94 |

| სოხუმი | წთ | თამ.სრ | თამ.სრ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. კოქენეცი | 10 | 2/2 | 100.0 | 2/2 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 |
| 5. ჰოუკინსი | 22 | 6/11 | 54.5 | 2/5 | 40.0 | 4/6 | 66.7 | 2/2 | 100.0 | 1 | 4 | 5 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 18 |
| 8. ნაკიჩი | 1 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| 11. ლაშკევიჩი | 26 | 2/7 | 28.6 | 2/7 | 28.6 | 0/0 | 0.0 | 2/4 | 50.0 | 1 | 3 | 4 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 6 |
| 13. ჩარკო | 2 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| *15. ტრატსინეცკი | 35 | 4/10 | 40.0 | 4/6 | 66.7 | 0/4 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 3 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 8 |
| 22. ჰარდინი | 17 | 2/5 | 40.0 | 2/5 | 40.0 | 0/0 | 0.0 | 3/4 | 75.0 | 1 | 4 | 5 | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 7 |
| *25. კნოძსი | 27 | 4/7 | 57.1 | 4/7 | 57.1 | 0/0 | 0.0 | 5/8 | 62.5 | 2 | 5 | 7 | 1 | 1 | 0 | 5 | 5 | 13 |
| *41. კუდრიავცევი | 29 | 4/13 | 30.8 | 2/8 | 25.0 | 2/5 | 40.0 | 4/7 | 57.1 | 0 | 1 | 1 | 5 | 2 | 1 | 0 | 4 | 14 |
| *42. ჰოჯი | 32 | 4/7 | 57.1 | 4/7 | 57.1 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 1 | 4 | 5 | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 8 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 3 | 4 | | 0 | | | 0 | |
| ჯამი | | 28/ 62 | 45.2 | 22/ 47 | 46.8 | 6/ 15 | 40.0 | 16/27 | 59.3 | 7 | 29 | 36 | 17 | 8 | 2 | 7 | 19 | 78 |


ლაშა ფარლალავა

# ბრძოლა მოვიგეთ, ომი ჯერ არა!

### სოხუმმა და რობინჰუდსონმა მინსკი გაათექვსმეტეს

სათაურში მოხმობილი სიტყვები „სოხუმის“ ლატვიელ მწვრთნელ **აინარს ბაგაცკისს** ეკუთვნის, რომელიც შედეგით კმაყოფილია, თამაშით არა და განმეორებით შეხვედრას დიდი სიფრთხილით ეკიდება:

*- დღეს მნიშვნელოვანი ბრძოლა მოვიგეთ, მაგრამ ომი წინაა - ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო ეტაპი ორი მატჩისგან შედგება და ახლა ბელარუსში მოგვიწევს საკუთარი უპირატესობის მოედანზე დამტკიცება. 16-ქულიანი სხვაობა დამშვიდების საფუძველს არ მაძლევს, რადგან წინ არაერთი მაგალითია, როცა გაცილებით დიდი სხვაობა ვერ შეუნარჩუნებიათ. ერთ-ერთმა უკრაინულმა გუნდმა შინ 27 ქულის სხვაობით მოიგო, დამშვიდდა და სტუმრად 29 ქულით დამარცხდა.*

■ ■ ■

შესავალი ცოტა „ფრთხილი“ გამოგვივიდა, საჭიროცაა „თავი ქუდში“ არ უნდა დავიგულოთ და განმეორებით მატჩს სათანადოდ კონცენტრირებულები შევხვდეთ. თუმცა არც ემოციების შეკავება ეგების: „სოხუმმა“ ხომ „მინსკი“ 94:78 დაამარცხა და ევროჩელენჯის ჯგუფური ეტაპისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. იქ მოხვედრა ნიშნავს მინიმუმ ექვს ევრომატჩს და საქართველოში კალათბურთის დაბრუნებას. 2002 წლის შემდეგ ხომ ევროპული შეჯიბრებების ჯგუფურ ეტაპზე ერთ ქართულ გუნდსაც არ უთამაშია. მაშინ „დინამო“ ჩელენჯ თასზე, გამოდიოდა ახლა კი არის პერსპექტივა, ერთბაშად ორი ქართული გუნდი ვიხილოთ ჯგუფში - „არმია“ ევროჩელენჯს საკვალიფიკაციოს გაუვლელად იწყებს.

■ ■ ■

აინარს ბაგაცკისს, რომელიც პარალელურად ლატვიის ეროვნულ გუნდს წვრთნის, გაცილებით მეტი არჩევანი აქვს კლუბში, ვიდრე - ნაკრებში: „სოხუმისთვის“ კანდიდატები ევროპაში გაბნეული უამრავი ამერიკელიდან უნდა აერჩია. გემოვნებიან მწვრთნელებს კი გუნდის სწორად დაკომპლექტება არ ეშლებათ.

ბაგაცკისმა სწორედ ისეთი ამერიკელები დაიმატა, რომლებიც სჭირდებოდა:

**პიერ პირსი ლაშა ფარლალავას** გამთამაშებლობასა და მსროლელობას უცვლიდა. მწვრთნელმა ნამატჩევს პიერს კომპლიმენტი უძღვნა:

*- საერთოდ, კალათბურთელების გამორჩევა არ მახასიათებს, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა პირსის გარჯას, რომელმაც 10 ქულის პარალელურად 11 შედეგიანი გადაცემა და 7 მოხსნა მიითვალა.*

ვიდრე დანარჩენ ამერიკელებზე დავწერდეთ, ფარლალავას შესახებ ვთქვათ. მართალია, დაბალი პროცენტული მაჩვენებლით ისროლა, მაგრამ მწვრთნელისგან ასეთი შეფასება დაიმსახურა:

*- ლაშამ დაცვაში ნაყოფიერად იმუშავა, გუნდს მისი აგრესიულობა ძალიან დაეხმარა, თუმცა მიიღო ორი ჯარიმა და მას მერე იმდენად აგრესიული ვერ იყო. ასეთი დონის ტურნირებში გამოსვლა მას სამომავლო წინსვლაში ძალიან დაეხმარება.*

ფრენკ რობინსონი ტიპური მსროლელი ჩანს. პრესკონფერენციაზე მას რობინჰუდსონიც უწოდეს. ბოლო წუთებზე ჩაგდებულ მნიშვნელოვან სამქულიანსა და 27 ქულაზე რომ არაფერი ვთქვათ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ფრენკის პერიმეტრიდან ტყორცნის პროცენტული მაჩვენებელი: 5-დან 5 სამქულიანი გამოიყენა (ეს ის შემთხვევაა, როცა პროცენტს გამოთვლა არ უნდა). სწორედ ეს ევალება მსროლელს. რობინსონმა პრესკონფერენციაზე თავმდაბლად თქვა:

*- 27 ქულა მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის, თანაგუნდელებმა სათანადოდ შემიწყვეს ხელი. დღეს გუნდური თამაშის წყალობით მოვიგეთ.*

ბრენდონ გაის დაყენებული სროლა აქვს, რაც გუშინაც გაამტკიცა: 4-დან 2 ორქულიანი, 1-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. იკითხავთ, მეტი რატომ არ ისროლა? პასუხი მარტივია - ვერ მოიცალა, რადგან შეტევასა თუ დაცვაში დიდი მოცულობის შავი სამუშაო შეასრულა. მწვრთნელი გაის მსუბუქ ფორვარდადაც ათამაშებდა და მძიმე თავდამსხმელადაც.

იტალიის „ბიელადან“ ჩამოსული **მარკ სალიერსიც** ორ ამპლუას ითავ-


ბრენდონ გაი

სებდა - ცენტრობასა და მძიმე ფორვარდობას. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, იდგა თუ არა მოედანზე **სერგო ათუაშვილი**. გუშინაც დავწერეთ: ფარქვეშ ბრძოლის გარდა სალიერსს სამქულიანების სროლაც ხელეწიფებაო. მან ეს მეოთხე პერიოდის დასაწყისშიც დაამტკიცა და „სოხუმის“ უპირატესობა 14 ქულამდე გაზარდა (77:63).

ცენტრის პოზიციაზე ბაგაცკისმა 222 სმ სიმაღლის სერგო ათუაშვილი ბოლო მომენტში დაიმატა, მაგრამ დროის სიმცირის მიუხედავად მისი ბოლომდე გახსნა მოახერხა: სერგომ 8-დან 8 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა და 18 ქულით „სოხუმის“ ვიცე-ბომბარდირი გახდა. მატჩის ბოლოს მას ფეხი გადაუბრუნდა, თუმცა ტრავმა სერიოზული არ ჩანს.

გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანეს **ლევან ფაცაციამა** და **ირაკლი ჩლაიძემ.**

■ ■ ■

რადგან „სოხუმის“ ახალი კალათბურთელები საქმეში პირველად ვნახეთ, ამიტომაც დავუთმეთ დიდი ადგილი თითოეულის დახასიათებას. მატჩის სცენარზე კი ზოგად წარმოდგენას „მინსკის“ გამთამაშებლის, **ჯულიუს ჰოჯის** სიტყვები გვიქმნის:

*- მასპინძლებმა დღეს ჩვენზე აგრესიულად ითამაშეს და ამიტომაც გაიმარჯვეს. დაცვაში ბევრი შეცდომა დავუშვით, რაც განმეორებით მატჩში უნდა გამოვასწოროთ. მეტოქემ ფარქვეშაც გვაჯობა (მოხსნებში 46:36 „სოხუმმა“ იმარჯვა).*

ბელარუსების თავკაცმა **ანდრეი კრივონოსმა** დასძინა:

*- ნერვიული თამაში იყო, რაც სეზონის პირველი ოფიციალური მატჩებისთვის დამახასიათებელია. „სოხუმმა“ 94 ქულა ჩააგდო, ჩვენ - 78. ამდენი ბურთის გაშვება ერთი გუნდისთვისაც დაუშვებელია და მეორისთვისაც. დაცვაში თამაში თუ არ გავაუმჯობესეთ, განმეორებით შეხვედრაში 16-ქულიანი სხვაობის გაბათილება გაგვიჭირდება. თუმცა, ვფიქრობ, ეს შესაძლებელია.*

ნამატჩევს ლაშა ფარლალავა გახარებული იყო:

*- ვცდილობდით მწვრთნელის მითითებები სწორად შეგვესრულებინა. საბოლოო შედეგით კმაყოფილი ვარ. მინდა მადლობა გადავუხადო სპორტის სასახლეში მოსულ ქომაგს, რომელიც გამარჯვებაში ძალიან დაგვეხმარა. ახლა „მინსკს“ უკეთესად ვიცნობთ და განმეორებითი თამაშის წინ სათანადოდ მოვემზადებით. უპირატესობა ჩვენს მხარესაა. მთავარია, „სოხუმი“ დაბრუნდა.*

ბოლოს ერთ კურიოზზე შევჩერდებით: ჩვენი გუნდის მწვრთნელმა ხუთეულში პირსი, რობინსონი, ფარლალავა, გაი და ათუაშვილი დააყენა, მაგრამ მსაჯებმა ყველა ამერიკელისა და ათუაშვილის მოედნიდან გამოყვანა მოსთხოვეს. ბაგაცკისს სხვა გზა არ ჰქონდა ხუთეულში **გაფრინდაშვილი**, ჩლაიძე, ფარლალავა, **სორდია** და ფაცაცია გაამწესა... სიტუაციაში მწვრთნელმა გაგვარკვია:

*- მატჩის წინ ხუთეული გვარების მიხედვით დავასახელე. როგორც აღმოჩნდა, იმ ფურცელზე რომელზეც ჩემ მიერ გამოცხადებული ჩაიწერეს და ფიბას განაცხადში კლათბურთელებს სხვადასხვა ნომრები ჰქონდათ. ამიტომ, ხუთეულის წევრების მოედნიდან გამოყვანამ მომიწია და სხვებთან ერთად თამაშში კოჭმტკივანი სორდიაც ჩავრთე.*

განმეორებითი თამაში 11 ოქტომბერს მინსკში გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



დედე დადიანის მემორიალი

6-10 ოქტომბერი. [illegible]

A ჯგუფი | B ჯგუფი
თსუ | ქუთაისი
შსს | თსსუ
სტუ | რუსთავი
დინამო

6 ოქტომბერი
შსს VS დინამო 11:00
თსსუ VS რუსთავი 13:00
თსუ VS სტუ 15:00

7 ოქტომბერი
დინამო VS თსუ 11:00
რუსთავი VS ქუთაისი 13:00
სტუ VS შსს 15:00

8 ოქტომბერი
სტუ VS დინამო 11:00
შსს VS თსუ 13:00
ქუთაისი VS თსსუ 15:00

10 ოქტომბერი
ფინალი A1 - B1 18:00

msy.gov.ge

ერთიანი ბიბლიოთეკა



ინტერვიუ. დავორ შუკერი

# ვეტერანის ფიქრები წარსულზე



**ხორვატული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი დავორ შუკერი რამდენიმე დღის წინ უკრაინაში იყო სტუმრად და ადგილობრივ ყოველდღიურ სპორტულ გამოცემას უამრავ საინტერესო თემაზე ესაუბრა – თავის ბიზნესზე, ედუარდო და სილვაზე და ასევე იმაზე, თუ რატომ უჭირთ აღმოსავლეთევროპულ კლუბებს დასავლელ კონკურენტებთან ბრძოლა. მკითხველს ინტერვიუს ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს ვთავაზობთ.**

**- დავორ, თქვენ აქტიურ ფეხბურთს უკვე 8 წელია შეეშვით. ამჟამად რას საქმიანობთ?**

- 2000 წელს ჯერ კიდევ ფეხბურთში ვიყავი, როცა ჩემი საფეხბურთო აკადემია გავხსენი. ამ 11 წელიწადში აკადემიის ქსელი გაფართოვდა. სკოლები ბევრგან მუშაობს, ხორვატიიდან დაწყებული ამერიკით დამთავრებული. იანვარში მორიგი სკოლის გახსნა კალგარიში მაქვს დაგეგმილი.

**- ამ დღეებში კიევს ხრისტო სტოიჩკოვი სტუმრობდა. ამბობენ, რომ თავისი სკოლის გახსნას ის ჩვენთან გეგმავს. გეგმაში ეს თქვენც ხომ არ გაქვთ?**

- შეუძლებელი არაფერია. დღევანდელ მსოფლიოში საზღვრები პრაქტიკულად აღარ არსებობს. თუკი უკრაინაში ვინმე ჩემთან თანამშრომლობას მოისურვებს, რატომაც არა?

**- ეს თქვენი ბიზნესია?**

- ეს არ არის კლასიკური ბიზნესი, ესაა საქმიანობა ფეხბურთის საკეთილდღეოდ. ცხოვრებაში ბევრს მივაღწიე, ახლა კი მაქვს საშუალება, რომ რაღაც გავაკეთო ხალხისთვის, ხორვატიის ნაკრებისთვის. არ მაინტერესებს რომელიმე კლუბში მუშაობა, მე მინდა მთელ მსოფლიოში ფეხბურთის განვითარება. მიზნად არც ვარსკვლავების გაზრდა მაქვს, უბრალოდ, ბავშვებს ფეხბურთის თამაშის საშუალებას ვაძლევ.

**- დავორ, ხშირად ხვდებით 90-იანი წლების ხორვატიის ნაკრების წევრებს?**

- ჩვენ გვაქვს ვეტერანთა კავშირი, თუმცა ერთმანეთს იშვიათად ვხედავთ, რადგან ყველანი დაკავებულები ვართ. თანაც, ხორვატია პატარა ქვეყანაა და ჩვენი გუნდით სხვებთან თამაშებს თითქმის არ ვატარებთ. ხანდახან "რეალის" ვეტერანთა გუნდში თუ დამიძახებენ ხოლმე. ბოლოს ფეხბურთი "ბაიერნთან" ვითამაშე. ასაკის მატებასთან ერთად უფრო ხშირად მახსენდება ნაკრებიც და "რეალიც".

**- რას ფიქრობთ ხორვატიის ნაკრებში ედუარდო და სილვას თამაშზე?**

- ხორვატიის ჩემპიონატში ედუარდოს უამრავი გოლი გაჰქონდა. იმ მომენტში ნაკრებს სწორედ მისნაირი თავდამსხმელი სჭირდებოდა. თანაც ის ზაგრებში დიდხანს ცხოვრობდა და მეუღლეც ხორვატი ჰყავს. პირადად ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ.

**- ხორვატიამ უკრაინასა და პოლონეთთან ევრო 2012-ის მასპინძლობის უფლება დათმო...**

- დიახ, ხორვატიის განაცხადის წარმდგენი მე ვიყავი. თქვენც ძალიან ძლიერი წარმომადგენლები გყავდათ – შევჩენკო და (რამდენიმე წამი ჩუმდება, მოკრივის პოზას იღებს და ამატებს)... კლიჩკო. ჩვენ გვესმოდა, რომ უეფასთვის უკრაინა ბევრად პრიორიტეტული იქნებოდა. ჩემს ქვეყანაში სულ 5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, თქვენთან - 50. აუცილებლად გეწვევით ჩემპიონატის მიმდინარეობისას. ძალიან მინდა, რომ ხორვატიაც მოხვდეს ევროპის ჩემპიონატზე. საბერძნეთთან გადამწყვეტი შეხვედრა გველის. მოვიგებთ და პირდაპირ გავალთ ჩემპიონატზე, თუ წავაგებთ, შემდეგ პლეი ოფში მოგვიწევს ჭიდაობა.

**- როგორ ფიქრობთ, აღმოსავლეთევროპულ კლუბებს შეუძლიათ ჩემპიონთა ლიგის მოგება?**

- უახლოეს წლებში ეს ნაკლებად მოსალოდნელია. ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიასა და იტალიაში ფეხბურთში ფულს ყოველთვის დებდნენ. აღმოსავლეთევროპელებმა კი ამის გაკეთება ბოლო ათწლეულშიღა დავიწყეთ. სწორედ ამიტომ არის, რომ წამყვანი ქვეყნები ბევრ რამეში გვისწრებენ. მათთან კონკურენცია ამ ეტაპზე ძალიან ძნელია. სიამოვნებით ვიტყოდი, ზაგრების "დინამო" ლიგას მოიგებს-თქო, მაგრამ რეალობა უნდა გავითვალისწინოთ. იმავეს თქმა შემიძლია კიევის "დინამოზე", "შახტარსა" და მოსკოვის ცსკა-ზეც.

საფრანგეთის ნაკრები

# სისე და მატიე სამფეროვანთა შორის

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლორან ბლანმა** ალბანეთთან და ბოსნიასთან შესარჩევი მატჩების წინ ტრავმების გამო **ფრანკ რიბერი, ბლეზ მატუიდი, კარიმ ბენზემა** და **ბაკარი სანია** მოისაკლისა. ბუნებრივია, წამყვან ფეხბურთელებს მუსიე ლორანმა შემცვლელები მოუძებნა. მათ მაგივრად "კლერფონტენის" ბაზაზე ლაციოელი **ჯიბრილ სისე** და ვალენსიელი **ჟერემი მატიე** გამოცხადნენ. ბლანის პრობლემები ამით არ ამოიწურება, რადგან სხვადასხვა მიზეზის გამო საეჭვოა **ერიკ აბიდალისა** და **კევინ გამეიროს** თამაშიც.

ნაკრებში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნებული ჯიბრილ სისე ჟურნალისტთა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. მან ბევრი ილაპარაკა იმ გრძნობებზე, რაც მას ეროვნულ გუნდში დაბრუნებამ მოჰგვარა. ჯიბრილმა საკლუბო კარიერაზეც დაძრა სიტყვა და განაცხადა, რომ ზაფხულზე კარიერის გაგრძელების წარმოუდგენლად სარფიან წინადადებაზე თქვა უარი, რადგან ჯერ კიდევ აქვს ამბიცია, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს. *"ზაფხულზე არანორმალური წინადადება მქონდა. ისინი ნამდვილად ავად იყვნენ, რადგან ჩინეთის ჩემპიონი "გუანჩჟოუ" 2,5-წლიან კონტრაქტში 20 მილიონ ევროს მთავაზობდა. თუმცა იქ გამგზავრება ჩემთვის ძალიან ადრეა. სათამაშოდ არასოდეს წავალ ისეთ ქვეყანაში, საიდანაც საფრანგეთის ნაკრებში თამაშის შანსი აღარასოდეს მომეცემა. ვიცი, რომ ამ გუნდისთვის ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შემიძლია, რადგან როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად, თავს კარგად ვგრძნობ. მართალია, ტრავმების გამო სისწრაფე მომაკლდა, მაგრამ ახლა გამოცდილებაც მეტი მაქვს და ტაქტიკურადაც ბევრად უკეთ ვარ განსწავლული. რაც შემიძლია ყველაფრის ჩვენებას სწორედ ნაკრების მაისურით ვაპირებ. ნაკრებისთვის წარსული მხოლოდ მას მერე გავხდები, როცა ფეხბურთის თამაშს თავს დავანებებ. იქამდე ეს გამორიცხულია,"* – განაცხადა 30 წლის ფეხბურთელმა.

რაკი "სამფეროვანთა" შესახებ ვწერთ, აქვე გეტყვით, რომ ფრანგული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **გაელ კაკუტა** მისთვის აბსოლუტურად მოულოდნელად კონგოს ნაკრებში გამოიძახეს. აი, რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით თავად ფეხბურთელმა: *"მოულოდნელად კონგოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლოდ ლე როიმ დამირეკა და ნაკრებში გამოძახება მომილოცა. რაზე იყო ლაპარაკი თავიდან ვერ მივხვდი. გამიკვირდა, რადგან ასაკობრივ ნაკრებებში ყოველთვის საფრანგეთის სახელით ვთამაშობდი და ვოცნებობ, ოდესმე ამავე ქვეყნის ეროვნულ გუნდში მოვხვდე"*. გეტყვით, რომ "ფულჰემის" 20 წლის ნახევარმცველს საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებებში 55 შეხვედრა აქვს ჩაატრებული.



ჯიბრილ სისე საფრანგეთის ნაკრებს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა

ამბები

## მაიგა ისევ ინგლისში?

"სოშოს" 24 წლის ცენტრალური თავდამსხმელი **მოდიბო მაიგა** საფრანგეთიდან წასვლას ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე გეგმავდა. მას "ნიუკასლი" იწვევდა, მაგრამ ფეხბურთელს ამის საშუალება კლუბმა არ მისცა. მეტიც, მაღელი ბოიკოტის გამოცხადების გამო სოლიდური თანხით დააჯარიმეს, დუბლებში დააქვეითეს და მცირე ხნით, მაგრამ დიდი ფეხბურთის გარეშე დატოვეს. მას შემდეგ მაიგამ პატიება ითხოვა. თავდამსხმელი ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა. მის ანგარიშზე ბოლო 3 შეხვედრაში 4 გოლია. ინგლისური გამოცემა "დეილი მეილი" წერს, რომ მისით ახლა პრემიერლიგური "სანდერლენდია" დაინტერესებული და მზადაა, იანვარში "სოშოს" 7,5 მილიონი ევრო გადაუხადოს.

## რადუ რომში რჩება

"ლაციოს" რუმინელი მარცხენა მცველის, 25 წლის **სტეფან რადუს** აგენტმა **ვიქტორ ბეკალიმ** კომენტარი გაუკეთა ფრანგულ პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას მისი კლიენტით "პარი სენ-ჟერმენის" დაინტერესების შესახებ: *"არ ვიცი, საიდან მოიტანეს ეს ინფორმაცია. არც მე და არც ფეხბურთელს პარიზელთა წარმომადგენელი არ დაგვკავშირებია. კონტაქტზე არავინ გასულა არც "ლაციოს" ხელმძღვანელებთან. ამჟამად სტეფანს მხოლოდ და მხოლოდ "ლაციო" აინტერესებს. ბუნებრივია, მომავალში გამორიცხული არაფერია, მაგრამ ამ ეტაპზე აღნიშნული თემის განხილვა სალ აზრს მოკლებულია".*

## სავიოლას ახალი კონტრაქტი

**"ბაჭია"**, იგივე **ხავიერ სავიოლა** უკვე 10 წელია ევროპაში თამაშობს. ამ დროში მან "ბარსელონაში", "მონაკოში", "სევილიაში", "რეალსა" და "ბენფიკაში" თამაში მოასწრო. 29 წლის ფეხბურთელი ლისაბონში 2009 წლიდან ცხოვრობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის "არწივების" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია. ლიგა საგრეშში მის ანგარიშზე 60 შეხვედრაში გატანილი 25 გოლია. ამის მიუხედავად, არგენტინელმა განაცხადა, სეზონის მიწურულს კარიერა შეიძლება რომელიმე არაბულ ქვეყანაში ან სულაც ამერიკულ მლს-ში განვაგრძოო. ამის საპასუხოდ "ბენფიკამ" ფეხბურთელს კონტრაქტის 2 წლით გაგრძელება შესთავაზა. ხავიერის აგენტმა დაადასტურა, რომ წინადადება უკვე მიიღო და უახლოეს ხანებში მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაჯდომას აპირებს.

## პლატინი პოლონეთში

11 ოქტომბრიდან უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** პოლონეთს სამდღიანი ვიზიტით ეწვევა და ევროპის ჩემპიონატისთვის ამ ქვეყნის მზადებას შეამოწმებს. ანალოგიური ინსპექცია მან უკრაინაში უკვე ჩაატარა და კმაყოფილი დარჩა. პოლონური პრესის ინფორმაციით, ფრანგი ფუნქციონერი გდანსკს, ვროცლავს, პოზნანს, ვარშავასა და კრაკოვს ესტუმრება. ბატონი პრეზიდენტი ამ ქალაქებში სტადიონებს, აეროპორტებს დაათვალიერებს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდება. 13 ოქტომბერს კრაკოვში პლატინი ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფის კენჭისყრას დაესწრება. ამავე დღეს გაიმართება ევროკავშირის ქვეყნების სპორტის მინისტრთა არაოფიციალური შეხვედრა, სადაც უეფას მმართველი საპატიო სტუმრად არის მიწვეული. აღნიშნული ღონისძიება სპორტში კორუფციასთან და გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის საკითხებს შეეხება.

უეფას დელეგაციაში პლატინის გარდა იქნებიან უეფას გენერალური მდივანი **ჯანი ინფანტინო**, აღმასრულებელი დირექტორი **დევიდ ტეილორი** და უეფას ოპერაციათა დირექტორი **მარტინ კალენი**.

## შჩესნი ნაკრებს დააკლდება

"არსენალისა" და პოლონეთის ნაკრების 21 წლის მეკარე **ვოიცეხ შჩესნიმ** ტრავმა მიიღო და ეროვნულ გუნდს სამხრეთ კორეასთან და ბელარუსთან შეხვედრებში დააკლდება. **ფრანტიშეკ ჟმუდამ** მის ნაცვლად ნაკრებში "გენკის" 22 წლის კარის დარაჯ **გჟეგოშ სანდომირსკის** უხმო. ასევე ტრავმის გამო ჟმუდას განკარგულებაში არ იქნება "ლილის" შემტევი ნახევარმცველი, 26 წლის **ლუდოვიკ ობრანიაკი**. მას 25 წლის ლეგიელი **იანუშ გოლი** შეცვლის.

## 28 მილიონი რენს

"არსენალის" ფრანგი თავკაცი **არსენ ვენგერი** მზადაა, ლონდონში მორიგი თანამემამულე წაიყვანოს. ლაპარაკია "რენის" 21 წლის საყრდენ ნახევარმცველ **იან მვილაზე**. მვილას შეძენა ვენგერს ზაფხულშიც სურდა, მაგრამ მაშინ ბრეტონულმა კლუბმა 25 მილიონ ევროზე უარი თქვა. ამჯერად "მეთოფეები" მზად არიან, ფეხბურთელში 3 მილიონით მეტი გადაიხადონ.

## სტეკე ნაკრებს მიღმა

"რომასა" და ჰოლანდიის ნაკრების 29 წლის მეკარე **მაარტენ სტეკელენბურგი** ევრო 2012-ის შესარჩევ შეხვედრებში მოლდოვისა და შვედეთის წინააღმდეგ არ ითამაშებს. ამის შესახებ ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის საიტი იუწყება. მაარტენი რომიდან ამსტერდამში ჩავიდა, ეროვნული გუნდის ექიმებს გაესინჯა და რაკი მათაც დაასკვნეს, რომ ფეხბურთელს თამაში არ შეუძლია, შეკრებიდან გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, რომ სტეკელენბურგმა თავის ტრავმა 17 სექტემბერს "ინტერთან" შეხვედრაში **ლუსიოსთან** შეჯახებისას მიიღო. "ნარინჯისფერთა" რიგებში მაარტენს "სუონსის" კარის დარაჯი **მიხაელ ფორმი** შეცვლის.

## პანდევი სომხეთთან არ იქნება

მაკედონიის ნაკრების უელსელ დამრიგებელ **ჯონ ტოშაკს** თავისი ერთადერთი ვარსკვლავი დააკლდება. 28 წლის თავდამსხმელი **გორან პანდევი** 7 ოქტომბერს ერევანში სომხეთის ნაკრებს ვერ დაუპირისპირდება. ფეხბურთელი შეკრებაზე უკვე ფეხმტკივანი გამოცხადდა და ექიმს გაესინჯა. ამ უკანასკნელმა პანდევის ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. გორანი ნეაპოლში დაბრუნდა, სადაც მკურნალობის კურსს გააგრძელებს. ტოშაკს დააკლდება ასევე სლოვენიური "მარიბორის" 23 წლის თავდამსხმელი **აჰიმ იბრაიმი**. ამრიგად ვალიელ სპეციალისტს ხელთ ორი თავდამსხმელიღა შერჩა. მათ სახელებს გეტყვით, მაგრამ ვეჭვობთ, **ივან ტრიჩკოვსკისა** და **მირკო ივანოვსკის** სახელები რამეს გეუბნებოდეთ.

## დომენეკი არაო

კამერუნის ფეხბურთის ფედერაციამ თავის ვებგვერდზე უარყო ფრანგულ პრესაში გავრცელებული ხმები, თითქოს ამ ქვეყნის ნაკრებში ისინი **რაიმონ დომენეკის** დანიშვნას აპირებდნენ. ამჟამად კამერუნს სათავეში სახელოვანი ესპანელი **ხავიერ კლემენტე** უდგას, თუმცა მისი ხელმძღვანელობით "მოუთვინიერებელი ლომები" იოლად დასამორჩილებელ გუნდად გადაიქცნენ. ისინი იმდენად წარუმატებლად ასპარეზობენ, რომ დიდი შანსია, აფრიკის თასის 2012 წლის გათამაშების მიღმა დარჩნენ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პასი ამერიკიდან

ბრაზილია. სერია A. XXVII ტური

## როგორც იქნა, ვარსკვლავბიჭუნა ნეიმარმაც გაიტანა

### ექვსეული ჩემპიონობისთვის

**პალმეირასი-ამერიკა 1:1**

**გოლები:** 1:0 მარკოს ასუნსაო (29), 1:1 კემპესი (45)

**ფლუმინენსე-სანტოსი 3:2**

**გოლები:** 0:1 ნეიმარი (32), 1:1 მარკინიო (39), 2:1 რაფაელ სობისი (72), 2:2 რენტერია (89), 3:2 მარსიო როზარიო (90)

**გაძევება:** დიგაო (82. ფლუმინენსე)

**ბაია-ავაი 3:2**

**გოლები:** 1:0 ჟუნიორ პიპოკა (36), 1:1 ჟუნიორ პიპოკა (47 ს.კ.), 1:2 პედრო კენი (53), 2:2 ჟუნიორ პიპოკა (78), 3:2 ლულინია (80)

**გაძევება:** ფაბინიო (86. ბაია), ვილიამი (86. ავაი)

**სან პაულუ-ფლამენგო 1:2**

**გოლები:** 0:1 ტიაგო ნევესი (65), 1:1 დაგობერტო (79), 1:2 რენატო აბრეუ (84)

**გაძევება:** ლუკას სილვა (55. სან პაულუ), ვილიანსი (69. ფლამენგო)

**ვასკუ და გამა-კორინთიანსი 2:2**

**გოლები:** 1:0 დედე (16), 1:1 ალექსი (21), 2:1 ფაგნერი (45), 2:2 დანილო (67)

**ატლეტიკო მ.-სეარა 1:1**

**გოლები:** 1:0 კარლოს სეზარი (12), 1:1 ლეანდრო ჩავესი (37)

**გაძევება:** მიჩელი (45. სეარა), ჟოაო მარკოსი (53. სეარა), როჟერი (88. სეარა)

**ატლეტიკო პ.-ინტერნასიონალი 2:0**

**გოლები:** 1:0 ნიეტო (59), 2:0 ნიეტო (83)

**გრემიო-კრუზეირო 2:0**

**გოლები:** 1:0 რაფაელ მარკესი (4), 2:0 ესკუდერო (49)

**ატლეტიკო გ.-ბოტაფოგო 2:0**

**გოლები:** 1:0 ფელიპე (2), 2:0 ფელიპე (10)

**ფიგეირენსე-კორიტიბა 0:0**

ლიდერთა ჯახი, რომელმაც სტატუს ქვო შეუნარჩუნა ცხრილს, შედგა **რივალდოსა** და **რონალდინიოს** დუელი, როგორც იქნა, გაიტანა ვარსკვლავბიჭუნა **ნეიმარმა**. ამ და სხვა საინტერესო ფაქტებზე ჩვენს შემაჯამებელ მიმოხილვაში მოგითხრობთ.

რაც დრო გადის, ბრაზილიის ჩემპიონატი ეშხში შედის და სულ უფრო საინტერესო ხდება. ამ ტურმა ნათლად გამოკვეთა ის 6 გუნდი, რომლებიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ვფიქრობთ, ჩამოთვლას აზრი არ აქვს, შეგიძლიათ ცხრილის მიხედვით დაასკვნათ, რომელ კლუბებზეა საუბარი.

ჩვეულებრისამებრ, ბრაზილიური ტური შაბათის სამი მატჩით დაიწყო, რომელთაგან ყველაზე საინტერესო ჩემპიონ „ფლუმინენსესა“ და ვარსკვლავურ „სანტოსის“ გაჯიბრება იყო. არცთუ დიდი ხნის წინ, ორივე გუნდი საკმაოდ შორს იყო ცხრილში, მაგრამ ლიდერთა ხშირმა წაფორხილებებმა ორივეს შანსი გაუჩინა. სტუმრებმა შეტევებით დაიწყეს, მაგრამ ნეიმარი საკმაოდ კარგ ეპიზოდებს ანიავებდა. საპასუხოდ, „ფლუს“ ნახევარმცველი **მარკინიო** გავიდა მეკარე **რაფაელთან** პირისპირ, მაგრამ დუელი წააგო. სულ ცოტა ხანში ისევ რაფაელმა გამოიჩინა თავი - „სანტოსის“ მეკარემ საგოლე პასი გააკეთა (!), რომელიც ნეიმარმა ახლო კუთხეში დიდებული დარტყმით დაასრულა. 19 წლის ნეიმარი მსოფლიოს ყველა გრანდის ოცნებაა, მას კი ბრაზილიის ჩემპიონატში 22 აგვისტოს მერე არ გაუტანია. მარკინიომ მაინც არ მოისვენა, კიდევ ერთხელ გავიდა მეკარესთან პირისპირ და გაათანაბრა.

მეორე ტაიმი უკეთ „ფლუმინენსემ“ დაიწყო და **რაფაელ სობისმა** „ცხრიანში“ გაიტანა. ბოლოსკენ მასპინძლები ათი კაცის ამარა დარჩნენ (გააძევეს **დიგაო**) და „სანტოსმა“ ბოლოსწინა წუთზე გაათანაბრა - ნეიმარმა **რენტარიას** დაუგორა და იმანაც 22 მეტრიდან გაიტანა. ყველას ეგონა, რომ თამაში ასეც დასრულდებოდა, მაგრამ რეფერიმ 5 წუთი დაამატა და მასპინძელთა კუთხურს მცველ **როსარიოს** გამარჯვების თავური მოჰყვა - 3:2. „ლიბერტადორესის თასის“ მფლობელი საბოლოოდ ჩამოშორდა საჩემპიონო რბოლას, ხოლო **აბელ ბრაგას** გუნდი მე-5 ადგილზე დამკვიდრდა.

ტურის მთავარი დაპირისპირებები ორშაბათს გაიმართა, ლიდერი „ვასკუ და გამა“ მდევარ „კორინთიანსს“ იღებდა, ხოლო „სან პაულუ“ - „ფლამენგოს“. პირველი მატჩი ძალიან კარგი საყურებელი გამოდგა, მოვლენებით დახუნძლული - უკვე მე-20 წუთზე ანგარიში 1:1 იყო. მასპინძელთაგან მცველმა **დედემ** გამოიჩინა თავი, სტუმართაგან კონტრშეტევა **ალექსმა** დააგვირგვინა. ამის მერე სტუმრები გააქტიურდნენ, მაგრამ გოლი „ვასკუმ“ გაიტანა - კიდევ ერთმა მცველმა, **ფაგნერმა**. მეორე ტაიმში ყველაფერი პირუკუ მოხდა - უპირატესობას უკვე „ვასკუ“ ფლობდა, გოლი კი „კორინთიანსმა“ გაიტანა - **ვილიანმა** მარჯვენა ფლანგიდან თავზე ჩაუწოდა **დანილოს** და იმანაც გაიტანა - 2:2. სულ რამდენიმე წუთში იგივე გამეორდა, ერთი „მცირე“ გამონაკლისით, დანილომ თავური ააცილა. თამაშის მიწურულს „ვასკუს“ **ალექსანდრომ** გოლი კი გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა მიიჩნია, რომ ის თამაშგარე მდგომარეობაში იყო, „კორინთიანსმა“ კი ორი კარგი მომენტი გაანიავა. საომარი და სამართლიანი ფრე, რომლის შემდეგაც „ვასკუ“ ისევ 2 ქულით უსწრებს „კორინთიანსს“.

„კორინთიანსის“ დაწევა „სან პაულუს“ შეეძლო, მაგრამ რივალდოს გუნდმა სულაც წააგო რონალდინიოსთან და კომპანიასთან. მასპინძელთა რიგებში პაუზის შემდეგ გამოჩნდა **ლუიშ ფაბიანო**. „ფლა“ პირველ ტაიმში ფრთხილობდა და უმთავრესად რონალდინიოს წყალობით უტევდა. „კიჟამ“ ორი-სამი კარგი პასი გააკეთა, მაგრამ თანაგუნდელებმა ააცილეს. სტუმრებმა ანგარიში მეორე ტაიმში გახსნეს, თავი **ტიაგო ნევესმა** გამოიჩინა. გაძევებების შემდეგ ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა **დაგობერტომ** - 25 მეტრიდან ბურთი „გემრიელად“ მოიქნია. თქმა არ უნდა, ეს იყო ტურის საუკეთესო გოლი. მაგრამ **ადილსონ ბატისტას** გუნდმა ფრე ვერ შეინარჩუნა, როჟერიო სენიმ ბურთი ძალიან შორი დისტანციიდან გაუშვა - 1:2. „ფლა“ იგებს და ლიდერს 6 ქულა აშორებს.

ამ ტურში გამოვყოფთ „ბოტაფოგოს“ მოულოდნელ მარცხს გოიანენსეს „ატლეტიკოსთან“ - 0:2. საოცარია „ინტერნასიონალის“ მარცხიც „ატლეტიკო პარანაენსესთან“. გუნდს უკვე შეეტყო ლიდერის, **ლეანდრო დამიაოს** არყოფნაც. ახლა სანაკრებო პაუზა იწყება, თუმცა ეს ბრაზილიას არ ეხება - იქ ტური ჩვეულებრივ ჩატარდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვასკუ და გამა | 27 | 14 | 8 | 5 | 43-30 | 50 |
| 2. კორინთიანსი | 27 | 14 | 6 | 7 | 39-28 | 48 |
| 3. სან პაულუ | 27 | 13 | 7 | 7 | 42-32 | 46 |
| 4. ბოტაფოგო | 26 | 13 | 6 | 7 | 40-30 | 45 |
| 5. ფლუმინენსე | 27 | 14 | 2 | 11 | 37-33 | 44 |
| 6. ფლამენგო | 27 | 11 | 11 | 5 | 44-35 | 44 |
| 7. ინტერნასიონ. | 27 | 10 | 10 | 7 | 43-35 | 40 |
| 8. პალმეირასი | 27 | 9 | 13 | 5 | 33-26 | 40 |
| 9. ატლეტიკო გ. | 27 | 10 | 8 | 9 | 34-29 | 38 |
| 10. კორიტიბა | 27 | 10 | 7 | 10 | 44-34 | 37 |
| 11. ფიგეირენსე | 27 | 9 | 10 | 8 | 32-33 | 37 |
| 12. გრემიო | 26 | 10 | 6 | 10 | 31-33 | 36 |
| 13. სანტოსი | 25 | 10 | 5 | 10 | 38-40 | 35 |
| 14. ბაია | 27 | 8 | 9 | 10 | 32-35 | 33 |
| 15. სეარა | 27 | 8 | 7 | 12 | 34-45 | 31 |
| 16. კრუზეირო | 27 | 8 | 5 | 14 | 31-35 | 29 |
| 17. ატლეტიკო პ. | 27 | 6 | 9 | 12 | 27-38 | 27 |
| 18. ატლეტიკო მ. | 27 | 7 | 5 | 15 | 33-45 | 26 |
| 19. ავაი | 27 | 5 | 7 | 15 | 32-57 | 22 |
| 20. ამერიკა | 27 | 3 | 11 | 13 | 33-49 | 20 |

**ბომბარდირები:** 19 - ბორჟესი (სანტოსი); 13 - ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), რონალდინიო (ფლამენგო); 12 - მონტილიო (კრუზეირო); 10 - ბილი (კორიტიბა), დეივიდი (ფლამენგო), ვილიამი (ავაი).

**გადატანილი მატჩები**

დღეს: გრემიო-სანტოსი, კრუზეირო-სან პაულუ.

**მომდევნო ტური**

8 ოქტომბერი: ბოტაფოგო-ბაია, კორიტიბა-გრემიო, ამერიკა-ატლეტიკო მ.

9 ოქტომბერი: სანტოსი-პალმეირასი, ფლამენგო-ფლუმინენსე, ინტერნასიონალი-ვასკუ და გამა, კორინთიანსი-ატლეტიკო გ, ავაი-ატლეტიკო პ. სეარა-ფიგეირენსე.

10 ოქტომბერი: სან პაულუ-ინტერნასიონალი.



რონალდინიო

არგენტინა. აპერტურა. X ტური

## ბოკა წინ გაიჭრა



რიკელმე

**ბელგრანო-არხენტინოსი 1:2**

**გოლები:** 0:1 მორალესი (3), 0:2 ბრუმი (57), 1:2 ალმერარესი (64)

**ატლეტიკო-ლანუსი 2:1**

**გოლები:** 0:1 რეგეირო (19), 1:1 ფონტანინი (50), 2:1 ფ. გონსალესი (54)

**გაძევება:** რეგეირო (53. ლანუსი), ისკიერდოსი (57. ლანუსი)

**ველესი-სან მარტინი 1:0**

**გოლი:** 1:0 რესკალდანი (66)

**ოლ ბოისი-ოლიმპო 1:2**

**გოლები:** 0:1 ფურხი (28), 1:1 მატოსი (42), 1:2 ფრანსოია (77)

**რასინგი-ინდეპენდიენტე 1:1**

**გოლები:** 1:0 აუჩე (1), 1:1 პარა (27)

**ბოკა-ტიგრე 1:0**

**გოლი:** 1:0 კასტანიო (14 ს.კ.)

**კოლონი-ესტუდიანტესი 1:1**

**გოლები:** 0:1 ბრანა (45), 1:1 ფ. იგუაინი (59)

**ბანფილდი-ნიუელსი 2:0**

**გოლები:** 1:0 ფერეირა (53), ფერეირა (72)

**გოდოი კრუსი-სან ლორენსო 2:0**

**გოლები:** 1:0 სიგალი (40), 2:0 რამირესი (61)

**არსენალი-სანტა ფე 2:1**

**გოლები:** 0:1 როსალესი (8-პენ), 1:1 ტრომბეტა (21), 2:1 ობოლო (82)

„ბოკა ხუნიორსმა“ აიწყვიტა და არცთუ ურიგო ჰანდიკაპი მოიწყო, მას მერე, რაც „ტიგრეს“ მინიმალური სხვაობით მოუგო, არგენტინელთა უსაყვარლესი გუნდი უკვე 5 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს, რომელსაც მაინც ვერ განვიხილავთ ჩემპიონობის სერიოზულ კანდიდატად - რაფაელას „ატლეტიკო“ ხომ პრიმერას დებიუტანტია.

ვერ ვიტყვით, რომ „ბოკა“ ბრწყინავს, ამ ტურშიც გუნდის თამაში შორს იყო თვალსასეიროსთან. თუმცა ასეთია დღევანდელი „ბოკა“ და მას ვერ შეცვლი - მთავარია, რომ „ტიგრესთან“ მისი გამარჯვება საეჭვო სულაც არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ბურთს მეტოქე უფრო ხშირად ფლობდა, მატჩის სადავეები მასპინძელთა ხელში იყო.

„ბოკამ“ მალევე გაიტანა, **რიკელმე** ჯარიმას ასრულებდა, ბურთი **დიეგო რივეროს** მიუვიდა, რომლის დარტყმულსაც უნებლიედ მიმართულება **დიეგო კასტანიომ** შეუცვალა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოკა | 10 | 7 | 3 | 0 | 12-2 | 24 |
| 2. ატლეტიკო | 10 | 6 | 1 | 3 | 16-12 | 19 |
| 3. რასინგი | 10 | 4 | 6 | 0 | 9-3 | 18 |
| 4. კოლონი | 10 | 4 | 5 | 1 | 10-7 | 17 |
| 5. გოდოი კრუსი | 10 | 4 | 4 | 2 | 17-12 | 16 |
| 6. ლანუსი | 10 | 4 | 4 | 2 | 11-6 | 16 |
| 7. ტიგრე | 10 | 4 | 4 | 2 | 12-9 | 16 |
| 8. ბელგრანო | 10 | 4 | 4 | 2 | 12-9 | 16 |
| 9. ველესი | 10 | 4 | 2 | 4 | 10-8 | 14 |
| 10. სანტა ფე | 10 | 3 | 4 | 3 | 8-10 | 13 |
| 11. არსენალი | 10 | 3 | 3 | 4 | 13-13 | 12 |
| 12. ოლიმპო | 10 | 2 | 5 | 3 | 11-13 | 11 |
| 13. ინდეპენდიენტე | 10 | 3 | 2 | 5 | 7-9 | 11 |
| 14. სან ლორენსო | 10 | 3 | 2 | 5 | 10-13 | 11 |
| 15. სან მარტინი | 10 | 2 | 4 | 4 | 7-9 | 10 |
| 16. ოლ ბოისი | 10 | 2 | 4 | 4 | 9-15 | 10 |
| 17. ნიუელსი | 10 | 1 | 6 | 3 | 6-9 | 9 |
| 18. არხენტინოსი | 10 | 1 | 5 | 4 | 8-15 | 8 |
| 19. ბანფილდი | 10 | 2 | 1 | 7 | 4-11 | 7 |
| 20. ესტუდიანტესი | 10 | 1 | 3 | 6 | 11-18 | 6 |

**ბომბარდირები:** 6 - რამირესი (გოდოი კრუსი); 5 - განდინი (ატლეტიკო), გუტიერესი (რასინგი), მატოსი (ოლ ბოისი), როლე (ოლიმპო); 4 - კასტრო (ატლეტიკო).

**მომდევნო ტური**

14 ოქტომბერი: ოლიმპო-ტიგრე, ნიუელსი-არსენალი, სან ლორენსო-ბანფილდი.

15 ოქტომბერი: სან მარტინი-რასინგი, სანტა ფე-ოლ ბოისი, ინდეპენდიენტე-გოდოი კრუსი.

16 ოქტომბერი: ლანუსი-ვერესი, ესტუდიანტესი-ატლეტიკო, არხენტინოსი-კოლონი, ბოკა-ბელგრანო.

მუნდიალი-2014. საკვალიფიკაციო ტურნირი

**7 ოქტომბერი**

ურუგვაი-ბოლივია
ეკვადორი-ვენესუელა

არგენტინა-ჩილე
პერუ-პარაგვაი

FIFA WORLD CUP Brasil

### არგენტინის ნაკრების შემადგენლობა

**მეკარეები:** *სერხიო რომერო (სამპდორია), მარიანო ანდუხარი (კატანია), აგუსტინ ორიონი (ბოკა)*

*მცველები: პაბლო საბალეტა (სიტი), ნიკოლას ბურდისო (რომა), მარტინ დემიკელისი (მალაგა), ფრედერიკო ფერნანდესი (ნაპოლი), ნიკოლას ოტამენდი (პორტუ), ნიკოლას პარეხა (სპარტაკი), მარკოს როხო (სპარტაკი), ემილიანო ინსუა (სპორტინგი ლისაბონი).*

**ნახევარმცველები:** *ევერ ბანეგა (ვალენსია), ფაბიან რინაუდო (სპორტინგი ლისაბონი), რიკარდო ალვარესი (ინტერი), ხონას გუტიერესი (ნიუკასლი), ხოსე სოსა (მეტალისტი), ხავიერ პასტორე (პარი სენ ჟერმენი), ნიკოლას გაიტანი (ბენფიკა), ხავიერ მასკერანო (ბარსელონა), როდრიგო ბრანა (ესტუდიანტესი).*

**თავდამსხმელები:** *ანხელ დი მარია (რეალი), ლიონელ მესი (ბარსელონა), გონსალო იგუაინი (რეალი), როდრიგო პალასიო (ჯენოა), ედუარდო სალვიო (ატლეტიკო), ხერმან დენისი (ატალანტა).*

### ურუგვაის ნაკრების შემადგენლობა

**მეკარეები:** *ფერნანდო მუსლერა (გალათასარაი), ხუან კასტილიო (კოლო კოლო), მარტინ სილვა (ოლიმპია).*

**მცველები:** *დიეგო ლუგანო (პარი სენ ჟერმენი), დიეგო გოდინი (ატლეტიკო), ანდრეს სკოტი (კოლო კოლო), მაურისიო ვიქტორინო (კრუზეირო), ხორხე ფუსილე (პორტუ), სებასტიან კოატესი (ლივერპული), მაქსი პერეირა (ბენფიკა), მარტინ კასერესი (სევილია).*

**ნახევარმცველები:** *ალვარო პერეირა (პორტუ), დიეგო პერესი (ბოლონია), სებასტიან ეგურენი (სპორტინგი ხიხონი), გასტონ რამირესი (ბოლონია), ეგიდიო არევალო რიოსი (ტიხუანა), ალვარო გონსალესი (ლაციო), ვალტერ გარგანო (ნაპოლი), ნიკოლას ლოდეირო (აიაქსი), კრისტიან როდრიგესი (პორტუ).*

**თავდამსხმელები:** *ლუის სუარესი (ლივერპული), დიეგო ფორლანი (ინტერი), ედინსონ კავანი (ნაპოლი), სებასტიან აბრეუ (ბოტაფოგო), აბელ ერნანდესი (პალერმო).*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



დევიდ სტერნი

# გადამწყვეტი ორი დღე

გუშინ კლუბების მფლობელებსა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი უნდა გამართულიყო, მანამდე კი ამერიკულმა პრესამ მორიგი ინფორმაციები გაავრცელა გაჭიანურებული ლოკაუტის შესახებ.

SI.com-ის ინფორმაციით, პროფკავშირი მზად არის წავიდეს ერთ მნიშვნელოვან დათმობაზე. ლაპარაკია მოგების განაწილებაზე. კერძოდ, მოთამაშეები აპირებენ საერთო ფინანსური მოგებიდან საკუთარი წილი 51 პროცენტამდე შეამცირონ. შეგახსენებთ, რომ წინა კოლექტიური ხელშეკრულების თანახმად კალათბურთელები ლიგის შემოსავლის 57 პროცენტს იღებდნენ.

ანალიტიკოსების აზრით, მოთამაშეთა ასეთმა ნაბიჯმა შეიძლება გამოიწვიოს პროფკავშირების აღმასრულებელი დირექტორის **ბილ ჰანტერის** გადადგომა, რომელიც ადრე აცხადებდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა მოთამაშეთა წილის 53 პროცენტზე ქვემოთ დაშვებას.

■ ■ ■

ამასობაში, პროფკავშირების მეორე ლიდერმა **დერეკ ფიშერმა** ოფიციალური წერილით მიმართა კალათბურთელებს ლოკაუტის გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე. მასში „ლეიკერსის" მცველმა მოუწოდა კოლეგებს ყურადღებით შეისწავლონ სხვადასხვა წყაროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რათა მოლაპარაკებების პროცესის შესახებ ყოველმხრივ საქმის კურსში იყვნენ.

*„სამშაბათს მორიგ სხდომას გავმართავთ. მოთამაშეთა პროფკავშირი მომავალშიც აპირებს საკუთარი პოზიციების დაცვას. არც ერთი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული NBA-ის კალათბურთელების მონაწილეობის გარეშე. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ კლუბების მფლობელების მიერ შემოთავაზებული ვარიანტი ოპტიმალურია, თითოეულს შეეძლება მისთვის ხმის მიცემა"*, - ამბობს ფიშერი.

გარდა ამისა, პროფკავშირების თავმჯდომარემ გუშინდელი შეხვედრის მნიშვნელობაზეც ილაპარაკა: *„როგორც ჩანს, სამშაბათი ძალიან მნიშვნელოვანი დღე იქნება. თითოეული ჩვენგანი კოლოსალურ ზეწოლას გრძნობს, მაგრამ ჩვენ გვესმის პასუხისმგებლობა და ყველაფერს გავაკეთებთ კომპრომისის მისაღწევად. ყველა ვაცნობიერებთ იმას, რომ მოლაპარაკებებისას დრო ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებს, მაგრამ მოლაპარაკების პროცესში აჩქარება არ გვარგებს, რადგან გვესმის, რომ უნდა გავაფორმოთ ხელშეკრულება, რომლითაც რამდენიმე წელი ვიხელმძღვანელებთ"*.

■ ■ ■

გუშინდელი მოლაპარაკების წინ შედგა მცირე შეხვედრა დაპირისპირებულ მხარეებს შორის, რომლის შემდეგაც NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** და მისმა თანაშემწე **ადამ სილვერმა** გამოაცხადეს, რომ „მხარეებმა სამშაბათის შეხვედრისთვის ფუნდამენტი შექმნეს".

გადამწყვეტ რაუნდში ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან 10 კლუბის მფლობელი და რამდენიმე კალათბურთელი. უკვე ცნობილია სამი მათგანის ვინაობა - **კობი ბრაიანტი, პოლ პირსი** და **ამარე სტაუდმაიერი**.

ბოლოს ისევ ანალიტიკოსების აზრს მოვიშველიებთ: თუ მხარეები უახლოესი ორი დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკებას, სრული სეზონი აღარ გაიმართება.

# კირილენკო ისევ არმიაშია

რუსეთის ნაკრების ლიდერი **ანდრეი კირილენკო** მოსკოვის ცსკა-ში დაბრუნდა, რომლის რიგებშიც ის 1998-2001 წლებში თამაშობდა. ამის შესახებ არმიული კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება. კირილენკომ, რომელსაც ამ ზაფხულს ამოეწურა კონტრაქტი NBA-ის კლუბ „იუტა ჯაზთან", ცსკასთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. მის კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც კირილენკოს შეუძლია NBA-ში დაბრუნდეს.

მოსკოვური კლუბის მთავარი მწვრთნელი **იონას კაზლაუსკასი** აცხადებს, რომ არასწორად მიაჩნია ლოკაუტის პერიოდში მოთამაშის NBA-დან აყვანა, მაგრამ კირილენკო გამონაკლისია, რადგან მან ცსკა-სთვის და რუსეთის ნაკრებისთვის ძალიან ბევრი გააკეთა.

მოსკოვის ცსკა-ს შემადგენლობაში კირილენკო ორჯერ გახდა რუსეთის ჩემპიონი, 2001 წელს კი NBA-ში გაემგზავრა, სადაც პირველ სეზონში დებიუტანტთა სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

შარშან „იუტას" შემადგენლობაში კირილენკომ 64 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 11.7 ქულა და 5.1 მოხსნა დააგროვა.



ანდრეი კირილენკო

კალათბურთი

# ღირსია თუ არა NBA-ში თამაშის?

**წლევანდელ ევრობასკეტზე მაკედონიის ნაკრების ლიდერის - ბო მაკალების თამაშმა ბევრი გააკვირვა, მათ შორის ამერიკელი მიმომხილველები. ვებგვერდ NBAplaybook.com-ის ავტორმა სებასტიან პრუტიმ დასვა კითხვა: ეყოფა თუ არა მაკალებს ნიჭი იმისთვის, რომ NBA-ში გააგრძელოს თამაში?**

ლიტვაში ცოტა ხნის წინ დასრულებული ევროპის ჩემპიონატი მდიდარი იყო სიურპრიზებით, მაგრამ მთავარი მოულოდნელობა მაინც მაკედონიის ნაკრების გამოსვლა გახდა. ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკამ ყველა გააოცა, როცა ნახევარფინალამდე გააღწია და იქ კინაღამ გამოთიშა ბრძოლას ტურნირის მთავარი ფავორიტი ესპანეთის ნაკრები.

მაკედონიის ნაკრების ულაპარაკო ლიდერი იყო ნატურალიზებული ამერიკელი გამთამაშებელი **ბო მაკალები**. მისი ბრწყინვალე თამაშის შემხედვარე ბევრმა დასვა შეკითხვა: ნუთუ ასეთი ნიჭიერი კალათბურთელი არასაკმარისად კარგია მსოფლიოს საუკეთესო ლიგისთვის?

### მტკიცებულება

მაკალები ხუთი წელი სწავლობდა ნიუ ორლეანის უნივერსიტეტში, მაგრამ NBA-ის არც ერთმა კლუბმა არ აიყვანა დრაფტზე, ამიტომაც ბედის საძებნელად ოკეანის გაღმა გაეშურა. იქ საკმაოდ წარმატებით თამაშობდა თურქეთის „მერსინში", სერბეთის „პარტიზანსა" და იტალიის „მონტეპასკიში" (ბოლო ორი კლუბი მას მუდმივად გაჰყავდა ევროლიგის „ოთხთა ფინალში"). მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ამერიკაში მისი დასაქმება არავინ ისურვა. საინტერესოა, რატომ? ავტორიტეტული გამოცემების უმრავლესობა, რომელიც დრაფტზე პროგნოზებში სპეციალიზდება, აღნიშნავდა 183 სანტიმეტრი სიმაღლის მცველის ორ აშკარა მინუსს. ჯერ ერთი, თავისი გაბარიტების გამო ის ყოველთვის საკმარისზე მეტად იყო ორიენტირებული შეტევაზე. ასეთი სიმაღლით NBA-ში „სუფთა" გამთამაშებელი უნდა იყო და პასები დაარიგო, ბოს კი ძალიან უყვარს შეტევების თავად დასრულება. ამიტომაც, ბევრი საფუძვლიან ეჭვს გამოთქვამდა იმაზე, რომ NBA-ის დონეზე მას გაუჭირდებოდა ქულების დაგროვება. მეორე მიზეზი: მაკალებს შორეული დისტანციიდან სროლების სიზუსტის დაბალი მაჩვენებელი აქვს.

ახლა გავარკვიოთ, მოუმატა თუ არა მაკალებმა ამ კომპონენტებში იმ სამი სეზონის განმავლობაში, რაც მან ევროპულ არენებზე გაატარა.

### გამთამაშებლის თვისებები

ერთ-ერთი ძირითადი მომენტი, რომლის მიხედვითაც ირკვევა თანამედროვე გამთამაშებლის კვალიფიკაცია - როგორ თამაშობს ის პიკ-ენ-როლებს. საქმე ისაა, რომ ამ მარტივი კომბინაციის გათამაშებისას პირველ ნომერს მყისვე უჩნდება შეტევის განვითარების რამდენიმე ვარიანტი: განახორციელოს გარღვევა, მკვეთრად შეჩერებისას ნახტომში ისროლოს ან პასი მიაწოდოს. 2009-10 წლების სეზონში, როცა მაკალები „პარტიზანში" თამაშობდა, მას ჯერ ისევ ჰქონდა სირთულე „ორსვლიანების" გათამაშებისას. 13.3 პროცენტის შემთხვევებში ის ბურთს კარგავდა, პარტნიორები კი საშუალოდ მხოლოდ ერთ ქულას აგდებდნენ მისი პასების შემდეგ. მისთვის ბლოკის დაყენების მთავარი მიზანი იყო ფარზე შეტევა, მაგრამ ის ხშირად ისეთ სიტუაციაში იგდებდა თავს, რომელიც ბურთის დაკარგვით სრულდებოდა. ფაქტობრივად ამით აიხსნება სკაუტების ეჭვი, რომლის გამო ის ვერ მოხვდა NBA-ში.

მაგრამ „მონტეპასკიში" გადასვლის შემდეგ მაკალებმა ამ კომპონენტში მკვეთრად მოუმატა. პიკ-ენ-როლების გათამაშებისას შეცდომების რაოდენობა ორჯერ (!) შემცირდა - 7.6 პროცენტამდე დავიდა. პარტნიორები კი უკვე 1.43 ქულას აგდებდნენ მისი გადაცემების შემდეგ.

და მხოლოდ სტატისტიკაში არ არის საქმე. იტალიურ კლუბში მისი თამაშის ცქერისას პროგრესი შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. ახალ თანაგუნ-



ბო მაკალები

დელებს ის უჩვეულოდ კარგად შეეწყო და ბლოკის დაყენების შემდეგ ხშირად პოულობდა შეტევის განვითარების სხვადასხვა ვარიანტს. მაკალები - სწრაფი, ფეთქებადი მცველია, რომელსაც უყვარს და შეუძლია სამწამიანში შევარდნა. მაგრამ ახლა, ბოლოს და ბოლოს გააცნობიერა, რომ სულაც არ არის აუცილებელი შეტევის სამწამიანში დასრულება მისი მთავარი იარაღი იყოს. მან ისწავლა სისწრაფისა და გარღვევის გამოყენება იმისთვის, რომ დაცვა თავის თავზე გადაიყვანოს და ამის შემდეგ თავისუფალი თანაგუნდელები მონახოს. ის არასოდეს ყოფილა ცუდი ასისტენტი, მაგრამ ახლა პასი მისი ისეთივე მნიშვნელოვანი იარაღი გახდა, როგორიც იყო შეტევა და ამით, რა თქმა უნდა, ის უფრო ძლიერ კალათბურთელად ჩამოყალიბდა.

### ტყორცნები

პირველ რიგში უნდა გამოვყოთ სამქულიანი ტყორცნები, რადგან ახლო და საშუალო მანძილებიდან შეტევისას მაკალებს პრობლემა არასოდეს ჰქონია. სამქულიანებს კი ეს მცველი საკმაოდ იშვიათად აგდებდა. მაგრამ ასე ადრე იყო. ბოლო ერთი წლის განმავლობაში საოცარი პროგრესი განიცადა: 2009-10 წლების სეზონში საშინელი 23.2 პროცენტის შემდეგ („პარტიზანის" შემადგენლობაში), გასულ ჩემპიონატში „მონტეპასკის" რიგებში შორეულ ტყორცნებს ისეთი სიზუსტით აგდებდა, ნებისმიერ აღიარებულ სნაიპერს შეშურდებოდა - 43.8 პროცენტი. სინამდვილეში, რეალობა სადღაც შუაშია და ევრობასკეტის დროს სამქულიანების გამოყენების 34.4 პროცენტი - აი ეს არის ბოს დღევანდელი რეალური დონე.

თუ შევადარებთ მაკალების მიერ უნივერსიტეტში თამაშის დროს და დღეს შესრულებულ სამქულიანებს, ცხადი გახდება, რომ მან შეითვისა ნებისმიერი ტყორცნის მთავარი შემადგენელი - ყოველი ახალი ცდა წინას უნდა ჰგავდეს. ადრე მის ტყორცნებში სრული „ქაოსი" სუფევდა: ხან მხარიდან ისროდა, ხან თავის უკნიდან ან სხვა რომელიმე ხერხით. მოკლედ რომ ვთქვათ, ბურთს კალათისკენ სხვადასხვაგვარად უშვებდა. ეს კი, სხვათა შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია მოთამაშისთვის, რომელსაც მაღალ კლასზე აქვს პრეტენზია - სროლის სტაბილურობა. კალათბურთელის განსჯა არასწორი ტექნიკისთვის სისულელეა - მსოფლიოში ბევრი კარგი სნაიპერია, რომლის სროლის ტექნიკას იდეალურს ვერ ვუწოდებთ. ყველა ისე ისვრის, როგორც მოეხასიათება, მაგრამ ტყორცნების მსგავსება - მთავარი პირობაა. სწორედ ეს იძლევა სიზუსტის სტაბილურ პროცენტს. როგორც ჩანს, მაკალებმა ეს შეიგნო და ახლა სწორ გზას ადგას.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამიერიდან ბო მაკალები გადაიქცა იმ კალათბურთელად, რომლის ყველაზე სახიფათო იარაღი - ტყორცნაა? რა თქმა უნდა, არა. ის ვერც გახდება ასეთი მოთამაშე. მაგრამ მიაღწია თუ არა იმ დონეს, რომლის დროსაც მეტოქის დაცვა უბრალოდ ვალდებულია მიაქციოს ყურადღება დისტანციიდან შეტევისას წარმოქმნილ პოტენციურ ხიფათს? დიახ, რა თქმა უნდა. და ამან ის გაცილებით ძლიერ კალათბურთელად აქცია, რადგან ასეთი მოთამაშის წინააღმდეგ დაცვა ორმაგად რთულია. ეს კარგი მაგალითია ახალგაზრდა გამთამაშებლებისთვის, რომლებიც ფარქვეშ შესვლებზე არიან ორიენტირებულნი.

### დასკვნა

ძნელი სათქმელია, გახდებოდა თუ არა მაკალები NBA-ში ვარსკვლავი. იმის მტკიცებაც რთული იქნება, შეძლებდა თუ არა ის დღეს რომელიმე იქაური გუნდის ძირითადი გამთამაშებელი გამხდარიყო. ამ პატარა გამოკვლევის მიზანი სხვა რამეში მდგომარეობდა. ავტორს უნდოდა გაეგო - არის თუ არა ბო მაკალები NBA-ის კალიბრის ტალანტი. და ის პასუხობს: არის! თვალნათლივ ჩანს, რამხელა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას, მაგალითად, სათადარიგოთა სკამიდან თამაშში შესვლის შემდეგ, როცა რომელიმე ვარსკვლავ პირველ ნომერს შეცვლიდა.

ასეა თუ ისე, მაკალები პატივისცემას იმსახურებს იმის გამო, რომ NBA-ის მიღმა დარჩენილმა მოთამაშემ პირადი თვისებების ხარჯზე მოახერხა პროგრესის მიღწევა და მისი პიროვნების შესახებ ამგვარი დისკუსიების გამოწვევა.

# გასოლები ბარსაში ვარჯიშობენ

ესპანეთის ნაკრების ლიდერებმა, ძმებმა **პაუ** და **მარკ გასოლებმა** სპორტული ფორმის შენარჩუნებისთვის მშობლიურ კლუბში - „ბარსელონაში" ვარჯიში გადაწყვიტეს.

უფრო მეტიც, ორივე ესპანელმა ცენტრმა განაცხადა, რომ ლოკაუტის გაჭიანურების შემთხვევაში კატალონიურ გრანდთან გააფორმებენ კონტრაქტებს. ამ საკითხთან დაკავშირებით „ბარსელონას" ხელმძღვანელობის ოფიციალური პოზიცია ჯერ უცნობია, თუმცა ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ ესპანეთის ჩემპიონი უარს არ იტყვის ასეთი დონის შევსებაზე.

არადა, ორი დღის წინ პაუ გასოლმა განაცხადა, რომ ლოკაუტის პერიოდში არ აპირებს არც ერთ ევროპულ კლუბში თამაშს და გაფიცვის დასრულებას დაელოდება.

დავამატებთ, რომ პაუ და მარკი NBA-ში გამგზავრებამდე „ბარსელონაში" თამაშობდნენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეიტინგი

# ფედერერი 29 მილიონი ღირს


როჯერ ფედერერი

ცნობილმა ამერიკულმა ჟურნალმა „ფორსბმა" მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული სპორტული ბრენდების სია გამოაქვეყნა.

სპორტსმენებს შორის ყველაზე ძვირი ბრენდების სიას სათავეში უდგას სავაჭრო მარკა - „ტაიგერ ვუდსი". ეს გოლფისტი 55 მილიონ დოლარად არის შეფასებული. მეორე ადგილზეა ჩოგბურთელი „როჯერ ფედერერი" - 29 მილიონი, ხოლო სამეულში შედის „მაიამი ჰიტის" კალათბურთელი „ლებრონ ჯეიმსი" (20 მილიონი).

გუნდებს შორის ლიდერობს ბეისბოლის კლუბი „ნიუ იორკ იანკიზი" (340 მილიონი დოლარი), რომელმაც ამერიკული დოლარის გაძვირების გამო გაუსწრო „მანჩესტერ იუნაიტედს". მესამე ადგილზეა ამერიკის ფეხბურთის კლუბი „ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი" (146 მილიონი).

ყველაზე ძვირად ღირებული სპორტული მოვლენაა სუპერბოული - ეროვნული საფეხბურთო ლიგის პლეი ოფის ფინალური მატჩი. ბოლო სუპერბოლიდან შემოსავალმა 425 მილიონი დოლარი შეადგინა. მეორე ადგილზეა ოლიმპიადა (ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის თამაშებმა ორგანიზატორებს 230 მილიონი მოუტანა).

## ჰოკეი

# კროსბი სეზონს ვერ დაიწყებს

ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალი სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე „პიტსბურგ პინგვინზმა" თავისი ლიდერი **სიდნი კროსბი** ტრავმირებულთა სიაში მოათავსა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცენტრფორვარდი გამოტოვებს ახალი რეგულარული სეზონის მინიმუმ პირველ კვირას. კანადელი აგრძელებს აღდგენით პროცესს ტვინის შერყევის შემდეგ, რომელიც მან 2011 წლის იანვარში მიიღო.

კროსბი ამჟამად მონაწილეობს „პინგვინების" საერთო ვარჯიშებში, მაგრამ კონტაქტურ ბრძოლაში ჯერ ვერ შედის.

„პიტსბურგი" რეგულარულ ჩემპიონატს 6 ოქტომბერს „ვანკუვერ კენაქსთან" გასვლითი მატჩით დაიწყებს. ლიგის წესების თანახმად, ტრავმირებულთა სიაში შეყვანილი კროსბი 13 ოქტომბრამდე ვერ შეძლებს ყინულზე გასვლას. ამ დღეს „პიტსბურგი" საკუთარ მოედანზე მიიღებს „ვაშინგტონ კეპიტალზს".


სიდნი კროსბი

### TOP50 სეზონის წინ

ჩრდილოეთ ამერიკის ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა მედიაჯგუფმა TSN-მა ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალი სეზონის წინ საკუთარ ექსპერტებს შორის ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე გამოაქვეყნა ლიგის საუკეთესო 50 ჰოკეისტის სია.

პირველად მსგავსი რეიტინგი ერთი წლის წინ შედგა და მაშინაც და ახლაც პირველ პოზიციაზე აღმოჩნდა „პიტსბურგ პინგვინგზის" კაპიტანი სიდნი კროსბი, მიუხედავად იმისა, რომ მას იანვრის შემდეგ არ ჩაუტარებია ოფიციალური მატჩი.

### 41-50

41. **რობერტო ლუონგო** (ვანკუვერი, მეკ, 32); 42. **ლუი ერიქსონი** (დალასი, ფორ, 26); 43. **რაიან სუტერი** (ნეშვილი, მცვ, 26); 44. **ჯეფ კარტერი** (კოლამბუსი, ფორ, 26); 45. **მეტ დუშენი** (კოლორადო, ფორ: 20); 46. **მარიან ჰოსა** (ჩიკაგო, ფორ, 32); 47. **ტაილერ მიერსი** (ბაფალო, მცვ, 21); 48. **ნიკლას ბექსტრიომი** (ვაშინგტონი, ფორ, 23); 49. **დენ ბოილი** (სან ხოსე, მცვ, 35); 50. **ჯეფ სკინერი** (კაროლინა, ფორ, 19).

### 31-40

31. **კრის პრონგერი** (ფილადელფია, მცვ, 36); 32. **ილია კოვალჩუკი** (ნიუ ჯერსი, ფორ, 28); 33. **ბობი რაიანი** (ანაჰაიმი, ფორ, 24); 34. **ჰენრიკ ლუნდკვისტი** (რეინჯერსი, მეკ, 29); 35. **პატრიკ შარპი** (ჩიკაგო, ფორ, 29); 36. **რაიან მილერი** (ბაფალო, მეკ, 31); 37. **დანი ბრიერი** (ფილადელფია, ფორ, 33); 38. **მაიკ რიჩარდსი** (ლოს ანჯელესი, ფორ, 26); 39. **პატრიკ მარლო** (სან ხოსე, ფორ, 32); 40. **კიტ იენდლი** (ფინიქსი, მცვ, 25).

### 21-30

21. **ანზე კოპიტარი** (ლოს ანჯელესი, ფორ, 24); 22. **ევგენი მალკინი** (პიტსბურგი, ფორ, 25); 23. **დრიუ დაუტი** (ლოს ანჯელესი, მცვ, 21); 24. **პატრიკ კეინი** (ჩიკაგო, ფორ, 22); 25. **კლოდ ჟირუ** (ფილადელფია, ფორ, 23); 26. **ზაკ პარიზე** (ნიუ ჯერსი, ფოპ, 27); 27. **დანკან კიტი** (ჩიკაგო, მცვ, 28); 28. **პეკა რინე** (ნეშვილი, მეკ, 28); 29. **ჯო ტორნტონი** (სან ხოსე, ფორ, 32); 30. **კერი პრასი** (მონრეალი, მეკ, 24).

### 11-20

11. **ში უებერი** (ნეშვილი, მცვ, 26); 12. **ნიკლას ლიდსტრიომი** (დეტროიტი, მცვ, 41); 13. **რაიან გეტცლაფი** (ანაჰაიმი, ფორ, 26); 14. **ტიმ ტომასი** (ბოსტონი, მეკ, 37); 15. **ჰენრიკ ზეტერბერგი** (დეტროიტი, ფორ, 30); 16. **რაიან კესლერი** (ვანკუვერი, ფორ, 27); 17. **ერიკ სტაალი** (კაროლინა, ფორ, 26); 18. **ჯერომ იგინლა** (კალგარი, ფორ, 34); 19. **ბრედ რიჩარდსი** (რეინჯერსი, ფორ, 31); 20. **რიკ ნეში** (კოლამბუსი, ფორ, 27).

### 1-11

1. **სიდნი კროსბი** (პიტსბურგი, ფორ, 24); 2. **ალექსანდრ ოვეჩკინი** (ვაშინგტონი, ფორ, 26); 3. **პაველ დაციუკი** (დეტროიტი, ფორ, 33); 4. **დანიელ სედინი** (ვანკუვერი, ფორ, 31); 5. **ჰენრიკ სედინი** (ვანკუვერი, ფორ, 31); 6. **სტივენ სტემკოსი** (ტამპა ბეი, ფორ, 21); 7. **კორი პერი** (ანაჰაიმი, ფორ, 26); 8. **ჯონათან ტეუვზი** (ჩიკაგო, ფორ, 23); 9. **მარტინ სან ლუი** (ტამპა ბეი, ფორ, 36); 10. **ზდენო ხარა** (ბოსტონი, მცვ, 34).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენცია** | |
| გეიტშიდი-რექსჰემი | 1:4 |
| **League Trophy** | |
| ჰადერსფილდი-ბრედფორდი | 2:2 პენ. 3:4 |
| სკანთორპი-ოლდჰემი | 0:1 |
| ჯილინგემი-ბარნეტი | 1:3 |
| ექსეტერი-სუინდონი | 1:2 |
| როჩდეილი-უოლსოლი | 1:1 პენ. 3:1 |
| მორეკამბი-პრესტონი | 2:2 პენ. 6:7 |
| უიკომბი-ჩელტენემი | 1:3 |
| აკრინგტონი-ტრანმერი | 1:2 შეწყდა |
| უიმბლდონი-სტევენეიჯი | 2:2 პენ. 4:3 |
| ალდერშოტი-ოქსფორდი | 1:2 |
| ბორნმუთი-იეოვილი | 3:2 |
| დაგენჰემი-საუთენდი | 1:3 |
| ნოტსი-ჩესტერფილდი | 1:3 |
| როტერჰემი-შეფილდი | 1:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვიჩენცა-ვარეზე | 0:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| კარლსრუე A-შტუტგარტი A | 0:0 |
| ბაიერნი A-მიუნხენი A | 1:2 |
| ნიურნბერგი A-ჰოფენჰაიმი A | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ოსტერი-იონჩოპინგი | 2:1 |
| **ირლანდია** | |
| სლიგო-დანდალკი | 5:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კორკი-მონეგანი | 3:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროთასი** | |
| აზოვმაში-ვენტსპილსი | 79:65 |
| სპარტაკი-ეტა | 83:64 |
| მონსი-ბეშიქთაში | 74:63 |
| ცედევიტა-შალონი | 84:69 |
| ლე მანი-პინარი | 80:78 |
| გრან კანარია-ერტლანდი | 92:65 |
| **ევროჩელენჯი** | |
| ტრიუმფი-კრ. კრილია | 94:71 |
| ატომერომუ-ტრაისკირხენი | 70:48 |
| ტამპერინი-შოლნოკი | 77:69 |
| **გერმანია** | |
| ბამბერგი-გეტინგენი | 107:63 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ტრაქტორი-ბარისი | 4:3 |
| აკ ბარსი-მეტალურგი (მ) | 4:1 |
| ნეფტეხიმიკი-იუგრა | 2:5 |
| სევერსტალი-ტორპედო | 0:3 |
| ატლანტი-ვიტიაზი | 2:1 (ო) |
| ცსკა-მეტალურგი (ნ) | 3:1 |
| დინამო (მნ)-ამური | 5:3 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ჰერნინგი | 2:7 |
| ოლბორგი-ესბერგი | 1:4 |
| ჰერლევი-ოდენსე | 6:2 |
| **ნორვეგია** | |
| სტიორნენი-სტავანგერი | 1:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ტრენჩინი | 6:4 |
| ზვოლენი-პოპრადი | 4:0 |
| ბისტრიცა-მარტინი | 4:0 |
| კოშიცე-სკალიცა | 6:1 |
| სლოვანი-ნიტრა | 7:1 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-ილვესი | 2:3 (ბ) |
| კალპა-პელიკანსი | 6:1 |
| ტაპარა-ესეტი | 3:2 (ბ) |
| ტპს-ჰპკ | 3:4 (ო) |
| ჰიფკ-კერპეტი | 3:2 (ბ) |
| იუვიასკიულა-სეიპა | 5:4 (ო) |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ბრნო | 2:3 (ბ) |
| კლადნო-სლავია | 1:4 |
| პლზენი-ზლინი | 3:2 (ბ) |
| პარდუბიცე-ბოლესლავი | 2:3 |
| ლიტვინოვი-ტრშინეცი | 0:4 |
| სპარტა-კარლოვი ვარი | 3:4 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ამბრი | 5:3 |
| დავოსი-სერვეტი | 5:1 |
| ლანგნაუ-ციურიხი | 5:6 (ო) |
| რაპერსვილი-ლუგანო | 3:5 |
| ფრიბურგი-კლოტენი | 2:0 |
| **შვედეთი** | |
| ლულეო-ლინჩოპინგი | 3:2 |
| ტიმრა-მოდო | 2:5 |
| ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 2:3 (ო) |
| შელეფტეო-იურგორდენი | 4:2 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. პეკინი** | |
| იუჟნი-ალმაგრო | 6:3, 6:2 |
| ჟანგი-ლი | 6:1, 6:3 |
| მონტანიესი-კაპდევილე | 6:3, 6:3 |
| კოლშრაიბერი-რობრედო | 6:3, 7:6 |
| ცონგა-დიმიტროვი | 7:6, 7:5 |
| ფონინი-ჟემლია | 6:4, 6:1 |
| ბერდიხი-მელცერი | 7:5, 7:5 |
| გაბაშვილი-ლუბიჩიჩი | 5:7, 5:7 |
| გრანოლერსი-სიმონი | 6:3, 6:1 |
| ბელუჩი-ფერერო | 1:6, 6:7 |
| **ATP. ტოკიო** | |
| ნიემინენი-ბოგომოლოვი | 4:6, 4:6 |
| რაონიჩი-სუგიტა | 6:7, 6:3, 7:6 |
| გულბისი-კუბოტი | 6:3, 3:6, 7:5 |
| მონაკო-დოდიგი | 2:6, 6:2, 6:7 |
| ნაბანდიანი-როსოლი | 6:1, 6:1 |
| იტო-სელა | 6:4, 3:6, 6:3 |
| ნიშიკორი-ფერერი | 4:6, 3:6 |
| ტომიჩი-ტროიცკი | 7:6, 7:6 |
| ნადალი-სოედა | 6:3, 6:2 |
| ჰაასე-ხირალდო | 3:6, 6:7 |
| **WTA. პეკინი** | |
| ზვონარევა-ზაკოპალოვა | 6:3, 4:6, 6:2 |
| პავლიუჩენკოვა-მ. სანჩესი | 6:2, 6:3 |
| ვინჩი-რაზანო | 6:7, 0:6 |
| კირილენკო-სტოსური | 7:5, 1:6, 7:5 |
| ბარტოლი-მაკჰეილი | 6:2, 6:1 |
| პეტკოვიჩი-სუარეს ნავარო | 6:4, 6:4 |
| ვოზნიაცკი-გაიდოშოვა | 6:2, 6:2 |
| პენეტა-ჰანტუხოვა | 6:2, 6:1 |

## TV პროგრამა

### 5 ოქტომბერი. ოთხშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
11:00 გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. VI ტური. ინტერი-ნაპოლი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. IX ტური. ლილი-რენი.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური. მანჩესტერი იუნ-ნორვიჩი.
21:00 იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. VII ტური. ატლეტიკო-სევილია.
00:00 სუპერმატჩი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-კორინთიანსი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ნიინეგენი-ეინდჰოვენი.
12:00 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ტორონტო-მაიამი.
13:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
14:15 ფეხბურთი. მიმოხილვა.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნოვარა-კატანია.
16:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მასტერსი. მაიამი. აშშ.
20:55 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:30 ფეხბურთი. იტალია. ერთი მატჩის ისტორია.
22:00 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ტორონტო-მაიამი.
23:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. ფინალი. ბანგკოკი.
13:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-ინდეპედიენტე.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მონტე კარლო.
21:40 F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. V ეტაპი. ჩინეთი.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-მილანი.

## NHL რეგულარული. ოქტომბრის კალენდარი

**6 ოქტომბერი**
ბოსტონი-ფილადელფია
ტორონტო-მონრეალი
ვანკუვერი-პიტსბურგი

**7 ოქტომბერი**
ბაფალო-ანაჰაიმი
ლოს ანჯელესი-რეინჯერსი
კაროლინა-ტამპა ბეი
დეტროიტი-ოტავა
კოლამბუსი-ნეშვილი
დალასი-ჩიკაგო

**8 ოქტომბერი**
ანაჰაიმი-რეინჯერსი
ლოს ანჯელესი-ბაფალო
ბოსტონი-ტამპა ბეი
ტორონტო-ოტავა
ნიუ ჯერსი-ფილადელფია
ვაშინგტონი-კაროლინა
აილენდერსი-ფლორიდა
სენტ ლუისი-ნეშვილი
მინესოტა-კოლამბუსი
ჩიკაგო-დალასი
კოლორადო-დეტროიტი
კალგარი-პიტსბურგი
სან ხოსე-ფინიქსი

**9 ოქტომბერი**
ვინიპეგი-მონრეალი
ედმონტონი-პიტსბურგი

**10 ოქტომბერი**
ბოსტონი-კოლორადო
ნიუ ჯერსი-კაროლინა
აილენდერსი-მინესოტა
სენტ ლუისი-კალგარი
დალასი-ფინიქსი
ვაშინგტონი-ტამპა ბეი
კოლამბუსი-ვანკუვერი

**11 ოქტომბერი**
პიტსბურგი-ფლორიდა
ოტავა-მინესოტა

**12 ოქტომბერი**
კოლამბუსი-კოლორადო
ფილადელფია-ვანკუვერი
კაროლინა-ბოსტონი

**13 ოქტომბერი**
ნიუ ჯერსი-ლოს ანჯელესი
აილენდერსი-ტამპა ბეი
პიტსბურგი-ვაშინგტონი
მონრეალი-კალგარი
ოტავა-კოლორადო
დეტროიტი-ვანკუვერი
ნეშვილი-ფინიქსი
მინესოტა-ედმონტონი
ჩიკაგო-ვინიპეგი
დალასი-სენტ ლუისი

**14 ოქტომბერი**
ბაფალო-კაროლინა
ანაჰაიმი-სან ხოსე

**15 ოქტომბერი**
ტორონტო-კალგარი
მონრეალი-კოლორადო
აილენდერსი-რეინჯერსი
ფილადელფია-ლოს ანჯელესი
პიტსბურგი-ბაფალო
ვაშინგტონი-ოტავა
ფინიქსი-ვინიპეგი
ფლორიდა-ტამპა ბეი
ნეშვილი-ნიუ ჯერსი
მინესოტა-დეტროიტი
დალასი-კოლამბუსი
ჩიკაგო-ბოსტონი
ედმონტონი-ვანკუვერი
სან ხოსე-სენტ ლუისი

**16 ოქტომბერი**
ანაჰაიმი-სენტ ლუისი

**17 ოქტომბერი**
ტორონტო-კოლორადო
ტამპა ბეი-ფლორიდა
ვინიპეგი-პიტსბურგი
ედმონტონი-ნეშვილი
სან ხოსე-ანაჰაიმი

**18 ოქტომბერი**
ბოსტონი-კაროლინა
ვაშინგტონი-ფლორიდა
კოლამბუსი-დალასი
მონრეალი-ბაფალო
ოტავა-ფილადელფია
მინესოტა-პიტსბურგი
კალგარი-ედმონტონი
ვანკუვერი-რეინჯერსი
ფინიქსი-ჩიკაგო
ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი

**19 ოქტომბერი**
ტორონტო-ვინიპეგი

**20 ოქტომბერი**
ბოსტონი-ტორონტო
ფილადელფია-ვაშინგტონი
პიტსბურგი-მონრეალი
ოტავა-ვინიპეგი
ტამპა ბეი-აილენდერსი
ფლორიდა-ბაფალო
კოლორადო-ჩიკაგო
კალგარი-რეინჯერსი
ედმონტონი-მინესოტა
ვანკუვერი-ნეშვილი
ფინიქსი-ლოს ანჯელესი

**21 ოქტომბერი**
ნიუ ჯერსი-სან ხოსე
დეტროიტი-კოლამბუსი
სენტ ლუისი-კაროლინა
ანაჰაიმი-დალასი

**22 ოქტომბერი**
კალგარი-ნეშვილი
ვანკუვერი-მინესოტა
ბოსტონი-სან ხოსე
მონრეალი-ტორონტო
ოტავა-კოლამბუსი
ფილადელფია-სენტ ლუისი
პიტსბურგი-ნიუ ჯერსი
ვაშინგტონი-დეტროიტი
ვინიპეგი-კაროლინა
ტამპა ბეი-ბაფალო
ფლორიდა-აილენდერსი
ჩიკაგო-კოლორადო
ედმონტონი-რეინჯერსი
ლოს ანჯელესი-დალასი

**23 ოქტომბერი**
ანაჰაიმი-ფინიქსი

**24 ოქტომბერი**
ფილადელფია-ტორონტო
მონრეალი-ფლორიდა
ვინიპეგი-რეინჯერსი

**25 ოქტომბერი**
აილენდერსი-პიტსბურგი
კაროლინა-ოტავა
კოლამბუსი-დეტროიტი
ბაფალო-ტამპა ბეი
ნეშვილი-სან ხოსე
ჩიკაგო-ანაჰაიმი
ედმონტონი-ვანკუვერი
ფინიქსი-დალასი
ლოს ანჯელესი-ნიუ ჯერსი

**26 ოქტომბერი**
მონრეალი-ფილადელფია
კალგარი-კოლორადო
ვანკუვერი-სენტ ლუისი

**27 ოქტომბერი**
ბოსტონი-მონრეალი
ბაფალო-კოლამბუსი
რეინჯერსი-ტორონტო
ფილადელფია-ვინიპეგი
პიტსბურგი-აილენდერსი
ოტავა-ფლორიდა
ნეშვილი-ტამპა ბეი
მინესოტა-ანაჰაიმი
დალასი-ლოს ანჯელესი
ედმონტონი-ვაშინგტონი
ფინიქსი-ნიუ ჯერსი

**28 ოქტომბერი**
კაროლინა-ჩიკაგო
დეტროიტი-სან ხოსე
კოლორადო-ედმონტონი
კალგარი-სენტ ლუისი

**29 ოქტომბერი**
რეინჯერსი-ოტავა
ბაფალო-ფლორიდა
ტორონტო-პიტსბურგი
მონრეალი-ბოსტონი
აილენდერსი-სან ხოსე
ფილადელფია-კაროლინა
ტამპა ბეი-ვინიპეგი
ნეშვილი-ანაჰაიმი
სმნნეჯრი-დეტროიტი
დალასი-ნიუ ჯერსი
ჩიკაგო-კოლამბუსი
ფინიქსი-ლოს ანჯელესი
ვანკუვერი-ვაშინგტონი

**30 ოქტომბერი**
კოლამბუსი-ანაჰაიმი
ოტავა-ტორონტო
კოლორადო-ლოს ანჯელესი
ედმონტონი-სენტ ლუისი

**31 ოქტომბერი**
რეინჯერსი-სან ხოსე
ფლორიდა-ვინიპეგი
ჩიკაგო-ნეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტოსური გონს ვერ მოდის

დღეს უილიამსებისა და **მარია შარაპოვას** გარდა, ყველა წამყვანი ქალი ჩოგბურთელი ამჟამად პეკინში იმყოფება, სადაც ამ სეზონის ბოლო უმაღლესი კატეგორიის ტურნირი მიმდინარეობს.

მეორე დღეს ჩაება ბრძოლაში მოქმედი ჩემპიონი და რეიტინგის ლიდერი, დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**. სკანდინაველს არც ისე ძლიერი მეტოქე ჰყავდა ჩეხი **ლუსი ჰრადეცკას** სახით, რომელსაც მაისში როლან გაროსის შემდეგ არც ერთი მატჩი არ ჰქონდა მოგებული. მაგრამ ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს კაროლინი არ არის კარგ ფორმაში.

პირველ სეტში ჰრადეცკამ 3:3-ზე გააკეთა ბრეიკი და 4:3 დაწინაურდა. ვოზნიაცკიმ სცადა სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ მეორეჯერაც წააგო თავისი გეიმი, რითაც სეტი მეტოქეს დაუთმო - 3:6.

მეორე სეტში ჩეხს თავიდანვე არ წაუვიდა თამაში და ეს პარტია პირწმინდად დათმო - 0:6. ვოზნიაცკიმ სამი ბრეიკი გააკეთა და თითქოს იოლად უნდა მიეყვანა საქმე გამარჯვებამდე, მაგრამ მესამე სეტში დანიელმა ისევ აურია თამაში საკუთარ მოწოდებაზე. კაროლინმა კრიტიკულ მომენტში, 3:4-ზე გამოასწორა მოწოდება და დროული ბრეიკი გააკეთა. მართალია, ჩეხმა ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ 5:5-ზე რეიტინგის ლიდერმა ზედიზედ ორი გეიმი აილო და ბოლო სეტი 7:5 მოიგო.

ვოზნიაცკიმ რვა ბრეიკი გააკეთა ამ მატჩში, მისმა მეტოქემ - ხუთი. ჰრადეცკამ ეისების რაოდენობით აჯობა მეტოქეს - 7:2, მაგრამ ამასთან, 7 ორმაგი შეცდომაც დაუშვა.

დანიელმა მეორე დღეს მესამე წრეში გაარკვია ურთიერთობა ავსტრალიელ **იარმილა გაიდოშოვასთან**. ვოზნიაცკის თამაში არც ამჯერად გამოიყურებოდა უნაკლოდ, მაგრამ მაინც დამაჯერებლად მოიგო ეს შეხვედრა და მომდევნო ეტაპზე ესტონელ **კაია კანეპის** შეხვდება, რომელთანაც წინა კვირას ტოკიოს ტურნირზე დამარცხდა. ასე რომ, დანიელს რევანშის აღება მართებს.

ზედიზედ ეთიშებიან ტურნირს წამყვანი ჩინელი ჩოგბურთელები. როლან გაროსის ჩემპიონის, **ნა ლის** მარცხის შემდეგ, მეორე წრიდან ჩამოშორდა ბრძოლას **შუაი პენგი**. მსოფლიოს მე-15 ნომერმა ორ სეტში წააგო იტალიელ **ფლავია პენეტასთან**, თუმცა სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, ეს გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო - პენეტას მანამდე ხუთიდან ხუთჯერ ჰყავდა დამარცხებული პენგი.

მეტოქეებს თანაბარი რაოდენობის ბრეიკ-პოინტები ჰქონდათ, მაგრამ იტალიელმა ერთით მეტი ასეთი შანსი გამოიყენა და ამის ხარჯზე - 7:6, 7:5 მოიგო.

ამ სათამაშო დღის ცენტრალური შეხვედრა იყო რუსი **სვეტლანა კუზნეცოვასა** და სერბი **ანა ივანოვიჩის** დაპირისპირება.

მართალია, „დიდი სლემის" ტურნირების ორგზის ჩემპიონი კუზნეცოვა ბოლო დროს ვერ აჩვენებს თავის ოპტიმალურ სპორტულ ფორმას, მაგრამ მაინც მოულოდნელი იყო ივანოვიჩის იოლი გამარჯვება ორ სეტში.

ანამ ასი პროცენტით გამოიყენა მეტოქის მიერ ბოძებული შანსი - ხუთი ბრეიკ-პოინტი მიიღო და ხუთივე ბურთი ჩააგდო, იმ დროს, როცა კუზნეცოვამ რვა ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ ორი გამოიყენა. ტაბლოზეც შესაბამისი ანგარიში დაფიქსირდა - 6:2, 6:3 ივანოვიჩის სასარგებლოდ.

ამ ჩოგბურთელთა ბოლო შეხვედრა ფედერაციის თასზე კუზნეცოვას გამარჯვებით დასრულდა, ახლა კი ივანოვიჩმა რევანშის აღება შეძლო და რუსთან ურთიერთშეხვედრებში 6:2 წაიყვანა ანგარიში.

■ ■ ■

გუშინ მეორე წრის მატჩების დიდი ნაწილი გაიმართა, კიდევ სამი მატჩი დღეს გაიმართება - ბრძოლაში ჩაებმებიან **ვიქტორია აზარენკა** და **აგნიეშკა რადვანსკა**.

როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინდელ დღეს ყველაზე დაძაბული იყო შეხვედრა **მარია კირილენკოსა** და **სამანტა სტოსურს** შორის, რომლებიც წელს ტრადიციულ მეტოქეებად იქცნენ. შეგახსენებთ, რომ ეს მათი მესამე მატჩი იყო ბოლო ერთი თვის განმავლობაში. ამერიკის ღიას მერვედფინალში სტოსურმა სამ სეტში მოიგო, თუმცა მეორე პარტიაში წააგო მარათონული ტაიბრეიკი - 15:17, გასულ კვირას ტოკიოს ტურნირის მეორე წრეში კი რუსმა რევანში აიღო.

სამანტას უკეთესად გამოუვიდა მატჩის დასაწყისი. მან ბრეიკი გააკეთა და 4:1 დაწინაურდა, მაგრამ ამის შემდეგ მოულოდნელად ჩავარდნა დაეწყო, რითაც მარიამ კარგად ისარგებლა. ის თავისუფლად ათამაშდა და მეტოქეს დაეწია. მიუხედავად ამისა, მე-10 გეიმში მილებაზე სტოსურმა სამი სეტბოლი მოიპოვა, მაგრამ კირილენკომ დროულად გამოასწორა მოწოდება და საფრთხე მოიგერია. ამის შემდეგ რუსი უფრო ლაღად ათამაშდა და დარჩენილ ორ გეიმში ბრძოლა არ შედგა - 7:5 კირილენკოს სასარგებლოდ.

მარიამ ინერციით კარგად დაიწყო მეორე სეტი და მაშინვე ბრეიკი გააკეთა, მაგრამ შემდეგ სტოსურმა თამაშის დალაგება მოახერხა. კირილენკომ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა, პარტიის ბოლოს კი მისი თამაში სადღაც გაქრა. სტოსურმა ზედიზედ ექვსი გეიმის აღებით სეტი 6:1 მოიგო.

რუსისთვის საბედნიეროდ, ეს ჩავარდნა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. გადამწყვეტ პარტიაში კირილენკო ისევ აქტიურად ათამაშდა. სამანტა ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, რამაც მარიას ბრეიკი მოუტანა. რუსი არ აპირებდა საკუთარი გეიმის წაგებას, მაგრამ ნერვული დაძაბულობა თავიდან ვერ აიცილა. ის აჩქარდა და „მშრალი" ანგარიშით წააგო საკუთარი მოწოდება, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი გეიმის აღება მოახერხა - 7:5, 1:6, 7:5.

სხვათა შორის სტოსურის წაგების შემდეგ პეკინში არ დარჩა „დიდი სლემის" წლევანდელი ტურნირების არც ერთი ფინალისტი. მარია შარაპოვამ, სერენა უილიამსმა და **კიმ კლაისტერსმა** ვერ შეძლეს ჩინეთში ჩასვლა, ნა ლი, **ფრანჩესკა სკიავონე** და **პეტრა კვიტოვა** კი უკვე გამოეთიშნენ ტურნირს.

თავიანთი მატჩები მოიგეს სტამბოლში წლის შემაჯამებელ ტურნირზე გამგზავრების პრეტენდენტებმა - **მარიონ ბარტოლიმ** და **ანდრეა პეტკოვიჩმა**. ფრანგი **კრისტინა მაკჰეილს** გაუსწორდა, გერმანელი - **კარლა სუარეს ნავაროს**. მესამე წრეში ისინი ერთმანეთს შეხვდებიან და წაგება პრაქტიკულად აღარ დაუტოვებს შანსს პეტკოვიჩს თურქეთში გამგზავრებაზე. ბარტოლისთვის ამ მატჩში წაგება ნაკლებად კრიტიკული იქნება, რადგან ჩემპიონთა რბოლაში მეცხრე ადგილზე მყოფ პეტკოვიჩს 500 ქულით უსწრებს.


ანა ივანოვიჩი

**WTA**

**China Open**

პეკინი (ჩინეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**I წრე**

**მარია კირილენკო (რუს)**-იულია გორჯესი (გერ) 7:6(9), 6:3; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-ნადეჟდა პეტროვა (რუს) 6:3, 6:7(3), 6:1; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 3:6, 6:0, 7:5; **ფლავია პენეტა (იტა)**-შუაი პენგი (ჩინ, 12) 7:6(6), 7:5.

**II წრე**

**დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**- ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 7) 6:2, 6:2; **ანა ივანოვიჩი (სერ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 16) 6:2, 6:3; **სოფია არვიდსონი (შვედ)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 5) 7:6(6), 4:6, 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს, 3)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:3, 4:6, 6:2; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 13)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 6:2, 6:3; **მარია კირილენკო (რუს)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 6) 7:5, 1:6, 7:5; **მარიონ ბარტოლი (საფ, 8)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 6:2, 6:1; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 9)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 6:4, 6:4; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა) 6:2, 6:2.


ენდი როდიკი

# როდიკმა ჟურნალისტი პენსიაში გაუშვა

პარალელურად პეკინში ATP-ის ტურნირიც მიმდინარეობს, თუმცა იქ მონაწილეთა შემადგენლობა უფრო მოკრძალებულია.

აქ პირველივე დღეს სენსაცია მოხდა - მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ენდი როდიკმა** ორ სეტში წააგო სამხრეთაფრიკელ **კევინ ანდერსონთან**, რომელთანაც მანამდე ორიდან ორი მატჩი ჰქონდა მოგებული.

როგორც ჩანს, ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ როდიკმა ისევ დაკარგა სათამაშო ფორმა. აღნიშნულ შეხვედრაში ამერიკელმა ყველა კომპონენტში წააგო ანდერსონთან - სამით ნაკლები ეისი ჩააწოდა, ორით ნაკლები ბრეიკი აილო და შესაბამისად, მატჩი ორ პარტიაში დათმო - 4:6, 5:7.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე როდიკმა ისევ გააკვირვა ჟურნალისტები და გულშემატკივრები არასტანდარტული ქცევით.

თავიდან როდიკმა კომენტარი გაუკეთა ანდერსონთან მატჩს: *„თუ მე ორ ბრეიკს ვაკეთებ პარტიაში და მაინც ვაგებ, გამოდის, რომ ჩემი მოწოდება არ მუშაობს. ეს აბსოლუტურად დაუშვებელია".*

შემდეგ ერთ-ერთმა რეპორტიორმა ჰკითხა 29 წლის ენდის - ხომ არ აპირებს ის უახლოეს პერიოდში კარიერის დასრულებას ტურში ბოლოდროინდელი წარუმატებლობების გამო.

*„ჩემი აზრით, შენ გჭირდება კარიერის დასრულება"*, - მშვიდად უპასუხა სპორტსმენმა, რის შემდეგაც მან დარბაზი დატოვა.

■ ■ ■

გუშინ, არ გაუმართლა კიდევ ერთ ამერიკელ ჩოგბურთელს. **ჯონ ისნერმა** უარი თქვა პირველი წრეში თამაშზე, მიზეზად კი ტრავმა დაასახელა.

ისნერი რუსმა **თეიმურაზ გაბაშვილმა** შეცვალა, რომელმაც პეკინის ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალი წააგო. აღსანიშნავია, რომ გაბაშვილმა გუშინ უკვე მოასწრო პირველი წრის მატჩის წაგება **ივან ლუბიჩიჩთან** - 5:7, 5:7.

**ATP**

**China Open**

პეკინი (ჩინეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

**I წრე**

**მიხაილ იუჟნი (რუს)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 4) 6:3, 6:2; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 1)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 7:6(5), 7:5; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 3)**-იურგენ მელცერი (ავსტრია) 7:5, 7:5; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 7:5, 7:5; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-ჟილ სიმონი (საფ, 5) 6:3, 6:1.

**Japan Open**

ტოკიო (იაპონია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 100 000 დოლარი

**I წრე**

**მარდი ფიში (აშშ, 4)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 6:4, 3:6, 7:5; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 6:3, 3:6, 7:5; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-ლუკაშ როსოლი (ჩეხ) 6:1, 6:1; **დავიდ ფერერი (ესპ, 3)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:4, 6:3; **ბერნარდ ტომიჩი (ავსტრალია)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ, 5) 7:6(6), 7:6(1); **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-გო სოედა (იაპ) 6:3, 6:2.

# საფინა პოლიციაში მოხვდა


დინარა საფინა

ყოფილი რუსი ჩოგბურთელი **დინარა საფინა** გერმანიაში ყოფნისას პოლიციის განყოფილებაში მოხვდა. საპასპორტო კონტროლის დროს აეროპორტის თანამშრომლებმა ეჭვი შეიტანეს ვიზის კანონიერებაში, რომელიც სპორტსმენმა წარადგინა. როგორც საფინა ჰყვება, მის პიროვნებას ხუთი ადამიანი ამოწმებდა.

*„მათ შეეძლოთ აეკრიფათ Google, შეეტანათ იქ ჩემი სახელი და გაიგებდნენ ვინც ვარ!"* - აღშფოთებას ვერ მალავდა საფინა. ჩოგბურთელის თქმით, პოლიციაში ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს საშიში პატიმარი იყო. დინარამ დაამატა, რომ მისი პიროვნების დადგენის შემდეგ ერთ-ერთმა პოლიციელმა სპორტსმენს ავტოგრაფი სთხოვა.

გერმანიაში საფინამ სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს, რის შემდეგაც საბოლოოდ გახდება ცნობილი - შეძლებს თუ არა რუსი კარიერის გაგრძელებას. ზურგის არეში ტკივილების გამო საფინამ 2010 წელს ბევრი ტურნირი გამოტოვა, 2011 წლის მაისში კი დროებით შეაჩერა კარიერა. ორი დღის წინ დინარას ძმამ **მარატ საფინმა** განაცხადა, რომ მისი და, სავარაუდოდ, ძალიან მალე გამოაცხადებს კარიერის დასრულების შესახებ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# აბსოლუტური რეკორდი ავსტრალიაში

როგორც ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორები აცხადებენ, 2012 წელს „დიდი სლემის" ეს ტურნირი აბსოლუტურ რეკორდს დაამყარებს ჩოგბურთის ისტორიაში საპრიზო ფონდის რაოდენობით. მამაკაცთა და ქალთა ტურნირების გამარჯვებულები (თითოეული) 2 180 000 დოლარს მიიღებენ.

შესაბამისად, გაიზარდა 2012 წლის ავსტრალიის ღია პირველობის საერთო ფონდი და ის 26 მილიონ ავსტრალიურ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, მომავალ წელს გაიმართება ლეგენდების მატჩი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ავსტრალიის ღია პირველობის სამგზის ჩემპიონი, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი**, ხოლო გამეორებების ტექნოლოგია - Hawk eye-ის მარგარეტ კორტის სახელობის კორტზე დაამონტაჟებენ.